

საბჭოთა სელოვნება

ISSN 0132-1307



1979 2



2 / 1979

საბჭოთა სენსიტივობა

საპარტვილოს სსრ კულტურის სამინისტროს
უძველესი წიგნი

შინაარსი

ლ. ი. ბრეჟნევი — ბავშვები ჩვენი გომავალია	2
თეატრისა და კინოს მხატვართა რესპუბლიკური ბავშვთა გაიანე ალიბეგაშვილი — პარტული თეატრალური მხატვრობის დღევანდელია	3
ციხინა კუხიანიძე — პარტული სცენოგრაფიის სკოლა	4
ირინე ძუცოვა — ტრადიციებზე დაყრდნობით	10
მიხეილ თუმანიშვილი — სცენური სიტყვა	20
მერაბ გეგია — თანამედროვეობის მიერ აღორძინებული	26
ავთანდილ გველესიანი — რეჟო მსახი	30
ნატალია ლუნარსკაია-როსენელი — მარჯანიშვილი	33
რუსუდან თიქაძე — მხატვრული კინოს დოკუმენტობა	42
ნოდარ ანდლუაძე — მოსკალური ხელოვნების ჯობადი თეორიის მეთოდო- ლოგიური საკითხები	47
იოსებ იმედაშვილი — კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი	52
ვახტანგ ერკომაიშვილი — ბედისწერა თუ შემთხვევითობა. დილითის არსი	59
თამაზ ჩხეჩხელი — შარბაძე — 666	65
პოლ ვალერი — პრაბი	74
ბავშვთა ნახატების ბავშვთა	78
აკაკი ვახაძე — მომოთხები და ფიქრები	88
ვალერიან კანდელია — სიკრატბი (პეესა)	99
ჭრენიკა	114

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
თორეოგრაფია**

მთავარი რედაქტორი
თამაზ შილაძე
სარედაქციო კოლეგია:
აკაკი ბაქრაძე,
ვანხანა ბერიძე,
ნოდარ ბაბუნია,
ჯუმაგა თითოვანი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ვასილ კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიშვილი,
ჯუმაგა ნიუარაძე,
გივი ორჯონიძე,
ნათელა ურუხაძე,
რევაზ ჩხეძე,
ანტონ შულუაძე,
ნიკო მავაბაძე.

ლ. ი. ბრეჟნევი:

გავშვები ჩვენი მომავალია

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1979 წელი ბავშვის წლად გამოაცხადა. იუნესკომ მთელი რიგი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებსა და საზოგადო მოღვაწეებს სთხოვა ახალი წელი მიეღოთ ბავშვებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ ინიციატივასთან დაკავშირებით.

1 იანვარს ცენტრალური ტელევიზიით გადაიკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა. გათვალისწინებულია ამ გამოსვლის ტექსტი:

გამარჯობათ, ძვირფასო ნორჩო მეგობრებო! გილოცავთ ყველას ახალ წელს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს, გადაწყვიტა ეს წელი ბავშვის წლად გამოაცხადოს. ეს ძალიან კარგი, სწორი გადაწყვეტილებაა. ბავშვები ხომ ჩვენი მომავალია, მათ უნდა განაგრძონ თავიანთი მამებისა და დედების საქმე. დარწმუნებული ვარ, ისინი ცხოვრებას ქვეყნად უფრო უკეთესსა და ბედნიერს გახდიან. ჩვენი ვალი კი ის არის, რომ ვეცადოთ, რათა არც ერთი ხალხის ბავშვებმა არ იცოდნენ


რა არის ომები, რომ მათ მშვიდი, სასიხარულო ბავშვობა ჰქონდეთ.

სამწუხაროდ, დღეს ქვეყნად ჯერ კიდევ ბევრგან გაიხმის სროლა, იღვრება სისხლი და იღუპებიან არა მარტო მოზრდილები, არამედ ბავშვები. ჯერ კიდევ ბევრი ბავშვი იტოვება შიშოლითა და ავადმყოფობით. ამას ვერ შევუძლებთ. საბჭოთა კავშირში ვცდილობთ უცვლად ვილონოთ, რათა ბავშვობის წლები ჩანსალი და ბედნიერი იყოს. ჩვენ ავაშენებთ და კვლავაც ავაშენებთ ათასობით ნაოთელ, მოხერხებულ საბავშვო ბაგას, საბავშვო ბაღს, სკოლას. ჩვენ ვცდილობთ ბავშვებს ვასწავლოთ სიკეთე, მეგობრობა, ვასწავლოთ იცხოვრონ კეთილმეზობლურად ყოველი ეროვნებისა და კანის ფერის ყველა ადამიანთან, ვასწავლოთ მათ შრომის პატივისცემა და შრომა ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ.

ძვირფასო ბავშვებო! გოგონებო და ბიჭუნებო! მოვადრო და თქვენც გაიზრდებით, მაშინ მომავლისათვის ზრუნვა თქვენ დაგეისრებათ. ჯერ-ჯერობით კი გაისურვებთ ჩანმრთელობას, ბედნიერებას, მშვიდობიან და საამურ ცხოვრებას.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა იუნესკოს გაგზავნა (საქდესი).


**გაუქმდეს
საბჭოთა
საქართველოს
58-ე
წლისთვის!**



თეატრისა და კინოს მხატვართა რესპუბლიკური გამოფენა

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში ექსპონირებული იყო თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა, რომელმაც დამთავლიერებულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. გამოფენას მიეძღვნა საქართველოს მხატვართა კავშირისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების გაერთიანებული პლენუმი, რომელზეც ფართო სჯა-ბაასი გაიმართა თანამედროვე ქართულ თეატრალურ მხატვრობაზე.

ჩვენი ყურნალი აგრძელებს საუბარს ქართული სასცენო და კინოს მხატვრობის შესახებ და მკითხველებს სთავაზობს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის გაიანე ალიბეგაშვილისა და ხელოვნებისმცოდნეების — ცისანა კუბიანიძისა და ირინე ძუცოვას წერილებს.



საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში გამართული, თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა არა მხოლოდ მრავალრიცხოვან, თვითმყოფადობით გამორჩეულ შემოქმედთა ნიჭიერების დემონსტრაციაა იქცა, არამედ ამ დარგებში მოპოვებული მიღწევების დამადასტურებელ ფაქტადაც.

აღსანიშნავია, რომ ქართველ მხატვართა მთელმა პლეადამ მილიანად დაუკავშირა თავისი შემოქმედება თეატრსა და კინოში მუშაობას. დაუმრეტელი ფანტაზია, გამომგონებლობა, მრავალფეროვანი მხატვრული ხერხების თავისუფალი გამოყენება თეატრისა და კინოს სპეციფიკური ბუნების შესატყვისად ნათლად გამოვლინდა ამ ნაწარმოებებში.

ახალი მხატვრული ხერხების ძიებას წარმოდგენილ ესკაზებსა და მაკეტებში განსაზღვრავს თვით ღრამატურგიული ქმნილება, მოქმედების ადგილისა და დროს, სცენური სივრცის შერწყმება.

თუ გავიხსენებთ 30-40-იანი წლების თეატრალურ დარგებს, შემოქმედთა სწრაფვას დოკუმენტური სიზუსტისადმი, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისიც, თუ რა მნიშვნელოვანი იყო 50-იან წლებში გარდატეხა ქართულ სახეით ხელოვნებაში, რასაც თეატრალურ-დოკორატიული ხელოვნებაში მოჰყვა მისი სპეციფიკური ბუნების საბოლოო „რეაბილიტაცია“. სწორედ ამ პერიოდისან სულ უფრო მკაფიოდ ჩანს დეკორაციების აქტიური როლი სპექტაკლის იდეურ-მხატვრული სტრუქტურის შექმნაში. ამან, თავის მხრივ, განაპირობა რეჟისორთან მხატვრის მჭიდრო კავშირი. მართალია, ეს გარდატეხა ზოგჯერ ქართული თეატრის 20-იანი წლების სპექტაკლების ერთგვარი მიზაძვით აღინიშნა, მაგრამ ეს მოწმობდა სცენური სივრცის დასაუფლებლად ისეთი ახალი, მეტყველი ფორმების ძიებას, რომელიც ხელს შეუწყობდა სპექტაკლის შინაარსის გახსნას, მაყურებლის სათანადო „ატმოსფეროში“ მოქცევას. 50-იანი წლების მცირე ნახევრიდან სცენის ცნობილი ოსტატების — დ. თვაძის, ი. შტენბერგის, ი. ასკურაეას, ფ. ლაპაიშვილის, ე. დონცოვას გვერდით თეატრში აქტიური მოღვაწეობა დაიწყო მხატვართა ახალმა თაობამ — ნ. ივანტოვმა, თ. ქოჩიაკიძემ, ა. სლოვინსკიმ, ი. ჩიკვაიძემ (სამი მხატვრის შემოქმედებითი კავშირი, ცნობილი შემდგომში „სამეულის“ სახელით); გ. გუნიამ, მ. მალაზონიამ, თ. მურვანიძემ და სხვებმა. მათი ნამუშევრები გამოირჩა საინტერესო და მრავალფეროვანი მხატვრული მიდგომით, მკაფიოდ გა-



ნ. ივანტოვი

ესკიზი სპექტაკლისათვის „ჩამაზებში“ (იანერის თეატრი, 1974).

თ. მირზაშვილი

თოქონების ესკიზი მულტიფლიმისთვის „ხანუმა პარიზში“ (1973).

დ. ერისთავი

ესკიზი კინოფილმისათვის „იყო შაშვი მაკობელი“ (1972).



ქართული თეატრალური მხატვრობის დღევანდელობა

გაიანე ალიბეგაშვილი

მოვლინდა მხატვარი-დამდგმელის აქტიური შე-
მოქმედებითი როლი.

გამოფენილმა ესკიზებმა წარმოგვიდგინეს 50-
იან წლებში დაწყებული მხატვრული ძიებების
პროცესის შემდგომი განვითარება.

გამოფენამ დაგვანახა, რომ ბოლო ათი წლის
მანძილზე ქართულ თეატრალურ-დეკორატიულ
ხელოვნებაში მოხდა საინტერესო ცვლილებები
ნამუშევრები იმდენად მრავალფეროვანი იყო
მხატვრული ხერხებით, რომ შეუძლებელია მოკ-
ლე მიმოხილვაში შევეხეთ არამც თუ მიუღე მა-
სალას, არამედ მოვიხსენიოთ ყველა მიწაწილე
მხატვრის სახელი. აქ შევჩერდებით მხოლოდ
ისეთ მაგალითებზე, რომელნიც ნათლად გამოხა-
ტავენ მთავარ, დამახასიათებელ მხატვრულ ტენ-
დენციებს.

ყოველი ცალკეული მხატვრული ხერხის შერ-
ჩევა განპირობებულია, პირველ რიგში, თვით პი-
ესის ხასიათით და შერე კი მხატვართა თავისე-
ბური „ხედვით“, ამიტომაც, ერთი და იმავე პიე-
სისათვის სხვადასხვა მხატვრის მიერ წარმოდგე-

ნილი ესკიზების „ინტონაცია“ შეიძლება გარკვე-
ულად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ასე,
მაგალითად, ე. დონცოვას მიერ შესრულებულ ეს-
კიზებში სპექტაკლისათვის „ცილინდრი“ საზგას-
მულია თეატრალური მოქმედების პირობითობა,
მაშინ, როდესაც გ. მღებრიშვილის ესკიზებში უფ-
რო „ყოფითი“ განწყობილებაა შექმნილი.

თ. მურვანიძის ესკიზში სპექტაკლისათვის
„სანამ ურემი გადაბრუნდება“ დეკორაციის კომ-
პაქტურობა, ოდნავ „დამძიმებული“ ინტენსიური
ფერადღვნებით, ფორმის სტატიკურობას წარმო-
ქმნის.

„სამუელის“ მაკეტში და ესკიზში ფორმები
უფრო დინამიკურია, რაც განპირობებულია თა-
ვისუფალი ნახატითა და ცხოველხატული ფერა-
დღვნებით.

ერთგვარად გამერულ ხასიათს იძენს მოქმე-
დება თ. მურვანიძის მხატვრობაში სპექტაკლისა-
თვის „კავკასიური ცარცის წრე“. გ. ალექსი-
მესხიშვილმა კი ეს ამოცანა მკაცრ კოლორიტში
გადაწყვიტა. ფარებით შემოფარგლული ფართო
სასცენო სივრცე და უბრალო ტილის ფარდების
კომბინაცია, მოქმედების ადგილის სწრაფი ცვა-
ლებადობის ამოცანის გადაწყვეტასთან ერთად,
რეტულური ნახატის მიზანსაცნათა შექმნის შესა-
ძლებლობას იძლევა.

ალსანიშნავია, რომ ერთი და იგივე მხატვარი
მიმართავს სულ სხვადასხვა მხატვრულ ხერხებს,
რომელთა შერჩევას განაპირობებს თვით პიესის
ხასიათი. ამით აახსნება, რომ ე. დონცოვას მიერ
წარმოდგენილ ნამუშევრებში ვხვდებით როგორც
ტრადიციულად გადაწყვეტილ სათამაშო მოედანს,
ბუნებრივად (სივრცობრივ ასპექტში) განლაგე-
ბული დეტალებით („უკანასკნელი“), ასევე გე-
ომეტრიული ფორმის დეკორაციებს („დაუთმე
ადგილი ზღაღინდელ დღეს“).

უფროსი თაობის მხატვრების მიერ ახალი მხა-
ტვრული ხერხების ძიება სწირად თანაარსებობს
ტრადიციულ გადაწყვეტასთან. ი. ასკურავას ეს-
კიზებს შორის ვხვდებით ცხოველხატული პიესა-
ების გამოსახულებას („ყოფილი“) და ესკიზებ-
საც, რომელთა მხატვრული ეფემერი განპირობე-
ბულია იმ ემოციური დატვირთვით, ერთ მეტყველ
დეტალს რომ ენიჭება (ჯაჭვი ოპერაში „ფაუს-
ტი“). მხატვარი არ გაურბის არც განზოგადებულ
ფორმებს, რაც მას მონუმენტურობის შექმნაში უს-
პარება („ტრუბადური“, „ჰამლეტი“), სხვა შემთ-
ხვევაში იგი რეალური საგნების დასვეწილი ფორ-
მებისა და ნატიფი კოლორიტის საშუალებით
მოქმედების მხატვრულად მეტყველ ადგილს ქმნის

(„სევილიელი დალაქი“). ამავე დროს, მხატვრები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განათებით გამდიდრებული ფერადლოვნების ემოციურ ვეფქტებს.

დ. თავაძის ესკიზები სექტაკლებისთვის „რიზარდ III“ და „ანტიგონე“ მოწმობს, რომ მხატვარი ერთგულობს იმ ტენდენციებს, რომელიც ჯერ კიდევ „მაკბეტის“ ესკიზებში გამოვლინდა (1953 წ.). როგორც იმ ესკიზებში, აქაც მხატვარი მოქმედების ადგილად იყენებს მთელ სენაურ სივრცეს; იგი თავისუფლად წყვეტს სივრცის დაფემარების ამოცანას, ანაწევრებს სათამაშო მოვდანს კიბეებით, ფარებით და ამით ქმნის ფართო შესაძლებლობას საინტერესო მიზანსაყენებლობისთვის. ამავე დროს, დ. თავაძე ყურადღებას ამახვილებს ეპოქისა და მოქმედებისათვის დამახასიათებელი დეტალების შერჩევაზე. ამგვარად მისი დეკორაციებისთვის ნიშანდობლივად იქცა ფორმათა ისეთი გრაფიკული სიმკვეთრე, რომელიც კომპოზიციის გეომეტრიულ კანონზომიერებასთან ერთად (ზუსტი სიმეტრიულობა ფორმალურად გაშლილი პორტიკებისა „ანტიგონის“) ერთგვარად აკლავს მათი მონუმენტურობის შეგრძნებას, რასაც მოითხოვს ორივე სექტაკლის დრამატული შინაარსის გასნა.

გეომეტრიული, აბსტრაქტული ფორმებით გატყვისება აკლენს ე. ლაიაშვილის ესკიზები („პეპო“, „დონ კარლოსი“). მხატვარმა თავისი მოღვაწეობა თეატრში დაიწყო მკაფიოდ გამოქვეყნებული ტენდენციით — შექმნა ფერადოვანი, თეატრალური სანახაობა. ახლა მხატვარი მკვეთრად ცვლის ამოცანასადა მიდგომას. ახალი მხატვრული ამოცანები ნან ჯერ კიდევ „კამედონი“ დანისხა და ამგვარად კიდევ უფრო ნათლად ჩამოყალიბდა. გარდატეხა იმდენად მკვეთრია, რომ წარმოგიადგება წინანდლის საწინააღმდეგო მხატვრული პრინციპებით დიდუღრმობამდე მისულ გატაცებად. მაგრამ გეომეტრიული „ბილიკების“ რთული კომბინაციებით, ფარებით, მათი მკვეთრი, სწორხაზოვანი ნახატით შემოხსაზული ფორმების დაპირისპირებით შექმნილია გარემო ეფექტური მიზანსაყენებისთვის. შენარჩუნებულია აგრეთვე მხატვრისათვის დამახასიათებელი სწრაფვა ფორმათა მონუმენტურობისკენ, სივრცის მასშტაბურობისადმი, რომელიც შეესატყვისება მოქმედების პათოსს („დონ კარლოსი“). გეომეტრიული ფორმების სიმრავლე დაძლეულია მხატვრისათვის ჩვეული ფერადოვნებით, რომელიც მკაცრ კოლორიტსა და ტუნადა შერჩეულ ფერთა მეტყველ დაპირისპირებაში მდგომარეობს (ყვითელი — ლურჯთან, ყვითელი — იისფერთან ან მწვანესთან), ამასთან ყოველი ფერი ტონალურად გამდიდრებულია განათებით.

მხატვრულად შთაბეჭდავია და კოლორისტულად დახვეწილი შ ჩიქოვანის ტრადიციულად გადაწყვეტილი ესკიზები „ტრაგიატასიის“

(მაე ტონთან დაპირისპირებულია მიციმიციმე ვერცხლისფერი და ოქროსფერი).

ახალ გზას ეძებენ ახალი თაობის მხატვრები. თუ ადრე თ. მურგანიძის ნაშუქებებში იგრძნობოდა განსაკუთრებული გატაცება ინტენსიური ფერადლოვნებით, ახლა მხატვარი ფერწერულ საშუალებებს მათი კომბინაციით ამდღრებებს. კომპაქტურად ორგანიზებულ, პირობითი ხასიათის „ამწებულ“ დეკორაციებში („დაწინდა მონასტერი“), ყმინდა ფერწერული ხერხების გვერდით, მხატვარი თამამად მიმართავს მსუბუქი ნახატის, გროტესკის მეტყველ ძალას („ყვარეყვარე თუთამარი“).

კვლავაც ფართო შემოქმედებით დაიპაზნოს, დაუნრეტელ გამომონებლობას ამკლავებს მხატვართა კოლექტივი — „სამეული“. მათ მიერ გამოყენებული ხერხები გამომსახველობით ყოველთვის შოულდნელია და ახლებური.

მხიარული სექტაკლისათვის — „ყორანი ჯარისკაცი შევიკი“ შექმნილ დეკორაციებში ესკიზური ხასიათის ნახატები აჩარბობენ სცენის პორტალს და სახეების, მოქმედების დახასიათების დაზუსტების მეტყველ ხერხად იკითხებიან, ორგანულ, სტილისტურ მთლიანობაში წარმოგიადგებიან იმ მიცულობითი ფორმების ნახატთან, სცენურ მოედანზე რომ იქმნება. გროტესკული ნახატის უპირატესობა დეკორაციის ანსათის შექმნაში ხაზგასმულია თავმყავებულ, ტუნადა ნახსარი ფერთი.

სკულპტურული ფორმა, ექსპრესიულ ნახატთან კავშირში, სულ სხვა ხასიათის გამომსახველობას იძენს „ოდილიზის“ გაფორმებაში. მაცუბრების გადაყვანა გარკვეული ადგილისა და დროის „ატმოსფეროში“ ხელოვნების ნაწარმოებთან ასოციაციის გზით ახალი როლია. ან ხერხის მიმართავდა ქართულ სცენაზე ი. შარდლიანი („ორლანელი ქალწული“), ი. სუბიათავილი („რომეო და ჯულიეტა“). იმავე პრინციპს მიმართა „სამეული“, მაგრამ ან ხერხის სრულად და ახლებური, ორიგინალური განსახიერება პიოვა: ქორს, რომლის როლი ფრიად მნიშვნელოვანია ბერძნულ ტრაგედიაში, წარმოდგენილია სკულპტურულ ფიგურებად, რომელნიც გაერთიანებული არიან ფართო ქსოვილით. ეს ქსოვილი, რომელიც პოსტამენტსაც ფარავს, მკაფიო ვერტიკალურ ნაოჭებად ეშვება ქვემოთ და ამით ძლიერდება ფიგურების ბრძნულ კლასიკურ სკულპტურასთან მსგავსების შთაბეჭდილება. ქსოვილის ექსპრესიული მოძრაობით მხატვრებმა მონახეს მოქმედებაში ქორსს აქტიური ჩართვის ხერხი და ამით გააძლიერეს დრამატული სიმძაფრე. ამგვარი დინამიკური მომენტების შექმნა შეესაბამება სოფოკლეს „თრობის“ მღღვარე რიტმს (განსხვავებულს ესქილეს „ზომიერი“ ტემპისაგან). ქორის ფიგურებით შეზღუდული, საკმაოდ მცირე ზომის სათამაშო მოედანი ხელს


უნდა უწყობდეს სოფოკლესათვის დამახასიათებელ, ყურადღების გამაზვიებლას პიროვნების დამაზუ. ორივე ეს მომენტი მეტყვევალა განსახიერებელი ესკიზებში, რამაც, ჩვენი აზრით, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, ვერ კპოვა სათანადო განხორციელება. ერთის მხრივ, თეატრის მცირე დარბაზში მოხსენსევენმა დაკარგეს მონუმენტურობა (რომელიც უნდა შეექმნა ამ გაფორმებას. თ.კლარიველად იგი გათვალისწინებული იყო ფლარმონიის ფართო დარბაზისათვის), მეორე მხრივ კი, ზოგიერთი მოხსენსევის რეგისტრულმა ინტერპრეტაციამ, სათამაშო მოედნის სივრცის მცირე ზომის პირობებში, წარმოდგენა თითქმის ჟანრულ ხასიათამდე დიფანა. ვერ მოინახა აგრეთვე, ქსოვილისა და პოსტამენტის მოძრაობის სიმალღეთა ცვალებადობის სათანადო რიტმი, რის გამოც მხატვრების მიერ საინტერესოდ გააზრებულმა ხერხმა პირდაპირი, ილუსტრაციული ხასიათი შეიძინა. არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ იმავე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, მასშტაბურად არცთუ გრანდიოზული პ. ოცხელის დეკორაციები სპექტაკლისათვის „ურიელ აოსტა“ აღიქმებოდა ხაზგასმულად მონუმენტურად, არა მარტო თავიანი განზოგადებული ფორმების, არამედ მიზანსევენების მკაფიო, ზუსტად ნაპოვნი მეტყველი რიტმის გამოც.

„ასოციაციის“ ხერხს მიმართავს ი. გევეშიძეც (ბალუტი „მედეა“). ბალუტი სცენური სივრცის სულ სხვაგვარ ორგანიზაციას მოითხოვდა. ი. გევეშიძეც ქმნის დეკორირებულ ფარდას, რომელზეც შავ-თეთრი ფერებით წარმოდგენილია ბერძნული ჭანდაკებისა და ტანების მსგავსი გამოსახულებანი. ამ გამოსახულებათა სხვადასხვა მასშტაბი, მათი დამონტაჟება ხაზს უსვამს ფარდის დეკორატიულ ხასიათს. მოქმედებების განვითარებისას ვიწრო „ფარდები“ მრავლდება. მათ ზედაპირზე „დაღვრილია“ წითელი და წაი ლაქები, რაც უნდა ზრდიდეს ემოციური დაძაბულობის შთაბეჭდილებას, მაგრამ ეს ამოცანა „ჩაიძირა“ შავ-თეთრი ლაქების ქაოსურ ექოვლანტულობაში. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა მკაცრად უნდა იყოს გათვალისწინებული სცენისა და დარბაზის საერთო სივრცითან კავშირში დეკორაციების აღქმის მხატვრული ფემქტი.

თ. გაიუნი ესკიზი სპექტაკლისათვის „ესმერალდა“ (ინოსტუდია „ქართული ფილმი“ თეატრალური სახელოსნო, 1978).

მ. კავკავაძე კოსტუმების ესკიზი სპექტაკლისათვის „პამლუტი“ (მეტეხის თეატრი, 1975).

ო. ქორაიძე, დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისათვის ა. სლოვისკო, ოლიბოს მეფე“ (მარჯანიშვილის თეატრი, 1978).



ნ. იგნატოვისა და გ. ალექსი-მესხიშვილის ესკიზები სხვადასხვა ფერწერულ მანერას წარმოგადგენენ.

ბალეტისათვის „ბერიკაბოა“ ნ. იგნატოვმა შესარტა ესკიზები, რომელთა მხატვრულმა ხასიათმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ავტორის დაუმრეტელი ნიჭი დეკორაციული კომპოზიციების შექმნაში. მან ხაზი გაუსვა წმინდა თეატრალური ხასიათის დეტალებს (ნიღბები, სტილიზებული კოსტუმები), რომელნიც აცესლდებენ საგნებს, ცოცხალ ფიგურებს კი საკანთა სამაროსთან აახლოებენ. კოსტუმების ნახატი ორგანულ კავშირშია მოქმედების პლასტიკასთან და ხელს უწყობს მოქმედ პირთა ქუსტების, მოძრაობის დახასიათებას. კოსტუმთა მხატვრული „სახის“ შექმნის საწინააღმდეგო მაგალითია მ. ჭავჭავაძის ესკიზები სპექტაკლისათვის „კამლეტი“, სადაც ტიპაჟი დახატულია დარღვეული პროპორციებით — ხაზგასმულად მოკლე ფეხებით, ფართო მხრებით, თითების უზომო უტყირებით, ასეთი ნახატი არავითარ კავშირში არ არის ტრაგედიის შინაარსთან, სახეების ხასიათთან. პ. ოცხელმა თავის დროზე წარმოსახა უადრესად სტილიზებული პერსონაჟები კოსტუმებში, მაგრამ ამ შემთხვევაში ფიგურათა უტყირებული ფორმები შეესაბამებოდა პიესის ხასიათს და ხაზს უსვამდა მოქმედ გმირთა სახეს, მათ ხასიათს. ამით მაყურებელი მოქმედების „ატმოსფეროში“ შედიოდა.

გ. ალექსი-მესხიშვილის ფერწერული ნიჭი ფაქიზ კოლორატში მდლანდება. ფერის გრძობა, დეკორაციულობა განსაკუთრებით ვლინდება საბალეტო სპექტაკლებში „მწიკუნკი“, „პაპელაია“. სხვაგვარადაა გადაწყვეტილი დეკორაციები სპექტაკლებისათვის „კავკასიური ცარცის წრე“, „ქალი ქეიშაში“, „ღალატის“. თავისთავად ორიგინალურად გააზრებული, ისინი ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მხატვრის ფანტაზიაზე მიუთითებენ.

გ. ალექსი-მესხიშვილი თავისუფლად იყენებს ფერების კომბინაციას, რითაც ახერხებს მოქმედების ადგილის სწრაფ და მეტყველ შეცვლას („კავკასიური ცარცის წრე“). მხატვრისათვის ძარდა — წმინდა დეკორაციული ფუნქტის შექმნის ხერხივცა („პოეზიის საღამო“, „ღრაკონის“ ფარდა).

დახვეწილი გემოვნების მიუხედავად, გ. ალექსი-მესხიშვილის დეკორაციებს, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთგვარი ეკლექტიზმის ვალდებულება აქვია (ასე, მაგალითად, ნიღბების ვეერდით ნატურალიზმამდე დაყვანილი მსაუბრის გრიმი), მაგრამ ეს, შესაძლოა, უფრო რეჟისორის ჩანაფერითანაა დაკავშირებული (თვით რეჟისორი აერთიანებს ამ სპექტაკლში იმგვარი საწინააღმდეგო ხასიათის მოქმედებებს, როგორცაა პირობითი ქუსტები და ბანაობის ნატურალისტური

სცენა). ასევეა სპექტაკლში „ღრაკონი“; ფარდის ნაკვეთის დეკორაციულ ფუნქტის უპირისპირდება მასზე დამატებული მოცულობითი გამოსახულებანი. ზოგჯერ მხატვრის ესკიზებში ფუნქტური დეტალი შეაქვს და ვერ ითვისაწინებს თუ როგორ აქედრდება იგი გადღობის დროს (ფოთლები ფარდაზე — „პოეზიის საღამო“).

ნამუშევრებში ჩანდა ავტორთა სწრაფვა სცენური ესკიზების სახით შექმნათ მხატვრულად გამომსახველი ნაწარმოებები. ა. ჭელიძის ესკიზები „რევიზორისათვის“ თავისთავად საინტერესო, დეკორაციული ხასიათის კომპოზიციებია. კოსტუმები და დეკორაციები ერთ დაფაზეა დამონტაჟებული. ამ კომპოზიციებში ლაქების მეტყველი აქცენტები და გროტესკული ფორმები ხელს უწყობს პიესის მოქმედებისა და გმირთა ხასიათის გასწნას.

სურათოვან სილამაზეზე ზრუნვა ზოგჯერ ესკიზებში თვითმონაწილთაგანადა დაყვანილი. კოლაჟის კომპოზიციების მსგავსად შესრულებული ასეთი, წმინდა აბსტრაქტულ-დეკორაციული კომპოზიციები ვერც მხატვრული და ვერც შინაარსობრივი თვალსაზრისით ვერ უკავშირდება სცენას. დამახასიათებელია, რომ ასეთ შემთხვევაში ერთნაირ მხატვრულ მიდამოს ვაწმნევთ სულ სხვადასხვა ხასიათის სპექტაკლებისადმი (უხუშარაშვილის „ჩარლის დედა“, „მოგვეთილი“). ვერავითარ ესთეტიკურ სიამოვნებას ვერ აღძრავს სცენაზე გადღობული, ნებისმიერ მონტაჟში წარმოდგენილი ხის ნაწილები, ჭედღობისა და ქსოვილის ნაფოთები, ძაფების ან მავთულის ხლართი.

ამგვარი ხასიათის ნამუშევრებს მიეკუთვნება ესკიზები, რომელშიც მაყურებელმა, შესაძლოა, გულდასმითი დაკვირვების შედეგად ამოიკითხოს ზოგიერთ საკანთა ფორმა, სივრცეში მათი ვარკვეული განლაგება, მაგრამ ფერთა ლაქების განაწილება, კომპოზიციის ქაოსური, მშრალი ხასიათი ამ ესკიზებს ამსგავსებს დაზგურ-აბსტრაქტულ კომპოზიციებს (მ. ზეგლიძის „ყვარეყვარე თუთაბერი“, „ქალის ტირით“).

ფერადოვან, ფერწერულ ესკიზებს გამოფენაზე უპირისპირდება გ. გუნიას ნამუშევრები, რომელშიც ზუსტად ნახატით გამოიკვეთება ძუნწად შერჩეული მეტყველი დეტალები. დახვეწილ გემოვნებაზე მიუთითებს თავშეკავებული კოლორიტი, კომპოზიციის ნათელი ხასიათი, მჭიდროდ დაკავშირებული სპექტაკლის დედლაზრის გასწნასთან. მძიმე თოკების ხლართისა და ტყავის „ფარდის“ მოძრაობით შექმნილი მრავალფეროვანი, ფუნქტური კომბინაციები ესკიზებში სპექტაკლისათვის „მეფე ლორი“ მეტყველად გადმოსცემს ფსიქოლოგიურ სიტუაციას და, ამასთან, ხელს უწყობს სცენების ადვილად შეცვლას.

„შუშანიის წამების“ ესკიზებში ცვლის გეორგინის მეტყველი სიმბოლო, მკაცრი თარის გა-

სიტაბრი დაპირისპირება სათამაშო მიყენის სივრცესთან და მიზანსცენებით მონუმენტურ ელერადობას აღწევს და შეესატყვისება ისტორიული დრამის პათოსს. ესკიზებში „პიკის ქალი-სათვის“ გვიხილავს მსუბუქი და, ამასთან, ზუსტი ნახატი გამოსახული, პეტერბურგის არქიტექტურის დამასასიათებელი დეკორი, კლასიკურად ნათელი კომპოზიცია, ტექტონიკური ხასიათის არქიტექტურული მოტივებით, რაც ქმნის წარსული საუკუნის პეტერბურგის „ატმოსფეროს“. მხატვარი ყურადღებას ამახვილებს მაგიდაზე, რომელიც დრამის ბირთვს წარმოადგენს და სცენებში სხვა ფუნქციებსაც ასრულებს.

მკაცრი, თითქმის მონოჭრთული კოლორიტი გ. გუნის ესკიზებში მდიდრდება მეტყველად გამოყენებული განათების ცხოველხატული ეფექტებით. სულ სხვაგვარი ხასიათისაა ესკიზები მხიარული სპექტაკლისათვის „სოკრატე“. მსუბუქი, დინამიკური ნახატი ერწყმის თვით მოქმედების ტემპს.

გ. გუნია გამომსახველად იყენებს ძველი ქართული ხელოვნების მოტივებს („ყიფიანი შემოყვარა“). დეკორაციების კომპოზიციებში ეს მოტივები მხატვრულად და შინაარსობრივად ლოგიკურია. კოსტუმების ესკიზები გმირთა სახეებსა და სპექტაკლის საერთო ხასიათთან სტილისტურ ერთიანობაში იკითხება, გამოირჩევა მკაცრი, განუზოგადებელი ფორმებით.

ძველი ქართული ხელოვნების ელემენტებს დიდ მხატვრულ ძალას ანიჭებს მ. მალაზონიაც. მის მიერ „კახაბერის ხმლისთვის“ შექმნილ ფა-

რდაზე ძველი ქართული რელიეფების მსგავსი მოტივები მეტყველი „შესავლის“ როლს თამაშობს, რომელიც თავიდანვე განსაზღვრავს მოქმედების „ატმოსფეროს“.


თეატრალური პირობითობა ფართო შესაძლებლობას იძლევა მხატვრული ხერხების ძიებისათვის, მაგრამ ესკიზების სცენაზე გადატანისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული საბოლოო მხატვრული ეფექტი.

მხატვრულად გაუმართლებლად მიგვაჩნია ზოგიერთ ესკიზში ფოტოსურათების გამოყენება. ეს ფოტოსურათები, თავისი შემთხვევითი, თანაც დოკუმენტურობის გამო, ვერც კოსტუმის ხასიათზე მიგვანიშნებს და არც დეკორაციების საერთო ფერადოვან გადაწყვეტას არ გადმოსცემს.

გამოყენაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი სადღილო ნამუშევრები, რომლებშიც ჩანს ოპერისა და დრამის სასცენო მოედნების სპეციფიკის გათვალისწინება. ესკიზები, შესრულების მხრივ, დასრულებულობის შთაბეჭდილებას ქმნიან. ზოგიერთ შემთხვევაში აშკარად ვლინდება ხელმძღვანელის „ხედვა“ (ფ. ლაბიაშვილი, დ. თაყაიშვილი), რამდენიმე ნამუშევარში თეატრალური ესკიზის სპეციფიკას ჩრდილავს დაზგური ფერწერული სურათისათვის დამასასიათებელი თავისებურებანი („რომეო და ჯულიეტა“), ზოგჯერ კი დეკორაციების გადაწყვეტის პრინციპი არ ეთანხმება პიესის ხასიათს („მეფე ლირი“).

გ. გუნია

ესკიზი სპექტაკლისათვის „უამთა სიავე“ (მარჯანიშვილის თეატრი, 1972).



ესკიზები კინოფილმებისათვის, შესრულებული დ. ერისთავის, ა. კაკაბაძის, კ. ხუციშვილისა და სხვა მხატვართა მიერ, აღსანიშნავია არა მარტო შოქმედების ადგილის ხატოვანი დახასიათებით, არამედ კინო-სიერცის სპეციფიკის გათვალისწინებითაც. სიერცე ამ ესკიზებში ხშირად იქმნება სათანადო დეტალის შერჩევით, მოქმედებაში მათი მნიშვნელობის საზგასმით. ეს დეტალები მოქმედების ადგილის ავტორისეულ, ემოციურ დახასიათებას იძლევიან.

ბევრი მკვლევარი ეხება კინოსა და სახვითი ხელოვნების გენეტიკური კავშირის საკითხს და, ამასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს, ჩარჩოს როლზე სურათისა და კინოკადრის კომპოზიციის სტრუქტურის შექმნაში. თუ ჩარჩო ფერწერულ ნაწარმოებში ხაზს უსვამს ზღვარს მაცურებელსა და გამოსახულ სიერცეს შორის, კინოკადრის საზღვრები პირიქით, ხაზს უსვამენ სიერცის განვითარებას კადრის გარეთ, მაცურებელი თავს გრძნობს ეკრანზე გამოსახული ამბების თანადამსწრედ. დამახასიათებელია, რომ გამოფენილი კინო-ესკიზები სწორედ ამ თვალსაზრისით განსწავლდება თეატრალური ესკიზებისაგან. საკმარისია, დავაკვირდეთ ერთი და იგივე მხატვრის მიერ შესრულებულ სათეატრო და კინო-ესკიზებს, რომ ამაში დავრწმუნდეთ.

ა. კაკაბაძე სპექტაკლისათვის შესრულებულ ესკიზში („მოვარის მოტაცება“) კომპაქტურ და ნაღვარს წარმოგვიდგენს; ეს დანაღვარი სცენის საერთო სიერციდან პირობით სიერცეს გამოჰყოფს, ხოლო კინო-ესკიზში კი (ფილმისთვის „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“) ხაზგასმულია გამოსახული სიერცის ფრაგმენტული ხასიათი. ასევე, მხატვარ კ. ხუციშვილის ესკიზში სპექტაკლისათვის „კაცია ადამიანი?!“ ჰიპობოლიზებულიადაა გამოსახული საწოლი, რომლის საშუალებით მოქმედების სიერცე კონცენტრირებულია სცენის „ჩარჩოს“ — პორტალის საზღვრებში. იმავე მხატვრის კინო-ესკიზში კი იქმნება სიერცის გაზრდის შთაბეჭდილება კადრის საზღვრებს გარეთ.

სრულიად ბუნებრივია ქართული თეატრისა და კინოს დადგმების ფართო აღიარება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც, რაც ქართველ მხატვართა შემოქმედების მაღალ შეფასებაზეც მეტყველებს.

ქართული

სცენოგრაფიის

სკოლა

ციხანა კუხიანიძე

მსანამდრინვე ქართულ სცენოგრაფიაში სიახლეს აღარ წარმოადგენს სპექტაკლის თამაში სახვითი გადაწყვეტა, დრამატურული ნაწარმოების ორიგინალური წაკითხვა, რეჟისორის ფუნქციებში შეტრა და თანავეტრობა, დეკორაციის სიმბოლურად გააზრება, ფერის ძლიერი, ემოციური დატვირთვა, მასალის მხატვრული დამორჩილება, ზოგჯერ ფაქტურის საპირისპიროდაც, ლაკონიზმი და სხვა. აღნიშნული თვისებები მკაფიოდ გამოვლინდა ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზე მოწყობილ სეზონის შემავამებელ თეატრალურ გამოფენაზე (ა.ე. სორავას სახ. მსახიობის სახელში).

თბილისის სახელმწიფო სურათების გალერეაში გამართულ, თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე, აღნიშნულ თვისებებთან ერთად, ძლიერად გამოიკვეთა ესკიზების დაზგური ხასიათი და დეკორატიულობა,

რამაც განსაკუთრებული საზეიმო ელფერი შესძინა მას. ეს იყო გამოფენა, რომელიც გამოირჩეოდა არა მხოლოდ ნაწარმოებთა სიზრავლით, არამედ, რაც მთავარია, მათი მხატვრულ-ემოციური ზემოქმედებით.

გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპოზა დაზგურობა და დეკორატიულობა როდი წარმოადგენდა მხატვართა თვითმიზანს, ნამუშევართა დიდ ნაწილს მხატვრული გამართლება გააჩნდა, რამდენადაც ესკიზებში გადაწყვეტილი იყო სცენური სივრცის ორგანიზაციის ამოცანები. გარდა ამისა, თანამედროვე ქართულ თეატრალურ მხატვრობაში საცენო ესკიზის სიახლოვე დაზგური ფერწერის ნაწარმოებთან უნდა აუხსნათ, ერთის მხრივ, მხატვრების ფართო შემოქმედებითი შესაძლებლობებით და, მეორეს მხრივ, დრამატურგიული მასალის ძლიერი განცდით, რომლის განტვირთვასა და გამოფენას სცენოგრაფები სამუშაო ესკიზის მხატვრულ სრულყოფაში პოუბენ. რა თქმა უნდა, სპექტაკლში ჩანაფიქრის განხორციელება მეორე შემოქმედებითი საფეხურია. დღევანდელ სცენოგრაფიაში შეინიშნება ძიებათა გაგრძელება სპექტაკლის განხორციელების მერეც. ზოგჯერ სპექტაკლის დადგმის შემდეგ მხატვარი ახალ ესკიზს ქმნის, რათა, ერთის მხრივ, ხორცი შეასხას დადგმის პროცესში მიგნებულ სიახლეებს და, მეორეს მხრივ, დამთვალეირებულთან შემოქმედებითი კონტაქტი დააყაროს. ასეთი მისწრაფება მისასაღებელია. სასურველია სცენოგრაფის ამ მხარეს მეტი ყურადღება დაეთოს, რადგან ამით ორი დიდი საქმე კეთდება: სპექტაკლის ისტორიაში რჩება მისი მხატვრული გაფორმების სრულყოფილი სურათი და, მეორეს მხრივ, ხელოვნების ისტორია იძენს დაზგური თვისებების ესკიზს. ზოგიერთი მხატვარი თეატრალური ესკიზის დაზგურობასთან სინთეზს პირველივე საფეხურზე აღწევს.

საქართველოს მხატვართა შემოქმედებაში ნაოლად ვლინდება ეროვნულობა, შეთავსებული ზოგადკაცობრიულ თვალთახედვასთან. სცენოგრაფები მსოფლიოს თეატრებისათვის მისაღები, ყველასათვის გასაგები, თანამედროვე სახეითი ხერხებით ხსნიან როგორც ეროვნულ, ასევე უცხო ქვეყნის დრამატურგიულ ნაწარმოებთა არსს.

გამოფენა გამოირჩეოდა სახეითი ტექნიკის მრავალფეროვნებით, მასალასთან თავისუფალი დამოკიდებულებით, მის მხატვრულ ღირსებათა გამოვლენით.


ქართველ მხატვართა შემოქმედების კიდევ ერთი ნიშანდობლივი მხარეა ადამიანის ფსიქოლოგიურ დახასიათებაზე ყურადღების გამახვილება, რაც საგრძნობია ყველა ქანრის ნაწარმოებში, იქნება ეს ტრაგედია თუ კომედია, ზღაპარი თუ ყოფითი სინამდვილე. ქართული სცენოგრაფია ხასიათდება პოეტურობით, სპექტაკლის მეტაფორული გააზრებით.

საქართველოს მხატვრები ავითარებენ ქართული საბჭოთა თეატრალური სკოლის ფუძემდებელთა (ივ. გამრეკელის, პ. ოცხელის და სხვთა) მდიდარ ტრადიციებს და ხელოვნების ახალ სიმაღლეებს იპყრობენ. ისინი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აღზრდილები არიან. ეს კი ქართული სკოლის ძლიერებას ნიშნავს, რომელსაც დღეს სა-



თ. შურვანიძე ესკიზი სპექტაკლისათვის «ცხოვრება და სიკვლილი ბარონ მელნაჰუენისა» (პაქვანიშვილის თეატრი, 1977).

მ. ხუციშვილი ესკიზი სპექტაკლისათვის «უბედურება» (გორის დრამატული თეატრი, 1976).



თავეში უდგანან და პედაგოგიურ მუშაობას წარმართავენ: ფ. ლაპიაშვილი, დ. თაყაიშვილი და სხვები.

თანამედროვე ქართული თეატრალური სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელი ფ. ლაპიაშვილი გამოფენაზე წარმოგივდება მასშტაბური, კონსტრუქციულ-ფორმული დეკორაციებითა და კოსტუმთა მეტყველი ესკიზებით. ექსპონირებული იყო მისი „ხოვანის მიწილი“, „ტიკაცა“, „პეპო“ და „დონ-კარლოსი“. ნაწარმოებთა მარტო დასახელებაც ცხადად აქვთ მხატვრის შემოქმედებითი დიაპაზონის სიფართოვეს. დრამატურული ნაწარმოებთა განსხვავებული ხასიათის მიუხედავად, დამთვალეირებული ადვილად ხვდება მათი ავტორის ვინაობას, იმდენად სპეციფიკური, ინდივიდუალური ხელწერა აქვს ფ. ლაპიაშვილს. კომედიასა და ტრაგედიას, მუსიკალურსა და დრამატულ ნაწარმოებს, ეროვნულსა და უცხოურს მხატვარი რომანტიკული საბურველთ მოსახსნად ყოველთვის ამბულბულ განცდებს იწვევს მაცურებელში.

ფ. ლაპიაშვილის ახალი ნამუშევრია გ. სუნდუიანის „პეპო“, რომლის ესკიზებშიც, მისთვის ჩვეულ მონუმენტურ და სადა ფორმებში, მხატვარმა ჩააქოვა ოცნება ხალასი სულის ადამიანებზე. მთვარის მგრთალი შუკით განათებული პეპოს ბანიანი კარმიდამო მშვიდი, სადა ფორმებით უპირისპირდება უგემოვნებო ზომიზომივების სახლის ინტერიერს, მის ზიზილ-პიპილეს.

მეზღედავად იმისა, რომ სოციალურმა კონტრასტმა მკაფიო ასახვა ჰპოვა სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაში, ყველა მოქმედება და სურათი ერთი სტილისტური მხატვრული პრინციპითაა შეტრული, რაც თანამედროვე ქართული სცენოგრაფიის მხატვრული გეზია.

სცენოგრაფიის დიდოსტატის ს. ვირსალაძის ნაწარმოებები გამოფენაზე ვერ ვიხილეთ. მხატვარი — მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწეობს და დიდი ხანია ემსახურება მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრებს, მაგრამ მისი შემოქმედებითი საფუძველი მაინც ქართული სკოლა და ტრადიციაა.


ექსპონიციაში საკუთარი ხმით გამოირჩეოდა აგრეთვე მდიდარი გამოცდილებისა და ორიგინალური ხელწერის ოსტატის დ. თავაძის ნამუშევრები: „ირჩარდ III“ და „ანტიგონე“. მხატვარი ერთგან თუ ბერძნული არქიტექტურის განადიოზული ფორმების მშრალ სიმეტრიას უმორჩილებს ტრაგედიის ენებათა ლევას, „ირჩარდ III“-ში უაღრესად პირქუშ ფორმებში ავლენს ფერის დრამატიზმს. სავგარეულო ლერბთა სამოლოური გამოსახულება ლივლივებს სისხლისფერსა და ბნელით მოკულ გარემოში.

ქართული სცენოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო და ღვაწლმოსილი ოსტატი ი. ასკურავა გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებთა მაკეტებითა და ესკიზებით. „სველიელი დალაქი“ მ-სუქე, სალადობთ განწყობას გადმოვცემს, „ჰამლეტი“ და „ფაუსტი“ ტიტანური ძალთა მაღალ სულიერ ტრაგედიასზე გვესაუბრება.

ი. ასკურავას შემოქმედებაში მრავლად მოიპოვება ისეთი ნამუშევრები, სადაც ილუზორულად გადაწყვეტილ დეკორაციაში ჩართულია, გაბედული, თანამედროვე თეატრისათვის დამახასიათებელი პირობითი ელემენტები, გამოფენაზე მან თითოეული ნაწარმოები წარმოგივდინა მხოლოდ ერთი მხატვრული პრინციპით გადაწყვეტილი. „ჭიხელი“ თუ ილუზორული მიდგომითაა შესრულებული, „ფაუსტი“,

3. შედეგი

მაკეტი სპექტაკლისათვის „მოილის-კი“ (რუსთაველის თეატრი, 1977).



„პამლეტი“ და „სველიელი დალაქი“ მეტი თეატრალური პირობითობით გამოირჩევა.

შ. ჩიქოვანის კოლორისტულად მდიდარი ნამუშევარი — ჯ. ვერდის „ტრავიატა“ თხრობით-ალწერილობითი ხასიათისაა. თავისთავად მშვენიერი დეკორაციები, ჩვენის აზრით, ვერ გადმოსცემს ნაწარმოების ლირიკულ-ფსიქოლოგიურ ხასიათს.

შ. ხუციშვილის ესკიზებში სპექტაკლებისათვის „ბაბაჯანას ჭოშები“, „უბედური შემთხვევა“, „მამის მკვლელი“, „უბედურება“ და „ახალგაზრდა გვარდია“ დრამატურგიული აზრის სიღრმე გამოხატულია მკაფიო სისადავით. მხატვარს ყველა მოქმედება ერთიანი უმეტესად კომპაქტური დეკორაციით აქვს წარმოდგენილი, იქმნება ფერისა და კონსტრუქციული ფორმის პოეტური სიმბოლიკა. შ. ხუციშვილის დეკორაციები, რომელსაც სპექტაკლის კომპონენტთა შორის ერთ-ერთი წამყვანი როლი უჭირავს, ერთ ორგანიზმადა შეგროვდა.

მ. მალაზონია გვიხილავს ეროვნული ძარღვის სიმტკიცით, ქართულ ტრადიციების სახვით სიახლესთან ოსტატური შეხამებით.

ერთი მეორეზე საუკეთესო ესკიზებიდან, როგორცაა „სირანო დე ბერჟერაკის“ კოსტუმები; „დავით VII“ და სხვა, ძნელია გამოვარჩიოთ რომელიმე და არაფერი ვთქვათ დანარჩენებზე, მაგრამ აქ მხოლოდ თითოღვე ნიმუშზე შევჩერდებით.

მ. მალაზონიას „აბესალომ და ეთერის“ ორივე ვარიანტი ავგებულა დეკორატიული პრინციპითა და სტილიზაციის ხერხებით. მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ მხატვრულ ნაწარ-

მოხებად იკითხება. თუ პირველში ქართული ზღაპრისა და რელიური სინამდვილის რომანტიკული წარმოსახვა, აგრეთვე არქაული რელიეფური გამოსახულებანი სჭარბობს, მეორეში მხატვარი ქართულ ავთენტურულ და მცენარეულ ელემენტთა დეკორატიული წყობით გადმოგვცემს ნაწარმოების როგორც აზრობრივ, ასევე მუსიკალურ სახეს. მეორე ვარიანტში განსაკუთრებით გამაშუქავნდა მ. მალაზონიას მონუმენტურ ფერწერაში მუშაობისაკენ მისწრაფება. იარუსებად განლაგებული ფერწერული დეკორაციები, გარდა იმისა, რომ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მასშტაბებით, ფერის ქედრადობით და ეროვნული ფორმით, უაღრესად მოხერხებულა და ორიგინალური მიზანსცენების ვერტიკალური და ფრონტალური განლაგებისათვის. დეკორაციების ნაწილებად დაშლა სპექტაკლის დინამიკას უწყობს ხელს და მომღერალს თავიდან აცილებს აღმა-დაღმა სიარულის საჭიროებას, ეს კი სუნთქვისათვის მნიშვნელოვანია. დეკორაციების დანაწილებას სიმბოლური დანაშნულებაც გააჩნია. საქორწილო ტახტი ორ ნაწილად იყოფა და იარუსებთან ერთად ცალკეედება, რაც ეთერისა და აბესალომის განშორების ხატოვან სურათს წარმოადგენს.

ე. დონცოვამ წინა გამოფენაზე თუ გორკის „უკანასკნელი“ დაგვიანტერესა, ამჟამად „არშაკ II“-ს დეკორაციის ესკიზით მიიპყრო ჩვენი ყურადღება. მასიური ფორმების სისადავე, დინჯი ზომწვანო ოქრისფერი კოლორითი, ძუნწი დეკორატიული დეტალები, როგორცაა აქა-იქ შემორჩენილი ფეაადი ქვის ფრაგმენტები, კედლებს წარსულის უტყვე მოწმის როლს აკისრებს.

„სამულის“ (თ. ჭიჩიკიძე, ა. სლონინსკი, ი. ჩიკვაიძე) ხატოვან ნაწარმოებთან, რომლებიც გამოფენაზე იყო წარმოდ-

ა. ჭიჩიკიძე კოსტუმები სპექტაკლისათვის
ბ. სლონინსკი „ბერიკაობა“ (მარჯანიშვილის თეატრი, 1974).
ი. ჩიკვაიძე

მ. მალაზონია



ესკიზი სპექტაკლისათვის „მოვარის მოტაცება“ (თბილისის ოპერის თეატრი, 1978).

კენილი, „ოიდიპოსს მეფის“ გაფორმება გამოირჩევა ჩანაფიქრის სიმარტყეობა და გრძობათა გადმოცემის სიმძაფრობა, ხანა მშფოთვარე დინამიკითა და მათი მკაცრი, რიტუული დინამიით. „ოიდიპოსში“ დეკორაცია არც არის. იგი წარმოადგენს ამფითატრის ნაწილს, რომელზედაც დგას ქორო. ეს არის და ეს მხატვრები მარტივი, მაგრამ ორიგინალური ხერხით, როგორცაა კოსტუმების ერთ მილიან ქსოვილში გაერთიანება, უდიდეს სცენურ ეფექტს აღწევს სპექტაკლშიც. „სამეული“ თავიდანვე განსაზღვრავს მიზანსცენების კომპოზიციას, მსახიობთა მოძრაობის ტემპსა და რიტმს, მის ხასიათს. სპექტაკლში ქოროს ყოველ ამოძახილსა და გოდებას მოსდევს კოსტუმები ერთიანი ქსოვილის რიტმულ-ხასხობრივი მოძრაობა, რაც ტრავმისმიტ ალკასვე მუსიკალურ მელოდიასთან ერთად, წარშულად შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე.

რაც შეეხება ქოროს უკან დაკიდებულ აბლაბუდას, იგი ოიდიპოსის სამეფოში გაფრეცილებული ქირის სიმბოლოდ გვევლინება. აღნიშნული დეტალი ძნელად ამოსასწნელია. ჩვენ ახრით, იგი ამოვარდნილია სპექტაკლის ძირითადი მხატვრული გადაწყვეტისაგან, არ ესაშება იმ პათეტურ ფორმათა სინატივებს, რომელიც კოსტუმებსა და მიზანსცენებშია. გამოფენაზე წარმოდგენილ ესკიზსა და მაკეტში ეს დეტალი არ იყო გამოსახული, მაგრამ მათი მხატვრული შემოქმედება ოდნავადაც არ შესუსტებულა სპექტაკლთან შედარებით.

ჯ. ჰერდის „როგოლუტოსთვის“ შექმნილ მაკეტში მხატვრები ძუნწი ნერვებით ბუერის თქმას ახერხებენ. დიდი მასშტაბის მრგვალ დრამაში თეთრი ატლასით და მაქმანით მორთული კედლებიდან შემოგვეცქერია ველურ ცხოველთა ნიღბები, რომლებიც მუსუბუთი ყოფაქცევის არისტოკრატთა სიმბოლოდ სახეებს წარმოადგენენ. მათი კისრებიდან კედლებზე ნაღვენთი სისხლი არისტოკრატთა ცხოველური ინსტიქტების მეტაფორად აღიქმება.

თ. მურვანიძის შემოქმედებამ უცხოეთის თეატრებიც დააინტერესა. მან პოლონეთში არა ერთი სპექტაკლი გააფორმა, მათ შორის ბ. ბრესტის „კავკასიური ცარცის წრე“ და ს. პროკოფიევის „ჯგერისწერა მონასტერში“. ორივე მათგანი გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. თუ „კავკასიური ცარცის წრე“ ფორმათა გამოხატულობითა და ფსიქოლოგიური სიღრმით გვიპყრობს, „ჯგერისწერა მონასტერში“ ფერწერულობითა და მუსიკალური ნახატივ გვატყვევებს. „ჯგერისწერა მონასტერში“ და „ღამურა“, „შათიან ხიხო“ და „ჩანჩურა“ ფერთა სიმფონიაა, ხოლო „ედმუნდ კინი“, „მომავალი დაღის ქალაქში“ და „ჯადოსნური ქვა“ კონსტრუქციულ ძიებათა საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს.

თ. მურვანიძე ძირითადად მუსიკალურ სპექტაკლებზე მუშაობს, მაგრამ არა ნაკლებად ფრთხილია მისი მხატვრული აზრი დრამატულ სპექტაკლებშიც, როგორცაა გ. კორინის „ცხოვრება და სიკვდილი ბარონ მიუნაუხუნისა“, დორეცკის „უცხო კაცი“ და სხვ. მის ესკიზებში სცენოგრაფიული ფორმა ყოველთვის ექვემდებარება შინაარსს. როგორც მხატვარს, კოლორითის მიღწერა დეკორაციები იზიდავს და დი-

დი გატაცებით ქმნის ფერთა დრამატურგიას. დორეცკის „უცხო კაციში“ კი შავ-თეთრი ფერთი ისაზღვრება, რაც ნაწარმოების მკაცრ ხასიათს შეესაბამება.

ქართულ სცენოგრაფიაში ერთ-ერთი მკაფიოდ გამოვლენილი თავისებურება სპექტაკლის გააზრება ერთიანი მხატვრული პრინციპით. ეს კარგად ჩანს გ. გუნიას ნამუშევრებში. უმრავლეს შემთხვევაში ფანტაზია. ყოველი მისი ახალი ნაწარმოები გვიზიდავს ორიგინალობით, თვითმყოფადობით, აზრის სიღრმით. მისი ბოლო ნამუშევარი „ყივხალი შემომყვარა“, აღნიშნულთან ერთად, გამოირჩევა წარსლის განცდით, ხალხური ფორმათა უშუალოდ, ესკიზებში მეტყველია სადა და მკვეთრი კონტრულური ნახატი, აზრი გადმოცემულია მარტივად, რაც არც თუ იოლი მისაღწევია.

შავ ფონზე თიბების დატვირთვა, ასომთავრული ნაწერი და ფლეთილი პერგამენტი, თავმოჭრილი ანგელოსი, კოჭრისანი ფოთოლგაცყინილი ორი ზე, დაღარულ კიდევებიანი მოედნები საქართველოს წარსლის შემადრწუნებელ სიმბოლურ სურათს წარმოადგენს. დეკორაციის თითოეული ელემენტი ექსპრესიულია და მეტყველი. დეკორაციაში ნახატის დინამიკას ერთგვარად უპირისპირდება პერსონაჟთა მუშაობებით გაქვავებული სახეები და მათი სტატიკური ფიგურები, ზეაწეული მკლავები უსიტყვოდ მიგვიჩვენებს ისტორიულ ქართველზე, კართივნილი ხალხის ძნელდებობაზე. ტანჯული სახეები ქვეყნის სატკივარზე დააღწერს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო „მეფე ლირი“, „შუშანიკის წამება“, „გაბია სიავე“, „პიკის ქალი“ და სხვა ნაწარმოებები, რომელთაგან ძნელია საუკეთესოს გამოყოფა. თითოეული მათგანი მხატვრის შემოქმედებით ფანტაზიის მეტყველი ხორცშესხმაა. გ. გუნიას მიღწერის სცენოგრაფიული აზროვნება ახალ დეკორაციულ ფორმებს ბადებს და მაყურებელი მის ესკიზებსა და მაკეტებში დრამატურგულ ნაწარმოებსაც ახლებურად კითხულობს. მხატვარი სცენურ სივრცეს უმეტესად პერსონაჟებთან კავშირში ქმნის, რის გამოც უფრო ემოციური და მკაფიო დრამატურგიული ნაწარმოების მხატვრული ინტერპრეტაცია. ესკიზებში ნახატის გრაფიულ სიმკვეთრეს ყოველთვის ახლავს ფერწერულობა.

გ. ალექსი-მესხიშვილი ჩვეულებრივ, ყოფით ნივთებს მხატვრული ეფექტით მოგვაწოდის, რის ნივთი მაკალითი იყო გამოფენაზე წარმოდგენილი ესკიზები სპექტაკლისათვის, „სამგროშინი ოპერა“.

ცხოველხატულია „დრაკონისთვის“ შექმნილი სიმბოლური ფერა. ქ. თქუთა თეარ. მაქმანზე თავი მოუყრიათ მის მომასწავებელ შავ ყვავსა და მშვიდობის მაუწყებელ თეთრ მტრედს, ხალხის ინტერესების დამკველ შუბოსან წმინდანსა და სიბნელის მოყვარულ ბუს, თეთრ წმინდა სანთლებსა და ფერადი ყვავილების გვირგვინს. პიესის არსი, სიკეთის ბრძოლა ბოროტებასთან, კონკრეტირებულია კომპოზიციურად ნახატთან ფარდობაზე. იგი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს როგორც სპექტაკლში, ასევე ნახევარმაკეტში.

გერდს ვერ აუვლით „დალატა“, რომელიც გამოირჩევა დეკორაციის მთლიანობითა და აზრის მკაფიოობით. აქ-იქ დამწვარ-ჩამოფლეთილი ქსოვილით შემოკავებული სცენური მოედანი საკარაველთს მძიმე წარსულზე მიგვანიშნებს, ხოლო ავანსცენაზე მთავსებული ნორჩი ნერჯი მის უკრობ სიცოცხლეზე. მეომარი წმინდა ვიორჯის ხატი და მიხკენ ადამიანი კიბე კი რწმენისა და გამარჯვების ერთ-ერთი წმინდა გზაა, ქართველი ხალხის ოცნება და ლოცვაა საკარაველთს მხსნელ ვიორჯისუკ.

ფერთა სიმდიდრით გამოირჩევა გ. ალექსი-მესხიშვილის „ოპელია“. კოსტუმების შექმნის დიდი ოსტატობა გვიჩვენა მხატვარმა ამ სპექტაკლში, თუმცა გამოფენაზე მხოლოდ დეკორაციის ესკიზები იყო წარმოდგენილი. თითოეულ მოქმედებას თავისი კოლორიტი გააჩნია — შუაგანე, ცისკენი ფერმკრთალი ტონები ერთმანეთს ასესება და ნაწარმოების ორი სურათი ერთ მხატვრულ მთლიანობაში იკითხება. ფერადი შექწრა ცისფერი და მწვანე ტონების აძლიერება და მხატვრულკოლორიტულ მთლიანობაში იჭრება. თითოეულ მოქმედებას მდიდარი ფერწერული სახე გააჩნია და გეგმავებებს მხოლოდ საკუთარი, დამოუკიდებელი იერით.

ნ. ინგატაის შემოქმედება გვიხილავს ეროვნული თემის ღრმა შგერძნებით, ქართული ტრადიციების ახლებური გააზრებითა და ყოფის უფაქიხეს ნიუანსთა წვდომით.

ამის მავალითაა მისი „ბერეკობა“, რომელიც გამოფენაზე ორ ვარიანტად იყო წარმოდგენილი. დიდი სიყვარულთა ჩასოვილი ხალხისა და ბერიკების მხატვრულ სახეებში.

მ. ჭავჭავაძის სცენოგრაფიული შემოქმედება გამოირჩევა დეკორაციისა და მისი შემადგენელი ელემენტების დანამოურობით, რაც ყოველივეს ნაწარმოების კონცეფციიდან გამომდინარეობს და მხატვრულ გამართლებას პოულობს: მისი დეკორაციები სან დეტალებად იშლება, სან შენდება და ახალ სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. მტკიცელი სცენოგრაფიული მხატვრული გააზრებით გამოირჩევა „სიმინა მამარის სისმრები“, „ამლეტი“, „საპანიშვილის დედინაცვალი“, „იულოის კეისარი“, „დალი კეცხოველი“ და სხვ.

ა. ჭელიძე თამამად მოაზროვნე თეატრალური მხატვარია, რაც კარგად ჩანს მის მავტებსა და ნახევარმავტებში. მკაფიო და ნათელია ამა თუ იმ დრამატურგიული ნაწარმოების მხატვრისეული ინტერპრეტაცია. დეკორაცია რეჟისორს გარკვეულ პროგრამას სთავაზობს. ამაზე მეტყველებს „რევიზორის“, „ფიროსმინის“, „გვირგვილიანების ოჯახის“, „ელექტრის“ გაფორმება. თითოეული მავტიტი გამოირჩევა მხატვრული გადამწყვეტის სისადავითა და აზრის სიხეველით, ფაქტურის შერჩევით, ეპოქისათვის სახასიათო დეტალების მიცნებით.

ქართული ლეგენდების ცოდნა და მხატვრული ამოცანით გულწრფელი გატაცება იგრძნობა ი. გვეგშიძის მიერ გაფორმებულ საბალეტო სპექტაკლების ესკიზებში.

„მედია“, მხატვრის სხვა ნაწარმოებთა მსგავსად, ხასიათდება დეკორაციისა და კოსტუმების მხატვრული მთლიანობით.

აქრომატული ფერებით ნახატ პანოზეზე ბერძნულ-ქართული ცხოვრების ეპიზოდები და მოქალაქეთა სახეებია გამოსახული. ნახატის სილალე და დაძაბული რიტმი უდმინწენით ხატვანა. მხატვარმა სრულიად ახლებურად გამოიყენა ტრადიციისათვის ოდითგანვე მიღებული ორი ძირითადი ფერი — წითელი და შავი, ახალი ძალით განავადვეინა ფერთა ნაცადი შესამება კოსტუმების აფრიალებული, ბაფთისებურად დაჭირილი წითელი და შავი ენები, ასვე სიმბოლურად გააზრებული, შავი ცნემლითა და წითელი სისხლით დასერილი გრძელი პანოების ერთობლივი მოძრაობა ფერადგან რიტმს წარმოქმნის სტენაზე და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მავრებელზე.

ი. გვეგშიძე სათუთად გვიღება ქართულ ზღაპარს და ახალი მხატვრული ხედვით ამდიდრებს მას. ასეთია მისი „ჩინჭრაქა“ და სხვ.

საკუთარი თვალთახედვით, ნიდარი ფანტაზიით ხასიათდება მხატვრის ქალების — თ. გინეს და თ. თავაძის თეატრალური შემოქმედება.

თ. გინეს ესკიზები ზოგჯერ სპექტაკლში კარგავს იმ პოეტურობას, რაც მათ გააჩნია. ასეთია კოსტუმები „ჯადოსნური ფლეიტისათვის“, „რეკვიემი მონაზონზე“ (ეს უკანასკნელი თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სადაბლოში სპექტაკლია). დეკორაციის ესკიზში მოცემული მასშტაბების შემცირებამ და შეცვლილმა ფაქტურამ შეანება ის მხატვრული ძალა, რომელსაც ნახატი იწვევს.

ე. ნუციშვილის „აკაცია ადამიანი“ დაზგური ფერწერის ნაწარმოებს უახლოვდება. სატირული იერის დეკორაციებში მხატვარი მავილად გააზრებულ მონასცენებს გვთავაზობს. მუხარასია და დარეჯანის გაზულუქებებით სახეები თითქოს ტახების ვეებრთელა ქონიან თავებთანაა გაიგივებული და ასოტირებული, ხოლო თთახნი მიელ სიგრძე-სიგანეზე გადაჭირული აფუებული საწლი მეთნარობისა და სიზარმაცის გამოსატვის ხატოვან ხერხად იკითხება.

უ. იმერლიშვილი თავის შემოქმედებაში ხშირად აღწევს ადამიანთა და გარემოს ფსიქოლოგიურად ზუსტ და მხატვრულად მეტყველ დახასიათებას. საამისოდ იგი კარგად იყენებს ჩვეულებრივ ყოფით ნივთებსა და საგნებს. საინტერესოა გაფორმება სპექტაკლისა „ძველი თბილისის სურათები“, „ყოჩალი ჯარისკაცი შვეიცია“, „ბიჭუნა“, „ქოში ავი ძალია“ და სხვა.

თეატრის და კინოს მხატვართა ნამუშევრების რესპუბლიკურმა გამოფენამ არა მხოლოდ ჩვენი სცენოგრაფების ოსტატობის ზრდა დაგვანახა, არამედ შემოქმედებით ინდივიდუალურბა სიმრავლეც, რაც მეტად საინტერესოს ხდიდა მთელ ექსპოზიციას.



მ. ქობაკიძე, ა. ხლოვიწყი, ი. ჩიკავაძე

ესკიზი მულტფილმისათვის „სადა არის ჩემი სახანა“ (1977)

ტრადიციებზე დაყრდნობით

ირინე ძუცოვა

მშატრისა და კინოს მხატვართა დიდ რესპუბლიკურ გამოფენაზე ექსპონირებულმა, სხვადასხვა თაობის მხატვართა ხუთასამდე ნამუშევარმა ნათლად წარმოგვიდგინა ის აღმავლობა, ქართული თეატრალური ფერწერა რომ განიცდის, გაგაცნოთ შემოქმედებითი ძიებები ეროვნული სახვითი ხელოვნების ამ დარგში. ასეთი დიდი მასშტაბის ექსპოზიცია თეატრალურ-დეკორატიულ მხატვრობაში ჯერ არ გამართულა. მოწმენი გაგზდით იმისა, თუ რამდენი ნიჭიერი, საკუთარი ხელწერის შემოქმედი იღვწის სათეატრო მხატვრობის სარბიულზე. ისინი ისწრაფვიან შექმნან ღრმა ფილოსოფიური შინაარსის სახეები, ფაქიზად კვიდებიან ეროვნული თეატრალური კულტურის ტრადიციათა თავისებურებებს. ქართველი მხატვრები წარმოგვიდგენენ როგორც ახალი სცენური აინთეზის შემქმნელები და, ამავე დროს, მაღალი სახვითი ოსტატობით აღჭურვილები. მათი ესკიზები და მკაეტები გამოირჩევიან არა მხოლოდ თეატრისათვის სპეციფიკური, მაღალი ღირსებებით, არამედ წმინდა მხატვრული ღირსებებითაც, მკაფიო ფერწერულობითა და ნათელი დეკორატიულობით. ქართული თეატრალური მხატვრობის ბრწყინვალე ტრადიციებზე დაფუძნებული მათი ხელოვნება წარმოგვიდგენს ეროვნული თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების მრავალმხრივსა და ორიგინალურ სკოლას.

როცა თეატრალური მხატვრობის ტრადიციათა მემკვიდრეობითობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვყავს ახალგაზრდობა, რომელთა შემოქმედებაც ბოლო ათი წლის მანძილზე ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს.

ახალგაზრდების გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები (ზოგიერთმა მათგანმა სულ ახლახან დამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია) ძირითადად იმგვარადვე შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მათი წინამორბედი მხატვრების შემოქმედება. მაგრამ შესამჩნევია რიგი მხარეებისა და ტენდენციებისა, რაც ნიშანდობლივია როგორც ცალკეული მხატვრისათვის, ისე საერთოდ 70-იანი წლების თაობისათვის.

შემოქმედებითმა ახალგაზრდობამ დამაჯერებლად გვიჩვენა დაუფლება სკოლისა, რომელიც 60-70-იანი წლების მხატვრულ პრინციპებს ეფუძნება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გამოფენის ექსპოზიციაში შედიოდა სცენურად განხორციელებული და განუხორციელებელი (ასეთი ცოტა იყო) ნამუშევრები, რომელთა ავტორებს უკვე სტუდენტობისას უმუშავიათ თეატრში თავიანთი ესკიზების სკინაზე ადასაბაანად. ასე რომ, თეატრისადმი მათი დამოკიდებულება და სასცენო ფერწერის ამოცანათა გაგება გონიბაჭურეკით კი არა, ცოცხალი, კინერეტული და ქმიითია.

ახალგაზრდა თეატრალურ მხატვართა შემოქმედება გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თ. ნინუას, შ. შველაშვილის, მ. შველიძის, თ. გომელაურის, ს. ლარიაშვილი-წერეთლის, ლ. მანთიძის, გ. მღერბიშვილის, უ. ხუმარაშვილის, გ. ბაქრაძისა და სხვათა ნაწარმოებებით. დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზებში, მკაეტებში გარკვევით ჩანს ახალგაზრდა მხატვართა სურვილი—კი არ განკავციფრონ ახალი ფერწერული და პლასტიკური ხერხებით, არამედ ცდილობენ ღრმად ჩახედონ მაყურებელი სპექტაკლის არს-

მი, ჩასწვდენენ დრამატურგიის ფსიქოლოგიურ სიღრმეს.

შ. შველაშვილი ძალზე პროდუქტიული მხატვარია. უკვე რამდენიმე დადგმის განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა. მეტეხის თეატრის სპექტაკლების გაფორმებაში — „შევედრები ძველ ფურნში“, „განკითხვის დღე“ კარგად ჩანს თუ როგორ შეესატყვისება ჩანაფიქრის მისი სცენური ხორცხეხნა, რაც თეატრალური მხატვრის შემოქმედებით გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ. გადაუჭარბებლად შეიძლება ვთქვათ, რომ შ. შველაშვილის სამი ესკიზი შექვიძის „რომეო და ჯულიეტასთვის“ (სადიპლომი ნამუშევარი) უკვე გამოცდილი ოსტატის ნახელავს უტოლდება.

თ. ნინუას ნამუშევრებში მკაფიოდ ვლინდება მხატვრის ნიჭის თავისებურება. იგი ერთნაირი გულწრფელი ვეიდება როგორც სანასაობრეო-სათამაშო, სასცენო მხარეებს, ისე პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ დახასიათებას კოსტუმთა ესკიზებში. დიდეს, როგორც არასოდეს, თეატრის მხატვრის ფერწერული ოსტატობა უნდა შეგრძნავს ტკმნიკურ გამომოგონებლობას, თუ გნებავთ, დიზაინსაც კი. თ. ნინუა თავისუფლად ფლობს ორივეს. იგი ავტორია კოსტუმთა ტრადიციული ესკიზებისა და ნამუშევრებისაც, სადაც ერთდროულად გამოყენებულია ფერწერა, გრაფიკა, კოლაჟი და არქიტექტურული ფორმები. დიდი გამომოგონებლობით, მსუბუქი იმპროვიზაციით მიჰყავს მას მკაფიოებული სპექტაკლის სახეობრივი აღქმისაკენ. ეს ჩანს სპექტაკლების „ბურატინოს თავგადასავალი“ (ა. ტოლსტოი), „შოთთან დღე“ (დ. ბისეტი) გაფორმებაში.


თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის ასლადკურსდამთავრებულია — ს. ლარიაშვილი-წერეთლისა და თ. მაჭავარიანის ნამუშევრებში იგრძნობა ფერწერულობის ტენდენცია და სცენური რეალიზმის პრინციპების ერთგულება. ს. ლარიაშვილი-წერეთლის დეკორაციის ესკიზები ვ. შუკშინის პიესისათვის „ენერგიული ადამიანები“ გამოირჩევა საკმაოდ შეზღუდული სახითი საშუალებების გამოყენებით, სცენური მოქმედების განზოგადებისაკენ სწრაფვით, კარგად მიფიქრებული და სტრუქტურულად მარტივია დეკორაციის კომპოზიციური წყობა. იგივე შეიძლება ვთქვათ თ. მაჭავარიანის ესკიზებზე ა. ცაგარლის „ხანუმასათვის“.

თ. კომელაურმა გამოფენაზე წარმოადგინა მკვეტი ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის სპექტაკლისათვის „ახალგაზრდა გეგარდის სახელით“ (ა. ფადეევის რომანის მიხედვით). ეს სპექტაკლი, როგორც ცნობილია, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიით აღინიშნა. სპექტაკლის მაკეტში მკაფიოდაა გამოვლენილი სცენური გაფორმების პირობით-ასოციაციური ხერხები. მთელი წარმოდგენის მანძილზე ყურადღების ცენტრშია ერთიანი კონსტრუქციული დანადგარი. სცენ-



შ. ტერ-მინისაიანი

ესკიზი სპექტაკლისათვის „ჩვენ 120 წელსა ვართ“ (ს. შუშომინის სახელობის სიმუხური დრამატული თეატრი, 1978).



ბ. გუნია

კოსტუმის ესკიზი სპექტაკლისათვის „ყვიჩაშვილი შემომეყარა“ (რუსეთის თეატრი, 1978).



ე. დონცოვა

ესკიზი სპექტაკლისათვის „კატა-თავკობანა“ (გრიბოედოვის თეატრი, 1975).



ნური სივრცის მოწესრიგების ამგვარი ცდა არა თვითმხსნარია, არამედ სცენოგრაფიულ ხერხს წარმოადგენს. ლიონის კონსტრუქციის უძველეს არქიტექტურული ერთი მხატვარი სცენური სივრცის მონუმენტურობას აღწევს, გმირული ტრაგიდიის შესატყვის გარემოდ რომ იქცევა.

მ. შველიძე ძალიან სწრაფად და მკვეთრად ჩადაჭართული სცენოგრაფიის წამყვან მხატვართა რიგებში. განსაკუთრებით ნაყოფიერია მისი მუშაობა მეტეხის თეატრში. გამოფენაზე მისი შემოქმედება წარმოდგენილი იყო ესკიზებითა და მაკეტებით. ამ ნამუშევართა შესრულების ტექნიკა ის რთულია და მრავალმნიშვნელოვანია, რომ ისინი ესკიზ-მაკეტებად შეიძლება მივიჩნიოთ. მხატვრის მანერის ფერწერულობა მოცულობით-ფაქტურული კოლაჟებით იქმნება, რაც, ამასთან, სკულპტურულობის ეფექტსაც ქმნის. სცენური გაფორმების სირთულე მხატვრის შემოქმედებაში ტექნიკურ სირთულეებში პპოვებს ასახვას. მისი სცენოგრაფია მყარუბლების აღმის, შეცნობის აქტიურობას მოითხოვს, რამდენადაც აღსავესა ფერწერული და პლასტიკური იდეებით. „ყვარყვარე თუთაბერის“ (1973) სცენური იდეა მხატვარმა კონფლიქტურად გაიზარა. სპექტაკლის პლასტიკური ხატი დაპირისპირებებზეა აღებული და ემოციური ზემოქმედების საშუალებებიც ფერთა, ფაქტურის, საგნების კონტრასტებში მდგომარეობს. ეს საგნები სპექტაკლში მიმდინარე მოქმედების პროცესში მუდამ მსა-

ხიობებთან კონტაქტში აღიქმება (ქმედითი სცენოგრაფიის პრინციპი), ამასთან ისინი გარკვეულ იდეურ-მხატვრულ დატვირთვას შეიცავენ. ასე მაგალითად, „ყვარყვარეს“ ესკიზ-მაკეტში „საიდუმლო სერობის“, ძველი ფრესკასა და ტიციანის „ვენერას“ ციტრებით მხატვარი მინიშნებს მარადიულობის თემას სცენაზე დატრიალებულ ამბებთან კონტრასტში.

როცა გვეცნობთ გაბაქრაძის, უ. ხუმარაშვილის, გ. მეტრეწიშვილის, მ. მანთიძის და სხვათა ნამუშევრებს, კვლავ ვგრძნობთ ახალი ნიჭიერი ნაკადის შემოსვლას თანამედროვე ქართულ სცენოგრაფიაში.

სასაიმოვნოა აღინიშნოს, რომ გამოფენის მონაწილეთა უმრავლესობა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აღზრდილებია. ეს კი მიუთითებს კადრების მოზადების შესანიშნავ სკოლაზე. დებუტანტთაგან იქნებ ყველა თანაბარი სიძლიერით არ წარმოვიგდებ ექსპოზიცივზე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ახალგაზრდები დიდი სიყვარულით მუშაობენ საოცარო მხატვრობის ყველა სფეროში: დრამატული, მოხარდა, მუსიკალური, თოჯინების თეატრების სპექტაკლებზე, თანამედროვე დრამატურგთა თუ კლასიკოსთა პიესების გასაფორმებლად. ახლა მათთვის საჭიროა ფართო თეატრალური პრაქტიკა, საჭიროა მიუვითებდეთ შეცდომებზე, რათა შემდგომში მათმა შემოქმედებამ შეისისლხორცოს ქართული ეროვნული სცენოგრაფიის საუკეთესო ნიმუში.


გამოფენაზე არცთუ სრულად იყვნენ წარმოდგენილი კინოს მხატვრები. ამ სფეროში სომ შეესანიშნავი ხელოვანი მუშაობენ, რომლებიც ცნობილი არიან როგორც ფერწერები, გრაფიკოსები, თეატრალური მხატვრები. ისეთ შემოქმედთა ინდივიდულობა, როგორიც არიან თ. ქოჩიაკიძე, ა. სლოინსკი, ი. ჩიკავაძე (სამუელი), დ. ერისთავი, თ. მირზაშვილი, მ. მაღაზონია, თ. მურგანიძე და სხვები, კინოში ძალზე საინტერესოდ გამოვლინდა. მათ ხელწერას ცნობთ ფილმებში „პასტორალი“, „იყო შაშვი მგალობელი“, „გიორგობისთვე“, „დიდოსტატის მარჯვენა“ და სხვ. ეს ფილმები მყარუბელს დაახსოვდა არა მხოლოდ აქტიურობა და დამდგმულ რეჟისორობა წყალობით, იდეური შინაარსითა თუ სიუჟეტური ქარგით, არამედ დროისა და ადგილის სახიერებით, ფილმის მთავარ გმირებს ფსიქოლოგიური ნახატი. ეს ფილმები დავგახსოვდა სახივითი სტილისტიკის წყალობითაც.

დ. ერისთავის კინოეკსიზებს, ისევე როგორც მის გრაფიკას გამოარჩევს სიუჟეტის კონკრეტულობა, აკვარელური სიმსუბუქე. ფერწერული გრაფიკულობა, აქუსუართა ლოგიკურად აგება ყოველ კადრში, ნახატის ფილიგრანული დახვეწილობა ახასიათებს ესკიზებს ფილმებისთვის. „გიორგობისთვე“, „იყო შაშვი მგალობელი“...

შემოქმედლებითი ფანტაზიით, სახეთა გამომსა-

მაკეტი სპექტაკლისთვის „განკიოხვის დღე“ (მეტეხის თეატრი, 1978).

მ. შველაშვილი



ხელობით გვიხილავს გ. ბაქრაძის ესკიზები კინოფილმისათვის „ვერისუნის მელიოდები“, ზუსტი სილუეტია მიგნებული თითოეული პერსონაჟის სამოსში, ნაპოვია გამომსახველი ფაქტურა ყოველი კოსტუმისათვის. ეს ფილმი არა მხოლოდ მხიარული მიუზიკლია, არამედ კონფლიქტური დრამაც, სადაც ორი, სოციალურად დაპირისპირებული სამყარო წარმოდგენილი. ამისდა შესატყვისად, მხატვარი სხვადასხვა ფერებითა და ფაქტურით ამუშავებს მათ სამოსს.


ესკიზებში კინოფილმისათვის „დიდოსტატის მარჯენა“ მ. მაღაზონია, ისევე როგორც თავის თეატრალურ ნამუშევრებში, ძველქართული ხელოვნების ტრადიციებიდან გამომდინარეობს და ისტორიული ქუმმარცხების დაცვით, აქცენტს აკეთებს ნახატის კონტურსა და სილუეტზე მ. მაღაზონიას ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი „რომანტიკულა დეკორატივიზმი“ აქვს, კინოფერწერაშიც კმედიითი და შთამბეჭდავი.

სამეულის უაღრესად მრავალმხრივი შემოქმედება კარგადაა ცნობილი. ამჯერად გამოყენაზე წარმოდგენილი იყო ესკიზები კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტფილმებისათვის. კიდევ ერთხელ დაგრწმუნდით, თუ როგორი ინტერესით და გატაცებით მუშაობენ ისინი ყველა თემაზე. სწრაფვა მხიარული სანახაობრიობისკენ, გროტესკისკენ ჩანს ამ ნამუშევრებში, ნათელი დეკორატივობით რომ გვიხილავს. გამოიყურია და მხატვრის ნიჭის მრავალმხრიობაზე მეტყველებს მ. მუფანიძის ესკიზებზე მულტფილმებისთვის.

გროტესკსა და შარტს მიმართავს თ. მირზაშვილი თოჯინების ესკიზებში ფილმისათვის „ხანუმა პაროზში“. მკაცრი ექსპრესიითა და ტემპერამენტითაა აღბეჭდილი მისი ესკიზები მხატვრული ფილმისათვის „ვედრება“. თ. მირზაშვილის კინოშემოქმედება მაღალი პროფესიონალიზმის ნიმუშია და კინოს მხატვრობის ენის დრმა გაგებას მოწოდებს.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოფენაზე კინოს მხატვართა შემოქმედების სრული სურათი ვერ აისახა ექსპონატთა სიმცირის გამო.

ორიოდ სიტყვა თვით ექსპოზიციის შესახებ. ეს გამოფენა მრავალრიცხოვანი იყო, როგორც წარმოდგენილი ნამუშევრების, ისე შემოქმედებით ინდივიდუალობათა მხრივ, რაც სურვილს ბადებდა თითოეული შემოქმედი უფრო მკაფიოდ წარმოჩენილიყო, გამოფენილი გვენახა თეატრალური გაფორმების სხვა ელემენტებიც, — განხორციელებული კოსტუმი, სპექტაკლის სცენების ფოტოები და სხვ., ე. ი. ყველაფერი, რაც მხსნავს სცენურ სახეებზე წარმოდგენას შეუქმნიდა. ექსპოზიცია კი ტრადიციული ფორმისა იყო. ქართული სცენოგრაფიის დღევანდლობა, მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის საექსპოზიციო პრაქტიკა აღნიშნულის განსორციელების სურვილს ბადებს.



დ. თაყაყ

ესკიზი სპექტაკლისათვის „ანტიგონა“ (კორნაბაძის დრამატული თეატრი, 1978).



ფ. ლაპაშვილი

კოსტუმების ესკიზი სპექტაკლისათვის „გოგონა მინდია“ (რუსთაველის თეატრი, 1968).

გ. აღციქო-მესხაშვილი

ესკიზი სპექტაკლისათვის „ქველი ვალსი“ (მარჯანიშვილის თეატრი, 1978).



სცენური სიტყვა

მიხეილ თუმანიშვილი

— რას კითხულობთ, ხელშეწივს შვილი?
— სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს...“ (პამლუტი)

რამპტინი ნიშნავს გამოკვლევას, გამორკვევას, ვარაუდს, გამოცნობას, მიხედვარს, შეთხზვას, აგებას. რეპეტიცია იწყება ჩვეულებრივად — მომავალ სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს, რეჟისორს ურიგდებათ. ამ პატარა რეჟისორში კი „სიტყვები, სიტყვები, სიტყვებია...“ ჯერ-ჯერობით გაუმგებარი, ცივი, სხვისი... ეს სიტყვები ამოსავალი წერტილია, მასალაა, თიხაა. ყველაფერი აქედან იწყება. მსახიობმა ამ სიტყვებიდან და თავისი ფსიქიკიდან, ნერვებიდან, წარმოსახვიდან, განწყობილებიდან, სხეულიდან, ხელების, მიმიკის და მოძრაობის საშუალებით სცენური ხელოვნების ნაწარმოები — სახე უნდა გამოძერწოს.

ყველაფერი სიტყვიდან იწყება. სიტყვა, ჯერ კიდევ მართლად მინიშნული საროლო რეჟისორში, არაფრის-მთქმელი, თავისთავად არსებული, ცივი და უკარებაა. მსახიობი გაუბედავად კითხულობს სხვის სიტყვებს და ცდილობს თავისად გახადოს.

არსებობს ორი გზა: ერთი — ჯერ კიდევ ბავშვობიდან ყველასათვის კარგად ცნობილი და, მეორე — პროფესიული, ძალზე რთული, მძიმე და მტანჯველი. პირველი გზა ავტორისეული სიტყვების ზეპირად სწავლა-

სა და მათ, რაც შეიძლება, ცხოვრებისეულად წარმოთქმას გულისხმობს. ამ შემთხვევაში მსახიობი ცდილობს კარგად წაითხუღ სიტყვებს მოქმედებები, მოძრაობები (ქესტები) და განცდები მიუსადაგოს. და თუკი მსახიობი ნიჭიერი, ყოველივე ამას ძალზე საინტერესოდ აკეთებს ზოგჯერ, დიდ წარმატებასაც აღწევს.

მეორე გზა — სიტყვების მეშვეობით ავტორისეული ჩანაფიქრის საიდუმლოებათა წვდომის გზაა. გმირთა მოქმედების ურთიერთობის და განცდის წვდომის გზა, რათა სიტყვებმა ისევე შესძლონ აღმოცენება, ამტკაცვლება, როგორც ოდესღაც ავტორის ჰქონდა წარმოდგენილი.

ეს გახლავთ ორი ურთიერთგამომრიცხველი გზა, ავტორისეულ სიტყვაზე მუშაობის ორი სხვადასხვა საშუალება. პირველი — თეატრალური ხელოსნობის გზაა. მეორე — ქმშარიტი შემოქმედების.

სიტყვები ნიშნათა ისეთ კომბინაციას წარმოადგენს, რომლის საშუალებით ადამიანები ერთმანეთს აგებინებენ თავიანთ განზრახვებს, განცდებს და სხვ. იმისათვის, რომ პარტნიორის ცნობიერებაში რაიმე ცვლილება მოხდეს და მან თავისი ქცევა შესცვალოს, აუცილებელია სათანადო ინფორმაცია მიიღოს. პამლუტს მამა გამოეცხადება და რაღაცას ანიშნებს. ამ ნიშნით არჩილმა თავის შვილს გარკვეული ცნობა, აზრი გადასცა, რომელმაც შემდგომ შესცვალა პამლუტის ქცევა. მერე არჩილმა სიტყვით მიმართა შვილს. სიტყვებმაც შეცვალა მისი ქცევა და ააღელვა. ე.ი., სიტყვა-ნიშანია.

ახალი ინფორმაციის გადაცემისას ყველაზე ძლიერი ქმედითი შემოქმედების საშუალებად უღირსო სიტყვა გვევლინება. სიტყვები ადამიანთა საქმიანობის რეგულაციას, მათ ურთიერთობას და ფსიქიკური ცხოვრების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. როდესაც ერთი ადამიანი მეორეს ეუბნება: მოემზადე, წადი, ყურადღება მოიკრიფე და სხვა, ამით იგი შემოქმედებას ახდენს მეორე ადამიანზე, აიძულებს მას თავის სურვილისამებრ იმოქმედოს. სიტყვა ამ შემთხვევაში ძალას წარმოადგენს, რომელიც წარმართავს მეორე ადამიანის ქცევას, აიძულებს მას გააკეთოს ის, რასაც უკარნახებენ, ან პირიქით, შეეწინააღმდეგოს მას. თუ ადამიანი ლაპარაკის დროს მეორე ადამიანის ქცევას ვერ შეცვლის, მის გრძობებსა და აზრებზე იმოქმედებს მანაც. სიტყვის შემოქმედება ადამიანზე მრავალგვარია. სიტყვით ადამიანში ისეთი ემოციური რეაქციების გამოწვევა შეიძლება, რომლებიც შედგომენ შეუძლიათ მასში ფიზიოლოგიური ფუნქციების შეცვლა. კი. სიტყვით შეიძლება პირდაპირ ან გადატანილი მნიშვნელობით მოვლა კაცი. სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში ხშირად მოჰყავთ შემთხვევა, როდესაც სიკვდილმისჯილი ბოროტმოქმედი გარდაიცვალა იმისაგან, რომ შთააგონეს ვიომედა სისხლისაგან იცლებოდა. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცით, რომ ძველი ამბების გასწენებისა და მიყოლის დროს არა მარტო გადაცემით მეორე ადამიანს ჩვენს განცდებს, არამედ თავდაცვ ხელახლა ვიწყებთ კაცებს. „სიტყვა — პაუზი მფრინავი სათამაშო მუსტიკი არ არის, სიტყვა სამუშაო იარაღია, — წერდა ვ. კოროლენ-

კი, — სიტყვამ აუცილებლად უნდა ზოდის გარკვეული სიმძიმე და მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად ასწვევს იგი სხვის განწყობილებას, შეგვიძლია მისი მნიშვნელობისა და ძალის შეფასება“.

რეპატიცია — მოქმედების არსის კვლევა

„ცნობილია, რომ კომედია იწყება მხოლოდ იმისათვის, რომ ითა-
ვანაა. აი, რატომ ვერძობთ ამ პიესის წაიხიბავს მხოლოდ იმას, ვი-
საც ვაპირებთ თვალი აქვს და ტექსტის მიღმა შეუძლია წარმოადგინა
დაიხიბოს“ (მოლოდინი). „თუ ესტრის გამოიყენო სიტყვები, სიტ-
ყვებს მიღმა სინამდვილე იგულისხმებ“ (ი. პავლოვი).

ნასიხობის მიერ ავტორისგან იმედებილი სიტყვები ნაბეჭ-
დი ფურცლების ტყვეობაში მიყოფება. არ არის საჭირო
იმისათვის, რომ სიტყვები გაეანთავისუფლოთ ამ ტყვეობი-
დან და ხელახლა აღმოვაყენოთ ისე, როგორც ავტორს თა-
ვიდან ჰქონდა ჩაფიქრებული.

ბოლოსდაბოლოს, რას წარმოადგენს ავტორისეული ტექს-
ტი, რომელიც მსახიობს წინ უდევს პირველ რეპეტიციასზე? რა-
ღაც გრანობების, მოქმედებების, სურვილების მისწრაფე-
ბების გარეს, ორთაბრძოლების კვალს.

თოვლზე ნარჩენი ნაკვალევის მიხედვით მონადირეს აღ-
ვივლად შეუძლია წარმოიდგინოს, რა ხდებოდა ტყვეში. ასევე
უნდა შესძლოს მსახიობმა სიტყვების (ნაკვალევის) მიხედ-
ვით ავტორის მიერ დანახული და განცილილი ცხოვრების
ამოკითხვა. მაგრამ ეს სიტყვები (ნაკვალევი) ისევე გაყინუ-
ლი და გაქვავებული, როგორც დინოზავრთა ნაფუხური სა-
თაფლიაში. თუკი ძალიან მოეინდობებთ, ალბათ, შეეძლებთ
წარმოიდგინოთ, თუ რა ხდებოდა ოდესაც დინოზავრებს
შორის. იქნებ, დინოზავრთა მთელი ოჯახი ნელი, აუჩქარე-
ბელი ნაბიჯით მოსეირნობდა, გეგებ ეს შეყვარებულ ურჩხულ-
თა კვალთა, ბოლოსდაბოლოს ეს შეიძლება მოწინააღმდე-
გეთა დიპლომატიური მოლაპარაკების დროს დარჩენილი კვალ-
ი იყო, რას ან წარმოიდგენს ადამიანი ნამარხ გიგანტთა ამ
გაქვავებული ნაკვალევის (სიტყვების) შემყურე, როდესაც
ცდილობს წარმოსახვის საშუალებით ქვის ფურცლებზე აღ-
ბეჭდილი ცხოვრების სურათი დაინახოს.

გაქვავებული ნაკვალევი უნდა გავაცოცხოთ, სული შთაე-
ბიროთ, გავაღლოთ, უნდა გვეცადოთ რაც შეიძლება ღრმად
ჩაეწვდეთ მის არსს და მომხდარი ამბისა თუ შემთხვევის
ყველაწიერი ვერსია ვეძიოთ, მაგრამ ამგვარად მოძებნილი
შემთხვევა — ამბავი მხოლოდ ადამიანთებს ქვის ნაკვალე-
ვის წარმოქმნის შესაძლებლობას, შეცვლით კი ვერას შეე-
ვლის. წარმოქმნულ სიტყვას კი შეცვლის უნარი გააჩ-
ნია. იგი შეიძლება იყოს მკვება, კეთილი, ბოროტი.
სიტყვა შეიძლება წარმოიქმნათ რბილად, ალერსით, უხეშად
და ა. შ. დიან, ერთი და იგივე სიტყვა ათასგვარი ნიუანსით
წარმოითქმის.

სხვადასხვა ნაბიჯი ვერსიიდან გამომდინარე, ჩვენ შე-
საფრისად ვცვლით წარმოქმნულ სიტყვას ელვრის.

ამასთან დაკავშირებით მაგონდება ამბავი, რომელიც პან-
ტაგრულსა და მის მეგობრებს უკნობ ჩრდილოეთ მხარეში.
გადახდათ, სადაც ისინი გაყინული სიტყვების ძალზე საინ-
ტერესო მოვლენას წააწყდნენ:

... შეკვიპნა მიმართა პანტაგრულს: „ნურთაფრის გემი-
ნითა, ბატონო! აქ გადის სასლავარი ყინულთაჲნი ზღვისა“

სადაც შარშან სამთარიზი არიმაჰსიანებისა და ნუფლიბა-
ტების შორის საშინელი ბრძოლა მოხდა. ჯერ კიდევ-მამაშა-
პაერში გაიყინა (ავტორის წარმოსახვაში — მ.თ.) სიტყვე-
ბი, ქალებისა და კაცების ყვირილი, საომარი კომპლექსი-
დარტყმის მხა, აბჯრის ჩხრალი, ცხენების ჭიხვინი და
ბრძოლის სხვა საშინელებანი. ახლა, როდესაც ყინებმა გა-
დაიარა და თბილი ამინდები დადგა, სიტყვებმაც იწყეს
დრობა და გასაგებნი გახდნენ: — „ღმერთმანი, მკვრა ყო-
ველივე ამისა — თქვა პანტაგრულმა. მაგრამ ნუთუ არ
შეიძლება როგორმე დაეინახოთ ეს სიტყვები? (ალბათ, მო-
ქმედება იგულისხმება — მ.თ.), მასხუსე, წამიყიბთხას, რომ
მისი ძიხის, სადაც მოსემ იუდეველთა კანონი მიიღო, ხალხი
მებებს მხედველობით აღიქვამდა.

— შეხედეთ, შეხედეთ — თქვა პანტაგრულმა. აი, რა-
მოდენიმე ცალი, რომლებმაც ჯერ ვერ მოასწრეს გადნობა,
და მან გემბანზე მთელი ბუჯაა გაყინული სიტყვები დაყა-
რა. ისინი დრავეს წააგადენენ და ვარდისფერი ელვადენენ
მათ შორის იყო წიფილი, მწვანე, ცისფერი, ჭრისისფერი და
მოოქროვილი სიტყვები. ჩვენს ხელთ ისინი თებობდნენ და
თოვლიანი დნებოდნენ, და მაშინ მართლაც გვესმოდა ისი-
ნი... (ფ. რაბლე, „გარკვეულა და პანტაგრულა“)

ავტორისეული ტექსტზე მუშაობისას ჩვენ არსებითად გა-
ყინულ სიტყვათა გადნობასა და მათში სულის შთაბერვას
ვედილობდით. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მსახიობი
თავისი გმირის ქვევს დაუფლავს. ე.ი. როდესაც შეიძინოს
რას აკეთებს მისი გმირი, მხოლოდ ამ შემთხვევაში აღმო-
ცენდება (კი არ წაიკითხება და წარმოითქმება) სტრუქტურა-
სა და დეკლამაციის ბორკილებიდან თავდაღწეული თავისუფალი
ენაღრად სიტყვა.

პიტერ ბრუკი ამბობს: „ავტორისეული ტექსტი გარკვე-
ული შიფრის შეიცავს. შექმნის მიერ დაწერილი სიტყვები
წერილობითი აღნიშვნა იმ სიტყვებისა, რომელთა მოსმენა
მას გარკვეული სიმაღლის ბეგების სახით, გარკვეული პაუზე-
ბით, გარკვეულ რიტმში, გარკვეულ აზრობრივი დატვირთვის
ქმენე შესტების თანხლებით სურდა.“

სიტყვა ბუნებრივად წარმოქმნილი მოქმედების გაგრძე-
ბა უნდა იყოს. მსახიობი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში,
რომ სიტყვები ბუნებრივად იხადება მხოლოდ მაშინ,
როდესაც ისინი აუცილებლად ხდებიან მოქმედებისათვის.
მათი ელვრის დაშორებულია ამ მოქმედებაზე. მოქმედებ-
ა კი დრამატული ხელოვნების არსია. მოქმედება და არა სი-
ტყვა. სიტყვები სიმ მხოლოდ ფოთლებია, მოქმედება კი
ფესვიანია, ხის ტანია. ფოთლები იშლებიან ხის ტოტებზე
და არა პირიქით.

როდესაც მსახიობმა არ იცის რა გააკეთოს, როდესაც მას
არა აქვს მკაფიო სცენური ამოცანა და პარტიკირისადმი
მიმართული მისი მოქმედება არ არის გამოკვეთილი, მაშინ
იგი, ჩვეულებრივ, სიტყვებს ეპოტინება, იწყებს მათ წაელე-
ბას, დეკლამაციას ამ სიტყვის ცუდი გაგებით.

თავიდან მსახიობი ბრმასავით ვერაფერს ხედავს, ყრუსა-
ვით არაფერი ეძიებს, მის წინ თეთრი კედელი აღინათვება,
რომელიც უკნობი ნიშნებით, იეროგლიფებითაა დაფარული.
იმისთვის რომ ამ იეროგლიფების ქვეშ დამალული ცხოვრე-
ბისეული მოვლენები, განცდები, გრძნობები ამოვიკითხოთ,
აუცილებელია მოქმედებით იმ შიფრის გასაღები.

როგორც შამპლეონმა ამოიკითხა ეგვიპტური იეროგლი-

ფეხი და ათასობით ადამიანის ცხოვრების ისტორია ამოა-
ჩინა, ასევე მსახიობი ვალდებულია სიტყვებს შორის ის
ცხოვრებისეული მოვლენა დაინახოს, რომლის კვალი პიესის
გვერდებზე გაყინულ სიტყვებშია მოცემული. თუკი ასეთი
მოვლენა აღმოჩენილი იქნება, მაშინ მსახიობისათვის აქამ-
დე გაუგებარი სიტყვები მოწყობილობები, გასაგებნი და
უფრო ხეტოც, აუცილებელი გახდებიან. მთავარი ხომ სიტ-
ყვის მიღმა იმალება და არა თვით სიტყვაში. მსახიობებს
და რეჟისორებს კი, საუბრებზე, სცენაზე, სიტყვების გა-
რის გათვალისწინებით, ნაკვალ იმისა, რომ გამოიტანონ ის, რაც
ამ სიტყვებს აცოცხლებს (აზრები, განცდები, ქმედება).
ამის გამო ფრაზაში ხშირად არასწორი მახვილი წარმოიქმ-
ნება, რაც მას გაუგებარს ხდის. ვიყოფიერ, მხოლოდ სიტყვე-
ბიდან გამომდინარე ვერ გადასწყვეტ, როგორ უნდა წარმო-
სიტქვა ისინი. ხშირად სიტყვამ შეიძლება მოგვატყუოს. შემო-
ქმედებითი წარმოსახვის საშუალებით სიტყვებს უნდა „გა-
დააფრინოს“ და ამ „წარმოსახვითი სინაზილიდან“ შევცა-
ლო დაინახო რა ხდება პიესაში, მოვლენებში, ეპიზოდებში,
რა ორთაბრძოლა იმათეთ? ?

ერთი ადამიანის ზემოქმედება მეორეზე, უმეტეს შემთხვე-
ვაში, ერთი მათგანის შეტევითა და მეორის თვადაცით
ხორციელდება. ყოველი ცხოვრებისეული ეპიზოდის ქვეშ აუ-
ცილებლად იმალება ბრძოლა. თუ მსახიობისათვის გაუმე-
ბარია, ვინ გადადის შეტევაზე და ვინ იცავს თავს და მაინც
განაგრძობს ავტორისეული ტექსტის კითხვას, მისი სიტყვები
მამინევე ცარიელ ლაქაქაზე გადაიქცევა.

ამ სიტყვებში არ გაჩნია არავითარი ინფორმაცია, სიტყვა
საგონარის ემსახურება, რის მანერად ბავშვს რომ შეაჩერე-
ბენ ხოლმე. ამ ვითარებაში მხოლოდ თეატრისათვის დამახა-
სიათებელი უნიკალური სიტუაცია იქმნება, როდესაც ადამი-
ანები ერთმანეთს ცარიელ სიტყვებს უწებებან, მიზანი კი
არ გაჩნდება. ლაპარაკობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორის
მიერ მოცემული აქვთ სიტყვები.

სანამ არ აღიქვამ როლს მთლიანად, ზუსტად არ დაა-
დგენ მიმავალი სპექტაკლის მთავარ სათქმელს, არ განსაზღ-
ვრავ ამ როლის ფუნქციას სპექტაკლის მთლიან სტრუქტუ-
რაში, არ დაადგენ მთავარ მოვლენას, მოქმედების მთავარ
კვანძებს, ზუსტად არ დასახავ როლის ადგილს სპექტაკ-
ლის კონსტრუქციაში, ვერასოდეს დაადგენ, თუ როგორ უნდა
წარმოსთქვა სიტყვა. ყველაფერი უნდა გამოიკვიროს მთლი-
ანობაში და ცალკეულ დეტალებში. მთლიანობა უნდა
გაანალიზო მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილებიდან,
ნაწილები კი დაზუსტო მთლიანიდან გამომდინარე. შორი-
დან ხომ ყველაფერი უკეთესად ჩანს, შემდეგ კი პირიქით,
საიდუმლოებით მოცული სიტყვების შივით უნდა შეძერვ,
შეუღწევილი საიდუმლოებებ: დასასვე თეთრ კედელში უნდა
შეადგინო (რეჟისორის სახით რომ დგეს რეპერტივალზე მსა-
ხიობის წინ), გაიგო რა ხდება ამ სიტყვებს მიღმა, ცხოვ-
რებისეული მოვლენების უდაბურ ტყეში და უნდა აღმოაჩინ-
ო სწორედ ის ამბავი, რომელიც პიესის გვერდებზე გაყინუ-
ლი სიტყვების გადნობას, გაცოცხლებას შესძლებს.

ვ. მეიერჰოლდი ისეთ თეატრზე ოცნებობდა, სადაც მსა-
ხიობს სიტყვებს მხოლოდ „მორბაობების სცენარის“ შემდეგ
მისცემდნენ.

ავტორისეული სიტყვის გამართლება მრავალნაირი ცხო-
ვრებისეული მოვლენის ვერსიებით შეიძლება. ერთი და
იმევე ამბის მოყლა ხომ სულ სხვადასხვაანარადა შესა-

ლებელი და არა მხოლოდ ისე, როგორც ტექსტის პირველი
წაკითხვისას გვეჩვენება. ხომ ნათქვამია, რომ შოგიერაზე, ადელაი-
მიანს პირიდან შაქარი ამოსდის და გული კი შხამ-მანკით
აქვს სასვე. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე მე-
ტად ყველბით სწორედ მაშინ, როდესაც როლების მიხედ-
ვით პირველად ვითხოვთ ავტორისეულ ტექსტს. სწო-
რედ აქ გვისაფრდება საშინელი შტამპები... ამ დროს არა-
ვითარი შემთხვევები არ უნდა ავჩქარდეთ.

მაკალითისათვის მოყვანთ ერთ პატარა ეპიზოდს „და-
რისპანის გასაჭირიდან“.

„ონისიმე — (სიციოს), ერთობ მოწოდინებულია, ქალიშვი-
ლი მიათხოვოს.

ოსიო — აქვს რამე?

ონისიმე — გავიგებ... ძალნა კი იჩარჩება!

მსახიობი, ამ სიტყვების დანახვისთანავე, იწყებს მთ
კითხვას. მისთვის ბავშვობიდანვე ცნობილია, როგორ წარ-
მოითქმება ისინი, ეს სიტყვები ბევრჯერ აქვს გაგონილი
სცენიდან, რადიოთი, ტელევიზიით და ა.შ. რა მიხედება
სულ სხვა თვალთ რომ შეეხედოთ ამ ნაცნობ სიტყვებს?
მაკალითისათვის ავიღოთ ამ ტექსტის გამოვლენის ორი
დასაშვები ვერსია.

1. სა და ზ ვ ე რ ე თ ო პ ე რ ა ც ი ა — პირობითად აქ
გუუწოდებ ამ მოვლენას. ოსიო და ონისიმე, ყველასათვის
შეუპოვებლად, მაღლად ეჩურჩულებიან ერთმანეთს. სიტყ-
ვებს შუა წარმოქმნილი დიდი პაუზების დროს გადახედვენ
ხოლმე ერთმანეთს.

2. სა ყ ყ ა ლ ე ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ს დ ა ც ი ნ ვ ა — ორი-
ვე მშენებლად ხვდება, ვისთან აქვს საქმე, ძლივს იკავებენ
სიცილს, წამოწითლდებიან, სიცილისაგან ივუდებიან. პატარ-
ძღობის და მათი მშობლების ამდენ მეცადინეობას და
მნდომებას აბუჟად იღებენ.

აი, ერთი და იგივე ეპიზოდის გადაწყვეტის ორი სრუ-
ლიად განსხვავებული ვარიანტი. და, მიუხედავად იმისა,
რომ სიტყვები უცვლელად რჩება, სულ სხვაგვარად შეიძლე-
ბა მათი წარმოთქმა.

ამრიგად, იმისათვის რომ განსაზღვროთ, როგორ წარმო-
ვთქვით ესა თუ ის სიტყვა, აუცილებელია ჩაწვედეთ მის მი-
ღდა არსებულ მნიშვნელობას, არსად და იქ აღმოვაჩინოთ
მომხდარი ამბავი. ალბათ, არც ისე ადვილია მივად-
წიოთ ამას? ეს ისევე ძნელია, როგორც კომპოზიტორისთვის
მელდიის შეთხზვა. ხომ წარმოუდგენლად ძნელია თოვზე
საირული, მაგრამ ადამიანი ამასაც აცუწეს. ძალიან ძნელია,
მაგრამ სასებრით შესაძლებელი, თუ მსახიობს გააჩნია ფან-
ტაზია და წარმოსახვა, ცხოვრებისეული ცოდნა და ადამიან-
ის ფსიქოლოგიაში ღრმად ჩაწვდომის უნარი.

სიტყვა — გამიცანა! მსახიობის საბოლოო რეჟულში
სიტყვები ნაკვალევია. და მარტო სიტყვები კი არა, ამ
სიტყვისაგან შემდგარი მივლი ბილიკებია აღბეჭდილი. გა-
მოყვლილი და განსახიერო — აი, ეს არის მსახიობის პრო-
ფესიის ძირითადი არსი. ნიჭიერი მსახიობის როლზე მუშა-
ობის დასაწყისში საავტორო ტექსტს ძალზე გაუბედავად
კითხულობს. ნაკვალად ნიჭიერი ამ ხელისანი მსახიობი
იგივეს აკეთებს მოუჩიდებლად, უტიფრად და თავდაჯერე-
ბულად. არავითარ შემთხვევაში ამ პროცესის დაქარაღვა არ
შეიძლება. მსახიობი უნდა დავაშვებოთ და გურჩიოთ, რომ
როლზე მუშაობის დასაწყისში (ხაზს უვსვამ, დასაწყისში
ხაზს საერთოდ) არ არის აუცილებელი სიტყვების ხმა-

ლა წარმოქმნა. ეს ხომ ჯერ დამცინობს, კვლევითი და ზეურთის პროცესია. უმჯობესია, დასწავისში მსახიობი ყველაფერს თითქოსდა „თავისთვის“ აკეთებდეს. ძალზე მაგნებელია, როდესაც რეჟისორი პირველივე რეჟეტიციდიან ტექსტის დიქტიურ სწომინდეს, ჟღერად სიტყვას მოითხოვს, ანდა ძიებისა და დასწავრების ნაცვლად მსახიობს თავის საკუთარ ხედვას სთავაზობს. მაგრამ ყოვლად დაუსშებელია, როდესაც ის მსახიობს წარმოსათქმელი სიტყვების საკუთარ ინტენსივობას ახვევს თავს. ასეთი რეჟისორი ვერასდროს ვერ აღზრდის მსახვარ მსახიობს.

დაწყებით რეჟეტიციებზე ხმამაღალი ლაპარაკი მსახიობს ნაცნობი შტამპებისაკენ და ნაცნობი ამოცანებისაკენ უბიძგებს, რომლებიც სიტყვებისა და წინადადებების ზედაბიჩრზე დღეს.

ფ. ჟემიე წერდა: „ნიჭიერ მსახიობებს შორის ზოგი მათგანი ოცი — ოცდაათი წლის ვაჟების შუდვად ხვდება, რომ მხოლოდ დეკლამატორები იყვნენ. მანამდე ისინი კმაყოფილებოდნენ მხოლოდ იმით, რომ აზრში ჩაუწვდომლად კეთილსინდისიერად იმეორებდნენ ფრაზებს. ისინი მწერლის თანამეუწყნი კი არა, მსახურნი იყვნენ. მათი პატრიონი, ავტორი, ანდობდა მათ ყუთებს. მათ ეს ყუთები გამოჰქონდათ: სცენაზე და გაუხსნელად აჩვენებდნენ მაყურებელს. მათ ავიწყდებოდათ ყუთების გახსნა, რათა, რაც შიგ იყო ე. ი. აზრი ამოეღოთ (კურსივი ჩეჩია — მ.თ.), ვინაიდან სიტყვა სხვა არაფერია, თუ არა ყუთი, რომლებშიც აზრები და გრძნობები მოთავსებული“.

მსახიობს დასაწყისში როლის უამრავი სიტყვის ათვისება ძალიან უჭირს. ის იხრჩობა სიტყვების ზღვაში და ძირითადად მორეჟისარისხოვანისგან ვეღარ არჩევს. შეუძლებელია, რომ ყველა ფრაზა ერთნაირად მნიშვნელოვანი იყოს. ასე შემთხვევაში მსახიობებს ვერჩევ რამდენიმეჯერ წაიკითხონ დასამეუწყებელი ნაწყვეტი და მთავარი ფრაზები ფანქრი აღნიშნონ. ეს არცთუ ისე ადვილია. გამოკყო მთავარი — ეს ნიშნავს ნაწყვეტში განსაზღვრო მოვლენა, შექმნა მოქმედების ჩონჩხი, განსაზღვრო მისი არსი. ამ ოპერაციის შემდეგ ნაწყვეტში მხოლოდ აუცილებელი სიტყვები რჩება; დიალოგი ძუნწი და გასაგები ხდება. სამაგიეროდ, ჩნდება ე.წ. „სიჩუმის ზონები“ (ა. პოპოვის ტერმინოლოგიით), ე.ი., ისეთი ადგილები, როდესაც მსახიობი უსიტყვოდ მოქმედებს. „სიჩუმის ზონები“ მსახიობისაგან განცდას და ზუსტ მოქმედებას მოითხოვს. ასეთი სარეჟეტიციო ხერხი მსახიობს აჩვენებს ფაქტად და ზუსტად გამოიყენოს სიტყვები და ავტორისიველი ტექსტის მიმართ დამოკიდებულებაში მკაცრი დისციპლინა დაიცვას.

მას შემდეგ, რაც განსაზღვრულ მოვლენათა სქემა ათვისებული იქნება და მოქმედება ფაქტიურად წარმოიშობება, შეიძლება აურქარებელი, ნაწყვეტის დანარჩენი ფრაზებიც დავამატოთ. ამის შუდვად მსახიობს თანდათან ეფუძვება ავტორისული სიტყვებს და, რაც მთავარია ყოველივე ამას არა დეკლამაციის, არამედ მოქმედების სფეროში აკეთებს.

ვ. მიერპოლდი ხშირად იმეორებს და, რომ სიტყვა მხოლოდ ჩუქურთმა მოძრაობის ქსოვილია.

მენეჟერი ჯერ ნაგებობის კონსტრუქციას აშენებს და მერე აშკობს ჩუქურთმით.

ჯერ უნდა ააგო ფიგურა, სწორად დააყენო, რომ არ წაიქცეს, დააზუსტო ყველაფერი და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყო დამუშავება.

მსაკვად ამისა, მსახიობის გონებაში ჯერ უნდა ჩაედოთ მოქმედების სქემა და მხოლოდ ამის შემდეგ მივეთქმებოდეთ ვები. მაშინ სიტყვა ძალად, შთაგონებად იქცევა და შემქმნელს მსახიობში მიძინებული ასოციაციებისა და ქვეცნობიერ გრძნობების, მოქმედებების გაღვიძებას.

იმისთვის, რომ სწორად ვილაპარაკოთ, ჯერ ვისწავლოთ სცენაზე მოსმენა.

ლაპარაკი — მხოლოდ სიტყვების სწორი წარმოთქმა როლია. ილაპარაკო — ნიშნავს სიტყვა და მოსმინო. ჩემის აზრით, გაცილებით ძნელია ასწავლო მსახიობს პარტიზორის მოსმენა, ვიდრე ლაპარაკი. სცენაზე მოსმენა — უდიდესი ხელოვნებაა.

ს. კოლონევი წერს: „გამომხატველი სიტყვა“, ჩემის აზრით, აღმოჩნება აკეთებს: „მოსმენა ნიშნავს პასუხის მომხადებას, მომავალი სიტყვა ყურადღებიდან იხადება, ხოლო ყურადღება თავისთავად სხვისი სიტყვების ანაბეჭდა“.

კარგად უნდა ჩაუწვდეთ ამ სიტყვების არსს. ეს ფორმულაა. იშვიათად თუ ვინმე კარგად უსმენს პარტიზორს სცენაზე. ხშირად გინნაჯეს მსახიობი, რომელიც „უსმენს პარტიზორს, მაგრამ არ ესმის. არ ესმის იმიტომ, რომ „მოსმენა“ რეაგირებას ნიშნავს.

პარტიზორის სწორად მოსმენის დროს მზადდება და იხადება სიტყვების სწორი წარმოთქმის ხერხი. უნდა მივადვიოთ იმას, რომ მაყურებელი სცენაზე უყურებდეს იმ მსახიობს, რომელიც უსმენს და არა იმას, რომელიც ლაპარაკობს, პარტიზორის მოსმენის დროს უნდა იმოქმედო, განიკადო და იცხოვრო ხელოვნების სცენური ცხოვრებით. ეს არის მსახიობის ხელოვნების უმაღლესი ხარისხი.

სამწუხაროდ, მსახიობების უმრავლესობა სცენაზე რეპლიკის წარმოთქმის შემდეგ მხოლოდ ელოდება, ელოდება და არ უსმენს, ელოდება პარტიზორის რეპლიკის დათავარებას და რა სინანულით უყურებს მსახიობს, რომელიც შუშის თვალებით უცქერის პარტიზორს და არ „ესმის“ რას ამბობს ის, თანაც ყოველნაირად ეცლივობს არ დაკარგოს სათანადო სელენიერი აგზნება. რა შორს არის ყოველივე ეს ნამდვილი დრამატული ხელოვნებისაგან.

ხოლო როდესაც მსახიობი ნამდვილად უსმენს პარტიზორს (ეს კი ნიშნავს, რომ პარტიზორის რეპლიკის დროს მსახიობი ამზადებს პასუხს, ჩვენ ვხედავთ თუ როგორ იხადება, პარტიზორის ქვედადან გამოიძინარე პასუხის სხვადასხვა ვარიანტები) ეს პასუხი იმპროვიზაციულად იმალება, გამოიძინარე იქიდან, თუ როგორ წარმოთქვამს ის დღეს თავის რეპლიკას პარტიზორი.

ყოველი საპექტაკლის დროს რაღაც ხომ იცვლება. ამ შემთხვევაში სიტყვის ელფერი მაშინვე დაიხადება, იქვე წარმოქმნება და არ წაიკითხება, დეკლამაციას არ დავმსგავსება.

ე. ი. მოსიმინო — ნიშნავს მოამზადო პასუხი, პარტიზორის სიტყვებსა და ქვედაზე რეაგირება მოახდინო, რეაგირება კი ნიშნავს ფსიქოლოგიური ფესტის საშუალებით პარტიზორის სიტყვებსა და მოქმედების მიმართ შენი დამოკიდებულება გამოამკვლანო.

დამოკიდებულება კი, თავის მხრივ, ფსიქოლოგიური ფესტის, მოქმედების, მიმოკის, თვალების, თითების, მთელი სხეულის საშუალებით, ადამიანის მთელი არსებით გამოიხატება. ფსიქოლოგიური ფესტი ხელს უწყობს ბუნებრივი შე-

გრანტების გამოყენებაზე, როდესაც ისინი გარკვეული შიდადამკვეთების გავლენით გარკვეულ გამოვლინების თიო- ულის. ფსიქოლოგიური ფესტი სიტყვებს სიცოცხლეს სძენს. ფესტი გარკვეუ არ არსებობს ციციკალი სიტყვა.

ჯერ კიდევ XVII ს. რიკოინი წერდა: „თუ არა გზადე შენი ლაპარაკი უსიციცლოა, თუ არ გზადე, შენი სიწყუე არაფრის გამოხმაველია“.

დასალოებით იმავე ხანაში მარმონტელი წერდა: „ფესტი ყოველივის წინ უსწრებს სიტყვას, რადგან გაცი- ულებით ადრე გრანობენ, ვიდრე სიტყვიერად შესვლებენ გამოხმავს და ფესტიც გაცილებით სწრაფად ქმედებს, ვი- დრე სიტყვა. იმისათვის, რომ სიტყვა წარმოიქმნას და ავლდეს, საჭიროა დროის გარკვეულ მოხაკვეთი, ფესტი კი შეგრანების შედეგია და ჩნდება წამიერად, როგორც კი სული შეიგრანობს“.

თანამედროვე სცენაზე, სამწუხაროდ, საწინააღმდეგო მო- ვლენას შეიძლება წაწაყვდეთ: მსახიობები ხშირად სიტყვე- ბის შემდეგ ხმარობენ ფესტებს. ფსიქოლოგიური ფესტი მა- შინ არის ბუნებრივი, როდესაც იხადება არა გონივლიან, არამედ უშუალოდ რეაგირების შედეგად. მხოლოდ ფსიქო- ლოგიური ფესტის საშუალებით აგებინებს მსახიობი მაყურ- ბულს, თუ რა პასუხს აწმადებს პარტნიორისათვის. პარტნი- ორის სწორი მოსმნა ბუნებრივად წარმოქმნილი სიტყვისა- თვის ამზადებს იხადებს. დიალოგი პინგპონგის, ფრენურ- თის ან ჩოგბურთის თამაშს წააგავს. აქ კამათის ობიექტს სიტყვიც წარმოადგენს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუწყავთ, რომ სიტყვიც „მოწაზე დავარდნა“ ეს ხომ იმის ნიშნავს, რომ თამაში შეწყვეტილია. სულ მუდამ მზად უნდა ვიყოთ, რომ დროზე მოვადინოთ რეაგირება, შეცვა- ლოთ განზრახვა, თავი შევიკავოთ, შევცვალოთ კამათის არეულენტი და სხვა.

კ. იახონტოვი წერდა: „ჟონგლიორი იჭერს თეფშებს, დიალოგებში თეფშებს უღობილად ამტკიცებს, — მიედევ- ლობაში მაქვს სიტყვიც, ფრასები, რომლებიც უპასუხოდ რჩება პაერში, ისე რომ, პარტნიორი ვერ იჭერს მათ“.

საბოლოო რეველში დაწერილი სიტყვების „გაცოცხლება“ ძალზე მნივლია. ზოგიერთი მსახიობი კი უგულვებელყოფს ამ რთულ გზას, რომელსაც მაყურებელი ავტორისეული ტექ- სტის მიღმა დასაძველებლებრივ საწყაროსეული მი- ყავს.

„კითხვის“ წინააღმდეგ კატეგორიულად ვაცხადებ პიო- ტესტს, — ამობდა სტანისლავსკი. — დაბეჯითობით ვამტ- კიცებ, არაფერია მსახიობისთვის ისეთი მავნებელი, რო- გორც ის, რომ როლის „წაიკითხვას“ მაინების თავი, იმის ნა- ცვლად, რომ როლის ტექსტით „ლაპარაკი“ მაინც შეეცა- დოს“.

საუბედუროდ, ჩვენს სცენაზე მსახიობები ხშირად არიან გართულნი „ინტელიგენტური დეკლამაციით“. ისინი „კი- თხვას“ ძალიან მოხერხებულად „ცხოვრებისეულ სიმართ- ლეს“ ამსჯავსებენ. მაყურებელიც ხშირად ტყუილებს. მაგ- რამ ასეთი მსახიობები ნამდვილ სცენურ მხატვრულ სახეს ვერადადროს შექმნიან. მიმსგავსება კი ძალიან შორს არის ნამდვილი ხელოვნებისაგან. ეს ნამდვილი ავადმყოფობაა! ავადმყოფობა სხვადასხვა სახის არსებობს.

არის, მაგალითად, შემთხვევები, როდესაც მსახიობები ძა- ლზე ბუნებრივად მოქმედებენ, განიცდიან თავიკი გმირის ქვეყას, მაგრამ იმდენად გაურკვეველად და ჩუმიად ლაპარა-

კობენ, რომ მათი ბუბუბუბი პირველ რიგებშიც კი არ ისი- ეს უზრდლობაა, უარესი სენია ვიდრე დეკლამაციული პარაკის ასეთი მანერა, სამწუხაროდ, ჩვენს თანამედროვე სცენაზე უკიდრემიასავითაა მოედებუა და გარკვეულყოფი. მასთან აუცილებლობა სასტიკი ბრძოლა ყურადღების გადა- ტანა მხოლოდ სწორ, ბუნებრივ მოქმედებაზე არავითარ შე- მთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ უნდა დავაგვიწყდეს სიტ- ვება, ფრასა. ფრასა უნდა გამოიძერწოს და დაიგვეყოს და ეფერად, გამომსახველი ახსენს. არიან მსახიობები, რომ- ლებიც სრულიად გულახდილად კითხულობენ სცენიდან ისევე, როგორც მხატვრული კითხვის დროს. მაგრამ ეს ხონ სრულიად ხეც ზელოვნებაა, რომელსაც სცენურ, დრამატ- ულ ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვს.

როდესაც მსახიობი ლაპარაკობს სცენაზე, უნდა ეცადოს, რომ მაყურებელმა კი არ უსმინოს (როგორც თოჟათი); არამედ დიანახოს საკანი, რომლის შესახებაც ის ლაპარა- კობს და აგრანობინოს ამ საგნისადმი მისი დამოკიდებულე- ბა. წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ ჩვენმა სასცენაულ მხატვრული სიტყვის ოსტატმა გ. საღრაძემ, რომელსაც თავისი ხელოვნებით აღფრთოვანებანი მოჰყავს მაყურებელ- თა დრამაში, იგივე ხერხები გამოიყენოს რომელიმე როლის თამაშის დროს. ეს ხომ საშიშრელია იქნებოდა.

პაინრის პაინეს აქვს არანეულებრივი გამონათქვამი ორი ორატორის (ციცერონის და დემოსთენეს) სხვაობის შესა- ხებ: „როდესაც ციციკრონი გამოდირდა სიტყვით, სენატ- აღდუთოვანებისაგან გრცვიდა და ხალხი ამობოდა: ღმრ- თო, როგორ მეტყველებს ციციკრონი! როდესაც ბერნანების წინაშე დემოსთენე გამოდიოდა, ათენელები ყვიროდნენ. იმი ფილიპეს! სად ეწერებიან ფრანტზე წასასვლელად!“

ციციკრონი მსგავსი დეკლამატორები თანამედროვე სცენა- ზე იშვიათად გვხვდებიან, ასე რომ ეს „სენა“ მაინცდამაინც საშიში არ არის.

გაცილებით უარესია ის ავადმყოფობა, რომელსაც პიო- ბითად „ლაზუნდარობა“ შეიძლება ვუწოდოთ, მსახიობი ლაზუნდარობენ მაშინ, როდესაც თამაშის დროს საკუთარ სიტყვებს თხზავენ და ავტორისეულ ტექსტში უმატებენ. ამ შემთხვევაში მსახიობი საზოგადოების წინაშე წარდ- გება არა როგორც ავტორისეული ტექსტის ინტერპრეტატორი, არამედ როგორც მწერლის თაამაშეში (რა თქმა უნდა, ყოვლად უნადრუტ). ამ დროს მსახიობი სასტყვადი იმპრო- ვიზატორის ან თვითმოქმედი ავტორობის როლი გამოის. თან, როგორც წესი, მისი „აბმოჩენები“ ყოველივის დაბა- ლი გემოვნებისა და მდარე ხარისხისაა, რადგან ყოველივე ეს ერთი მიზნისათვის ეკლდება — როგორღე გააცნოს მა- მაყურებელი, რასაც, საუბედუროდ, ხშირად აღწევენ კიდევ მაყურებელი იყინოს, მაგრამ ანა ასეთი იაფუასიანი ხერხე- ბით გამოწვეული სიცილია ჩვენი ხელოვნების მიზანი?

მაგალითად, გაჩნდა ყოვლად უნადრუკი და ძალზე გავრ- ცელებული მანერა აურიო გმირის სიტყვების ისე, რომ ხაზი გაუსვა ამ პერსონაჟის სიბრძნევას, სისულელეს, ეს ხომ არ ეკადრება ჩვენს დიდებულ ხელოვნებას?

ეს დადავებდა თანდათან ვრცელდება ჩვენს თეატრებში და ჯერჯერობით ვერავითარი ცვლა ეგრე ვხვობს მას. ხშირია შემ- თხვევები, როდესაც სტადიონზე მიმდარნი ფაქტი ანდა ახა- ლი ანედლოტი მოულოდნელად კ. ბუაჩიძის, ალ. ჩხაიძის ან ღ. ღუმუბაძის პიესების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებში აღ- მოჩნდება ხოლმე, მაგრამ ყველაზე საკვირველი ის არის,

რის ეს ნიჭიერი მწერლები სრულიად დამშვიდებით, შეს-
ქვიანად ყოველივე ამას და არავითარ აღმშოთხებას არ გამო-
სთქვამენ.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ კონცერტის დროს
ესტრადაზე გამოდის პიანისტი და იწყებს გია ყანჭელის
მუსიკის თავისებურ „გადაკეთებას“ (ნუ ავურევთ ამ შემთ-
ხვევას ნამდვილ ჯაზურ იმპროვიზაციასთან. ეს სულ სხვა
ხელოვნებაა!) დარწმუნებული ვართ, რომ გია ყანჭელი მა-
შინვე პრეტესტს განაცხადებს, ვატრებში კი რატომღაც
არაფერი ამის მსგავსი არ ხდება.

მშვენიერად მესმის, — რეპეტიციის დროს, იმისათვის,
რომ უფრო ზუსტად ქმედითი სვლა მოხსნათ, ხანდახან
შეიძლება რამდენიმე ავტორისეული სიტყვა, ზოგჯერ ფრა-
ზაც კი შეეცვალოთ. ამაში არაფერია გასაკუთრებული, მი-
თუმებტს, თუ მუშაობა გვიხდება არასრულყოფილ პიესაზე.
(აბა, ვის მიუყვება თავში დ. კლდიაშვილის გადაკეთება? მის
ყოველ სიტყვაში, მრავალწერტილსა თუ მიმომხმ, სიტყვა-
თა განლაგებამდე კი უმარავი შესაძლებლობა იქმნება ირიაა,
რომ ძვილი მასალა ახლებურად ამოიკითხო). ამაში არაფე-
რია განსაკუთრებული, მოთუმებტს, თუ ეს ყველაფერი არის
ავტორთან შთანხმებული.

მე მომხრე ვარ მუშაობის დროს, მაშინ, როდესაც გე-
ვენება, რომ დიალოგი გრძელდება და მისაწყენი, პიესაში
კუპურები გაკეთდეს. მომხრე ვარ სცენების გადაადგილე-
ბისა (მონტაჟი) თუ ამას სარეჟისორო ჩანაფიქრი მოით-
ხოვს. მაგრამ სცენაზე თამაშის დროს საცურო სიტყვების
თხზვა და ცუდი გემოვნების კალამბურებით ავტორის ნაწ-
რმოების დანაგებება — ეს, ჩემის აზრით, დიდი ბოროტ-
მოქმედებაა ხელოვნების ყველა დიქციის წინაშე.

ეს ხდება მაშინ, როცა მსახიობს ავტორის მიერ შემოთავა-
ზებული ინტერბის (სიტყვების) მიხედვით თამაში ან
უჭირს ან ეჭირება.

მას სწავლება და იმის ნაცვლად, რომ ქვეყის და მოქმე-
დების სფეროს ჩასწავდეს, პეპელასავით დეფარფატებს შე-
დაპირებს. მას არ შეუძლია რიტორიული მუსიკის სიღრმეებს
ჩასწავდეს და სხვისი ნოტებით მაცურებელს საკუთარი აზრე-
ბი და სათქმელი გაუხიაროს. ასეთი მსახიობი დიდი ინტერ-
პრეტატორი ვერასდროს ვერ გახდება. ყველაზე ხშირად ამას
სჩადის არაპროფესიული მსახიობი, რაივც ნიჭიერიც
არ უნდა იყოს იგი. რატომღაც, ხშირად გვაფიწყდება, თუ
რაივც დიდ ენერჯიას ხარჯავს მწერალი თითოეული რე-
პლიკის დამუშავებაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ სამქმე გვაქვს
განსაკუთრებულ ხელოვნებასთან. პიესის, დიალოგის, ფრა-
ზის შექმნა ყველას როდი შეუძლია. ამას განსაკუთრებული
ნიჭი ჭირდება. რატომ არ იკონებენ მსახიობები სცენაზე
ლექსებს? იმიტომ, რომ დიქციის შეთხზვა ძელია. ახივეც
არანაკლებ ძელია ნამდვილი დიალოგის შექმნა. ეს ხომ
დიდი ხელოვნებაა!

საჭიროა კიდევ ერთხელ გავერკვეთ სასცენო და სამწერ-
ლო შემოქმედების განიხილვით. როდესაც მწერალი თხზავს
სცენას, ის ცდილობს წარმოიდგინოს ეს ამავე ცხოვრება-
ში (და არა სცენაზე, დეკორაციებში), ცდილობს დანახოს,
აღიქვას ხმაურით, ბგერებით, გაიგონოს სიტყვები, განიცა-
დოს და ა. შ. ყოველივე ამის ფიქსირება კი ხდება მხოლოდ
და მხოლოდ სიტყვების (ნიშნების) საშუალებით, მოქმედ-
პირთა სალაპარაკო სიტყვებითა და რემარკებით. ამ შემთ-
ხვევაში სიტყვები — მხოლოდ ნიშანია, რომლის საშუალებ-

ით მიწერილი აფიქსირებს თავის წარმოდგენას პერსონაჟი-
თა ცხოვრებაზე, ე. ი. მწერლისათვის კვლევის მთავარი უტევე-
ქტი პერსონაჟთა ცხოვრება-ამბავია და არა მარტო მონტაჟი-
კვები, რომელსაც ამ ცხოვრების დროს წარმოისთქვამენ. მა-
გალითად, მაგნიტოფონზე რომ ჩაეწეროს მომხდარი რაიმე
ამბავი, ფირზე ჩაიწერება მხოლოდ სიტყვები და ხმაური. ე. ი.
მაინტოფონზე აღიიჭედება ცხოვრებისეული ამბის მხოლოდ
ნიშნები და არა თვით ამბავი.

თითქმის იმავეს აკეთებს მწერალი, თუმცა პატარა, მაგ-
რამ ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავებით; თუ მაგნიტოფი-
რი აფიქსირებს განურჩევლად ყველაფერს, მწერალი იმავეს
აკეთებს შერჩევით და ამოკრებით, რის შედეგადაც იქმნება
ხელოვნების ნაწარმოები. გახსალვრებულ სიტყვათა (მიხან-
თა) სისტემის შეთხზვა ხელოვნებაა, რომელიც მოითხოვს
განსაკუთრებულ ნიჭსა და არაფიქვლებიც შრომას, მამასა-
დამე, მწერლის თანაავტორობა ძალზე ძელია.


სცენაზე უღვთოდ ლექსაქი, უაზრო კითხვა, გაუგებარი
ჩურჩული, საკუთარი სიტყვების ავტორისეული მსატრული
ტექსტის დანაშინება — ყველაფერი ეს საშინელი ვადან-
ყოფობაა, და ამ სენს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვეცადოთ.

სიტყვა იგივეა, რაც მელოდია მუსიკაში და ფერი ფერზე-
რამი. იგი მოითხოვს სიხსტესტს და აზრობრივ დატვირთვის,
როგორც მშვენიერი მომღერლის სიმღერისას ყოველი ბგერა
დიდი ხელოვნებაა, ასევე, სიტყვა მსახიობის შემოქმედება.
ში ისტატურად გამოძიწვილი და გაციცხლებული უნდა
იყოს. სიტყვა ბუნებრივად უნდა დაიბადოს და არ გადაიზ-
რდის ყალბ დეკლამაციად.

სიტყვის ძალა რომ განუსაზღვრელია!

ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება იყოს ფრითიანი, სამარ-
თებელივით ალსილი, ტკბილი, ცვლიანი. სიტყვა შეიძლე-
ბა ისროლო, მიათვა, სიტყვით შეიძლება დაარტყა, მიუ-
ლერსო, დაარწმუნო, შეაგანებინო. სიტყვა შეიძლება იყოს
უხეში, რბილი, საწყენი. სიტყვა — ნივთია! სიტყვა ძალზე
ძვირი რამ არის! იგი ვერ იტანს უპატკეცველობა მოპყრობას,
სიტყვა საშინელი წყენიაა და როგორც კი იგრძნობს უყურა-
დღებობას, ეწყინება და სამუდამოდ დაიმალება. თავის თავის
ნაცვლად ცარელი ხმარის დატოვებს, უბრალოდ ბგერების
ხმარის, რომლებიც არავითარ კონკრეტულ ინფორმაციას არ
ატარებს. სიტყვა უნდა გვიყვარდეს, პატივი ვცეთ, მას უნდა
მოეუაროთ ისევე, როგორ ძველად ნამდვილ ვაჭაკაციბი თა-
ვიანთ იარაღ უღვდნობს. სიტყვა ხომ მხალივით ბანსია,
ცვიანიავით სწრაფი. მსახიობის იარაღი — სიტყვაა. იგი
მოქმედების, ძალის ტოლია. სამწუხაროდ, რა ხშირად გვი-
დევს ეს ჩვენი იარაღ ქართველში დაგანგებელი. მსახიობის
უნდა ესმოდეს, რომ საკუთესო სიტყვაც შეიძლება დაკარგო,
ფუჭად დახარჯოს....

„...როცა საზოგადო მნიშვნელობის აზრი ამოქმედებს
სიტყვას, მაშინ თითონ თქმა ქმნად გადაიქცევა ხოლმე —
ამბობდა ილია. — ... მაშინ სიტყვა უბრალო ლექსაქი
არ არის, მაშინ სიტყვა საქმეა. მაშინ სიტყვა ხმალოდ უფ-
რო სჭირს და ზარბაზანზედ უფრო ძლიერ მოქმედობს, მა-
შინ სიტყვა ძალაა და ძლიერება“.



დ. ერისთავი

რკეტი

23 თებერვალი საჯოთა პარიზსა და საჰებერო-საზღვაო ულოტის ღვა

თანამედროვეობის მიერ აღორქიანებული...

მერაბ გეგია

რწმულუშიამდელ დრამატურგიას მოკრძალებული ადგილი აქვს მიჩენილი ქართული ხელოვნების ისტორიაში. გამონაკლისს მხოლოდ გიორგი ერისთავი წარმოადგენს, რომლის შემოქმედებამ საფუძველი ჩაუყარა პროფესიული ქართული თეატრის შექმნას. XIX საუკუნის ქართული დრამატურგია, ტრადიციებისაგან მოწყვეტილი, უმკაცრესი ცენზურის ხელში, მხოლოდ ცალკეული წარმატებებით თუ კმაყოფილდებოდა — იქნებოდა ეს ავქსენტის ცაგარლის კომედიები, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის დრამატული თხზულებები, თუ ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, რომელიც დღესაც გვხვბლავს ფორმის სინატიფით და ფილოსოფიური სიღრმით. ამ პერიოდის ქართული თეატრი ძირითადად ვოდვილებით საზრდობდა. მხოლოდ ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოანათა

სუმბათაშვილი-იუქინის „ლატამა“, რომელიც იმჟამინდელ ქართულ თეატრში არსებული პროცესების პირმო კი არ იყო, არამედ დიდი თეატრალური მოღვაწის ეგრეთწოდებული „ლატამის“ გამოსყიდვა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულ დრამატურგიას ჯერ დ. კლდიაშვილის, შემდეგ შ. დადიანისა და პ. კაკაბაძის დრამატული ქმნილებანი შესძინა. მაგრამ არც ქართული თეატრის დონე და არც ამ დრამატურგების გავლენა აღმოჩნდა საკმარისი, რომ მათ ერთმანეთი გაემდიდრებინათ. დ. კლდიაშვილი დარჩა პაროზის აღიარებულ ოსტატად, ხოლო შ. დადიანმა და პ. კაკაბაძემ მხოლოდ რევოლუციის შემდგომ პიოვეს ჭეუმარიტი აღიარება.

ქართული სცენის რეფორმატორებმა კ. მარჯანიშვილმა



და ს. ამბეჭდობა რევოლუციამდელი დრამატურგია შეუფერებლად სცნეს ეპოქის უმნიშვნელოვანესი და უაღრესად მას-ტაბური მოვლენის ასახვისათვის და, ალბათ, სამართლიანადაც, თუმცა ეკ მიერ გამოთქმული შეხედულებანი ამა თუ იმ ნაწარმოების ან ავტორის შესახებ, დღემდე ინარჩუნებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ეს შეხედულებანი, იქნებ, მხოლოდ ჩვენი თანამედროვეობის მიერ იქნა სწორად ახსნილი და გააზრებული.

არც შემდგომმა პერიოდმა გაანებიერა რევოლუციამდელი დრამატურგია. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მიმხდარმა სოციალურმა თუ საკაცობრივ კატაკლიზმებმა, იგი მოილანად ჩრდილოდ მოაქციეს. გამოხდა ხანი, და მან 60-იანი წლების ქართულ თეატრში არა მარტო აღორძინება, არამედ უკანაღობაც ჰპოვა. პირველხანად მას ისევ მოკრძალებული ადგილი მიუჩინეს, შემდეგ ეკ იმდენად საყურადღებოდ სცნეს, რომ ამ პერიოდის თეატრალური პროცესების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად აქციეს.

თავის დროზე აკაკი წერეთელმა მასხვილონიერულად შენიშნა: „შეიძლება სხვათა დრამატურგია ღვიინ იყოს, ჩვენი კი წყლია, მაგრამ უღვიინო გაგებლთ, უწყვილო კი ვერა...“ პოეტის ეს ლაკონური შედარება ცხადად ავლენს იმ ტუმბარტებას, რომ თეატრის განვითარება წარმოუდგენელია ეროვნული დრამატურგიის გარეშე.

ჩვენი საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული რეისურა უძველად დაიკავეს კუთვნილ საპატიო ადგილს ქართული თეატრის ისტორიაში, რადგან იგი გამოირჩევა მაყურებელთან ახალი კონტაქტის აქტიური ძიებით. თავის დროზე ამ გარემოებას წყევალ პოლემიკა გამოიწვია. გერმული რომანტიზმი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში წარმმართველი მიმდინარეობდა იყო, ადგილს უთმობს ყოფიან-ფსიქოლოგიურ, პირობით-რეალისტურ, მსატრული განზოგადებების თეატრს. ჩვენს სცენაზე ამ პერიოდში ისახება და შემდგომ მყარად მკვიდრდება ბრესტის „ეპიკური“ თეატრის პრინციპები. შესაბამისად, მკვეთრი ცვლილებები შეინიშნება სამხატვრო ხელოვნებაში. და რაოდენ საკვირველიც არ უნდა გვეჩვენოს, ამ ვითარებათა ერთ-ერთი მაორგანიზებელი და წარმმართველი ხდება რევოლუციამდელი ქართული დრამატურგია.

აღნიშნულის გარდა, ამ წლების ქართულ თეატრში ცხად-ლივ შეიგრძნობა კონტაქტის გაფართოება გლობალურ თეატრალურ პროცესებთან. იზრდება რეისურის მსატრული აზროვნების არც ქართულ თეატრში აღძრული პრობლემები ზოგადკაცობრივადმდე მალდება. ყოველივე ეს ეროვნულ ბაზისს მოითხოვს. ერთ-ერთ ასეთ ბაზისად იქცევა რევოლუციამდელი ქართული დრამატურგია. ეს სიტყვები ლტონად რომ ამ ჩაგვეთავოს, გავისწინოთ იმ სპექტაკლების წარმატება, რომელიც შეიქმნა ამ დრამატურგიის საფუძველზე.

დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალზე“ ტრიუმფალური სვლა რუსთაველის თეატრის მიერ დარბაზიდან დაიწყო და ამერიკის კონტინენტამდე ჩააღწია, გაიარა რა ვერობის თეატრალური კულტურის ცენტრები. საარბრიკუნის თეატრმა „სამანიშვილის დედინაცვალი“ თავის რებერტურში შეიტანა.

რეისორი რ. სტურუა რუსთაველის თეატრში დგამს ა. ცაგარელის „ხანუშას“. თეატრალური კრიტიკა ძირითადად დღმილთ ხედება ამ წარმოდგენას, თუმც იწერება რამდენიმე უარყოფით რეცენზია. სპექტაკლის პოპულარობა კი

დღითი-დღე იზრდება. მოგვიანებით პრესის ფურცლებზე მისიარება პოლემიკა დადგმის ასეთი პოპულარობის გამოწვეულენინგრადის დიდი დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს გ. ტოსტონგოვს „ხანუშა“ შეაქვს ამ თეატრის რებერტურაში. სპექტაკლი აქვს არაჩვეულებრივი წარმატებით გამოირჩევა. „ხანუშას“ დგამენ სამეცხეთა კავშირის მრავალ თეატრში და იგი ყველგან იმარჯვებს.

„ხანუშას“ პარალელურად მარჯანიშვილის თეატრში იდგამება „ძველი ვოდევლიბი“, ამ ვოდევლიბის „იონაზი“, „მუტაიონა“, „ძველ სასამართლოში“ ავტორები არიან რევოლუციამდელი დრამატურგები ა. ცაგარელი, ა. წერეთელი, ქ. ბახტაშვილი. სპექტაკლებს დგამს და მთავარ როლებს ასრულებს მასიხობის ვ. კოიბაშვილი. სპექტაკლი არაჩვეულებრივად პოპულარული ხდება და დღემდე თეატრის რებერტურაშია.

1971 წელს რეისორი თ. ჩხეიძე ახსორციელებს შ. დამიანის „ეუმინდელის“ დადგმას რუსთაველის თეატრში. სპექტაკლი საყოველთაო აღიარებას მოიპოვებს.

მაგრამ რევოლუციამდელი ქართული დრამატურგიის დამახსებებდა თანამედროვე ქართული თეატრის წინაშე ამით როდი ამოიწურება. შექმნილია სხვა მრავალი საინტერესო სპექტაკლიც, რომელთა შორის ზოგიერთმა საცაბო მნიშვნელობა შეიძინა. ამ დრამატურგიის წყალობით ჯერ მიიწინა, შემდეგ კი განვითარდა და დაფუძნდა ის შემოქმედებით ტენდენციები, რაც საერთოდ ასახაითებს 60-70-იანი წლებს ქართულ თეატრს. ამავე დრამატურგიის შეწყობით მსოფლის პროგრესული თეატრების გაგენდა ქართულ თეატრზე არ აღიზრდა მტკნური. ჩვენმა თეატრებმა შესძლეს დამოუკიდებელი გზის პოვნა და ყველა სიახლე ორგანულ მოვლენად აქციეს.

ისტორიის კუთვნილება გახდა რევოლუციამდელ ქართულ დრამატურგიაში ასახული ემიპირიული გარემო, ამ ნაწარმოებთა იდურ-ესთეტიკური არსი. მაგრამ ამ პიესებმა თანამედროვე თეატრს მოცის ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობა. ხოლო კლასიკური დრამატურგიული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესია არა მარტო ქართული, არამედ მთლიანად თანამედროვე თეატრალური ხელოვნებისათვის. იგი მრავალ სასქტითა საყურადღებო, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული თვითშეგნების პრობლემაა, რადგან „აწყმო, შობილი წარსულისადაც, არის მშობელი მომავლისა...“

60-იანი წლების ქართულ თეატრში აშკარად შეიგრძნობოდა ღრმად ბრესტის თეატრალური ესთეტიკისაგან. რუსთაველის თეატრში იდგამება „სამგრომანი ოპერა“ და „სქუანუელი კეთილი ადამიანი“. ქართული რეისურა ექებს მაყურებელთან კონტაქტის ახალ ტარებას. ასეთი სპექტაკლის აღქმა აუცილებლად მოითხოვს განვითარებულ ინტელექტს. მაგრამ რაოდენ პარადქსული და, ამავე დროს, კანონზომიერიას იგი ვითარება, რომ ქართულ სცენაზე ბრესტის ესთეტიკის დამამკვიდრებლად იქცა ახა თვით ბრესტის (აღნიშნულ დადგმებს წარმატება არ მოჰყოლია), არამედ თითქმის მოუღონდელად, ყველასათვის გარდა ცნობილი ქართული მწერალი და კლდიაშვილი. სულ მალე იგი ქართულ თეატრს დამამკვიდრება არა მარტო აითვისოს „ეპიკური თეატრის“ პრინციპები, არამედ შემოქმედებითად განავითაროს იგი და ყოველივე ამის საფუძველი მოცემული იქნება თვით დ. კლდიაშვილის მსატრულ ქმნილებებში. პრივილეგია ამ მხრივ

უდაოდ კვთვების რუსთაველის თეატრი განხორციელებულ „პოეზიის საღამოს“ დადგამს, რომელშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“.

სპექტაკლი-კომპოზიცია „პოეზიის საღამო“ ლიტერატული თეატრის პრინციპზე იყო აგებული. მასში გაერთიანებულ იყო ლექსი, პოემა, ნოველა, დრამა. ერთმანეთსაგან განსხვავებული სახეობის ნაწარმოებთა სცენური სინთეზი და სტილური გაერთიანება თავისთავად წარმოადგენდა თამამ თეატრალურ ექსპერიმენტს.

ბუნებრივია, სპექტაკლის ასეთმა წყობამ „დარისპანის გასაჭირის“ პოეტურ პლანში გადაწყვეტა მოთხოვნა. დადგმის რაჟისორმა მ. თუმანიშვილმა „დარისპანის გასაჭირის“ ჩართვა „პოეზიის საღამოში“ ასე ახსნა: „ახლა, როცა „პოეზიის საღამოს ვმართავთ, პირველყოფილსა, სწორედ ცხოვრების პოეტური განცდა გვირედა ვაჩვენეთ. ავირჩიეთ დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“. იგი ლექსად არ არის დწერილი, მაგრამ ამით სრულიად ან მცირედმა მისი პოეტური ხარისხი. ეს პიესა ნამდვილი პოეტური ნაწარმოებია.“ (მ. თუმანიშვილი გაზ. „თბილისი“, №-9, 1964 წ.)

ცხადია, „დარისპანის გასაჭირის“ პოეტურ პლანში გადაწყვეტა და „პოეზიის საღამოში“ ჩართვა არ მოხერხდებოდა ლიტერატურული თეატრის პრინციპის გარეშე. რეჟისურამ მიმართა ამ პრინციპს, რამაც თავისთავად გამოიწვია „დარისპანის გასაჭირის“ ეპიზოდები. ამასთანავე, ეს იყო ერთდერითი ზუსტ კლექტისზისაგან თავის დასაღწევად. ამან გამოიწვია პიესის სრულიად ახლებური ჟღერადობა. პიესაში გამოვლინდა ლირიული ინტონაციები, რომლებიც კონფლიქტის გაღრმავების შედეგად, დრამატული პოეზიის ეპიკური საშუალებებით იყო განდოკუმებული. ეს სრული სიახლე იყო იმ პერიოდის ქართულ თეატრში და, ალბათ, გარკვეულ წინადადგობას წაყვდებოდა მაყურებელთან კონტაქტის მხრივ, რომ არა ზემოთაღნიშნული ლიტერატურული თეატრის პრინციპი. ამავე პრინციპის შემწეობით ხორციელდებოდა სხვა პირობითობანიც სპექტაკლში — დეკორაციისა და პერსონაჟისეული კოსტუმის უარყოფა, მოქმედ პირთა გვერდით „პოეზიის საღამოს“ სხვა მონაწილეების ყოფნაც. შედეგად გამოირიცხა ილუზორული თანაგანცდა სცენასა და აუდიტორიის შორის. ყოველივე ეს „დარისპანის გასაჭირს“ სრულიად ახალ, მანამდე უცნობ სცენურ ატმოსფეროში ატევიდა და, ბუნებრივია, უყვებოდა ახალ. შესაბამის მოთხოვნებს. პიესამ ურთულეს გამოცდას გაუძლო და ნათელყო, რომ ბრეტის თეატრალური ესთეტიკის დანერგვა ქართულ სცენაზე შესაძლებელია ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობით, რამდენიმე წლის შემდგომ იგი დასრულდება და სრულყოფილი გამახატულდება კპოვებს ამავე სცენაზე განხორციელებულ დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დენიანაცვლში“.

ქართულ თეატრს წარსულში არაერთგზის მიუმართავს დ. კლდიაშვილის პროზისათვის. ამ დადგენიდან ზოგიერთს წარმატება ხვდა წილად. მაგრამ რუსთაველის თეატრის განზრახვა განეხორციელებინა დ. კლდიაშვილის პროზის გასცენიურებას, თვისობრივად ახალ ეტაპს წარმოადგენდა.

დავით კლდიაშვილის პროზის ადრეულ დადგენებში, თითქმის ყველა შემთხვევაში, ინსცენირებისას

ურყოფილი იყო ნაწარმოების ეპიკური წარმომავლობა აკვერად, „სამანიშვილის დენიანაცვლი“ დამდგმელმა, რეჟისორმა თ. ჩხეიძემ და რ. სტურუამ სწორედ ეპიკურმა პიესის სპექტაკლის გააზრების ქვეყნობდა. მის ავტორისეული ძირობა და მოქმედება ერთმანეთს შეურწყებს, გვიჩვენებს ისინი ერთად, განუცხადებულად. ეს ნოვალურული ნაბიჯი იყო. არა წამბამებლობა, არამედ ისეთი სიახლე, რომელსაც ღრმად ჰქონდა ფეხები გადმეული ქართული თეატრალური ხელოვნების ტრადიციამ. პირველყოფილსა, იმიტომ, რომ ნაწარმოებით იყო ნაკარნახევი და მთვრელ, სპექტაკლს არ აქვდა განცდათა მრავალფეროვნება და მას-შტაბი, ესოდენ დამასახიანებელი ქართული თეატრისათვის. პერსონაჟისეული თანაგანცდას და „გაცხოვების“ მონაცვლობა ქმნიდა იმ განუყოფელ ატმოსფეროს, სადაც სრულიად წარმოსახვითად დ. კლდიაშვილის მხატვრული სამყარო.

დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა პირობით სცენურ პლანში გადაწყვეტა უკვე ნიშნული, შეძლებდა ითქვას, ტრადიციული განაღ 70-იანი წლების ქართული თეატრისათვის პირობითი გამოსახველი საშუალებანი იქცა იმ ხილად, რომლითაც პიესაში თუ ინსცენირებაში მოცემული შინაარსი დაუჯერდა და დღევანდლობა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრში დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვების“ დადგამა. საკულისხმობა, რომ ნორჩი მაყურებელი სასახებით მომზადებული აღმოჩნდა ამ რთული, მრავალფეროვანი თეატრალური ხერხებით შემწილი სპექტაკლის აღსაქმელად.

რეჟისორმა შ. გაყერელიამ სპექტაკლი „ქამუშაძის გაჭირვება“ შექმნა უაღრესად ლაიონიური და ძუნწი გამომსახველი საშუალებებით. უარყოფილ იქნა ყოველგვარი დეკორაციული დანადგარი, ეპიქის ან ყოფის ამახველი სცენური დეტალები. სცენურ სარკეს შემოვლებული ჩარჩო სივრცეს ახალ შინაარსს სძენდა. იგი ხაზს უსვამდა ასახვის პირობის თხილ და სპექტაკლის მსვლელობის დროს ქმნიდა დისტანციას სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის. სცენოგრაფია (მხატვარი მ. ჭეჭავაძე) ყოველგვარი ორზოვნების გარეშე გამოსატყავდა რეჟისორის მიზანსწრაფვას გადმოეცა განსაკუთრებული ხატოვანებითა და კოლორიტილოებით აღსავსე წარსულის სურათები, მაგრამ ისე, რომ გვერდნო კავშირი თანამედროვეობასთან. საღისესით და ნიშნული გახვდა მეწრლის მიერ აძრეული პრობლემები. და თუმცა სპექტაკლს პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა ბრეტთან, მაგრამ მთლიანად ბრეტის ესთეტიკის ზეგავლენა არა მარტო შეიგრძნობოდა, არამედ ხაზგასმული იყო რეჟისორის მიერ.

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ეს სპექტაკლი არ იყო გამონაკლისი. დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა სცენური სიციქული მჭიდროდ დაუჯერებდა ბრეტის თეატრალურ ესთეტიკას.

60-70-იანი წლების ქართული თეატრი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ტრაგიკომედიის ჟანრისადმი. ამ პერიოდში იღვებოდა ელვაროდ დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნება“ და „ცილინდრი“, მაქს ფრიშის „ბიღერმანი და ცეცხლის წამიდებლები“, ფრიდრიხ დიურენმატის „მილიარდების ვიზიტები“. მაგრამ ისევ პარადული — ეს დადგმები მეტ-ნაკლებად ინტერესს აღძრავენ, ტრაგიკომედიის ჟანრი კი ქართულ



სენაზე მკვიდრდება ჯერ დ. კლდიაშვილის და შემდგომ შ. დადიანის წყალობით.

დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა ტრაგიკომიკურობა თავის დროზე აღინიშნა კ. მარჯანიშვილმა: „დ. კლდიაშვილის პიესები სრულიად არ არის სწორად გაგებული ჩვენი დამდგმე-ლებრის მიერ. არ შეიძლება, მაგალითად, „დარისპანის გასა-ჭირიდან“ ანეკდოტური ვოდევილების შექმნა, რადგან ეს პატარა ნაწარმოები გაკლებილია ნამდვილი ტრაგიკომით. დაბ. ვე ვიმოიხრებ, რომ ეს ტრაგიკომედია დგას სიცილისა და ცრემლების სასუფარზე“.

ისევ და ისევ უნდა გავისხენოთ „პოჟუხის საღამო“, სადაც „დარისპანის გასაჭირი“ ტრაგიკომედის ჟანრში იყო გადაწე-წვეტილი.

დ. კლდიაშვილის „ცრემლიანი სიცილი“ კიდევ უფრო სრულყოფილად იყო გადმოცემული „სამანიშვილის დედინაცვალში“. სპექტაკლი გაკლებილია ლირიზმით და ტრაგიკომიკურობით. მწერლის მიერ დახატული პერსონაჟთა ეს „გრძობათა ბუნება“, იქნებ, მხოლოდ ჩვენთვის უნდა ყოფილიყო ვასავები, მაგრამ, აი, რას წერენ უცხოელი მკვლევრები და სპეციალისტები: „როგორ ერწყმის ერთ, რამდენიმე წუთიან სცენაში ერთმანეთს სურფო ზაქარაიძის სიხარული და მუწასარება მეორე შვილის დაბადებისა და პირველი შვილის დაკარგვის გამო, რომელსაც გოგი გეგეჭკორი მომსიმდეგულად, მრავალი ნიუანსებით გამდიდრებულთა თამაშით ასრულებს“. („დი ნოია ველტი“ № — 121 25/V — 1970 გვ. 3). ან კიდევ: „ქართული კოლეგების თამაშს ისეთიანრი მოლოდინული რიტმი, ბრწყინვალეა და ცრემლისმიმკვრელი კომიზმი ახასიათებდა, რომ განუწყვეტელი სტიქიური ტაშით და ხმაბლადილი სიცილით ვხვდებოდით“ (გეგარდ შა-ლი, გავ. „ლიტერატურული საქართველო“, 17/X XI — 71 წ.).

თავის დროზე ა. ახმეტელი ცდილობდა პრაქტიკულად დაენერგა ტრაგიკომედის ჟანრი ხალხურ თეატრალურ საწყისებზე დაერდნობით სარეპეტიციო დღიურებმა შემოგვი-ნახა მისი ნაწარმოები ამ მიზანთულებით. „აღდეს ჩვენ ვიწყებთ მუშაობას „შემოდგომის აზნაურებზე“. განა შეიძლება მისი დადგმა ხალხური ნიღბების გამოუყენებლად? დ. კლდიაშვილის გმირთა პორტრეტებში მე ვხვდავ ნამდვილ ხალხურ ნიღბებს, ვხვდავ მათ სახეებს. მაგალითად, დარისპანის ტრაგიკული პათოსის ნიღაბია. საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ ბერიკეტი არ არიან ისეთი მსახიობები, როგორც ჩვენნი პროფესიონალებია, ისინი ცხოვრების ნიღბებია... როცა ბერიკა ასახიერებს სახეს, მან უნდა იცოდეს — სა სახის წარსული, თუ ეს მარტო იმპროვიზაცია იქნება? მსახიობი აქ ორბუნებრივია, როცა ბერიკა ბერიკაობს, ეს პირველი სახეა, მსახიობობა კი მეორე. ამ შემთხვევაში მოქმედმა ბერიკამ იცის როლის წარსული. იმპროვიზაცია ზოგადი მომენტი ტრაგიკალური შემოქმედებისა“ (ა. ახმეტელი — კრემული თბ., „ხელოვნება“ 1958, გვ. 80).

ჩვენი აზრით, ტრაგიკომედის არსის ძიებისას ახმეტელი აშკარად უახლოვდება ბრეტის ესთეტიკას. ამიტომ მიმართავს იგი ხალხურ სანახაობებს. ამისათვის სჭირდება ნიღბების თეატრი. ორბუნებრივება განა იგივე როლიან „გაუცხოება“ არ არის? აღსანიშნავია, რომ რუსთაველის თეატრის „სამანიშვილის დედინაცვალში“ მოვლენების ტრაგიკომიზმს

ყველაზე სრულყოფილად სწორედ „გაუცხოების ეგზეტიკა“ ავლენდა.

„გუმინდელის“ საბჭოთა ქართულ სცენაზე დადგმის მიხედვით ისტორიაში 1971 წელს რეჟისორ თ. ჩხეიძის მიერ რუსთაველის თეატრში განხორციელებულ დადგმას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამ სპექტაკლში თავი მოიყარა „გუმინდელის“ დადგმის საუკეთესო ტრადიციებმა და ამავე დროს, იგი ახლებურად იქნა გააზრებული. თუ წინამორბედი დადგმები ძირითადად სოციალური კომედიის ჟანრში იყო გადაწყვეტილი, ამხრავდ რუსთაველის თეატრმა „გუმინდელის“ სოციალურ ტრაგიკომედიად წარმოადგინა. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო ამ პიესის ინტერპრეტაციის, არამედ თანამედროვე ქართულ თეატრში სოციალური ტრაგიკომედის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების თვალსაზრისითაც. მოსკოვში გასტროლების დროს, ენობრივი ბარიერის მიუხედავად, პირველსავე ნახვისთანავე სპექტაკლს ასე გამოეხიზებოდა:

«Трагические тона еще более сгущены в постановке Т. Чхендзиевской комедии Ш. Дадиани «Вчерашние». И это — не столько комедия, сколько социальная трагикомедия с последовательно проакцентированными драматическими моментами». (А. Образцова. М. Астадиева — «Театральная жизнь», № 13. 76 г.).

მასთანავე, მოხდარი ფაქტი ძნელად დასაშვებია, ნაკლებად საალბათოდ და ამიტომ მოულოდნელად გამოიყურება. მაგრამ იგი შეუძლებელი არაა, არამედ შესაძლებელია. განსხვავება ალბათურსა (მოსალოდნელსა) და არაალბათურს (მოულოდნელს) შორის არის არა არსების მიხედვით, როგორც შესაძლებელსა და შეუძლებელს შორის, არამედ სიზნირის მხრივ. მოსალოდნელი ხშირად ხდება, ამიტომ მისი მოხდენა მეტად ალბათურია და დამაჯერებელი: მოულოდნელი იშვიათად ხდება. ამიტომ იგი ნაკლებ ალბათურია და ამდენად დაუჯერებელი. მაგრამ ორთავე შესაძლებლობის ფარგლებშია და თუ მოულოდნელი რამ მოხდა, არავითარი საფუძველი მისტიკისათვის არა გვაქვს. ამის ასახსნელად არ არის საჭირო ვიწამოთ რაღაც საიდუმლო ძალა — ბედისწერის სხიბთ. გინებას თავისუფლად შეუძლია ახსნას იგი რაციონალური მეთოდების გამოყენებით.

რის საფუძველზე შეუძლია გამართლდეს გინება ამ ასეთი დაუჯერებელი და მოულოდნელი ფაქტი? შემთხვევითობის, უფრო სწორად, მრავალ შემთხვევითობათა გადაკვეთის, გადაჯაჭვის საფუძველზე. ვნახით, თუ როგორ ხსნის ამ ფაქტს ვალტერ ფაბერი. „კვლავ წმინდა წყლის შემთხვევითობამ გადაწყვიტა მომავალი“, — ფიქრობს იგი. მისი აზრით, მან რომ გემით იმგზავრა, ეს შემთხვევით მოხდა (ჩვეულებრივად იგი თვითფარნავად მგზავნობდა). სწორედ იმ გემით რომ იმგზავრა, რომლითაც მისმა ქალიშვილი, ესეც შემთხვევით მოხდა: ისინი რომ ერთმანეთს გამოელაპარაკნენ, ესეც შემთხვევით იყო. ვალტერი თვლის: „ჩემი ქალიშვილი და მე ერთმანეთს რომ გამოველაპარაკებ, ეს იყო არაალბათური შემთხვევა. ასევე თავისუფლად შეიძლება და ერთმანეთისათვის გვეფრთხილებოდ. რა შუაშია აქ გარემოებათა გარდაუვალი დამთხვევა? ხომ შეიძლებოდა სულ სხვაგვარად დასულიყო საქმე?“.

მართალია. ძალიან უცნაურად გამოიყურება ამდენ შემთხვევათა გადაჯაჭვა, მაგრამ ესეც ხომ შესაძლებელია? ვალტერი თვლის: „არ გადადებოთ: ეს შემთხვევითობაზე მეტია, რომ ყველაფერი ასე წაეწყო ერთმანეთზე. ეს იყო შემთხვევითობათა მთელი ჯაჭვი. მაგრამ რა მოსალბათია აქ გარემოებათა გარდაუვალი დამთხვევა?“

ამგვარად, ფაბერის აზრით, ბედისწერა დაუშვებელია, რადგან არსებობს შემთხვევითობა. წმინდა და არაალბათური შემთხვევითობათა გადაჯაჭვამ გამოიწვია ტრაგიკული შედეგი. ამიტომ იგი სასუსებთ ბუნებრივია შექმნილი სიტუაციისათვის და არაფერი შეუძლებელი აქ არ არის. ეს ტრაგედია წინასწარ კი არ იყო დადგენილი ბედისწერის მიერ, არამედ შემთხვევითობათა გადაჯაჭვამ გამოიწვია. ეს გადაჯაჭვა თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ იგი ასეთად გამოიყურება საქმეში ჩაუხედავი ადამიანისათვის. ადამიანი, რომელიც გინებას, და არა გრძობების, საფუძველზე გაანალიზებს მას, რაც მოხდა, მისთვის ყველაფერი სასუსებთ ბუნებრივი და გასაგებია, მაგრამ რა შუაშია შემთხვევითობა

2 აქ ბეობა ეხება ფაქტის მოცენების შესაძლებლობის გამართლდებისა და არა მისი მორალურ შეფასებას. მორალურად ცხადია, იგი შემამაწუხებელი, აღმშფოფუნებელი და დასაგმობია. მიუხედავად ასეთი სიმძიმისა, იგი ბუნებრივი შედეგი იყო იმ სიტუაციისა, რომელიც შემთხვევითობის წყალობით შეიქმნა.

ბა? რატომ შემთხვევითობის და არა სხვა რაიმეს საფუძველზე სხნის ვალტერ ფაბერი ამ ტრეფენისა?

ეს უკვე დამოკიდებულია მის მსოფლმხედველობაზე. მივლედ გავანალიზოთ იგი, რათა შევკვდილოს პასუხი გავცეთ აქ დასმულ კითხვას.

ვალტერ ფაბერის მსოფლმხედველობა

ვალტერ ფაბერი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილია. ეს არის ტექნიკის განვითარებისა და მეცნიერების აყვავების ხანა. „ჩვენ ტექნიკის საუკუნეში ვცხოვრობთ, ადამიანი ბუნების დამპყრობელია, ადამიანი ინჟინერია“ — ამბობს ვალტერი. იგი პროფესიით ინჟინერია, მეუშაბის ინჟინერის ხაზით, ტექნიკურ დანადგარებს ამონტაჟებს ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ვალტერი თვლის, რომ „ინჟინერის პროფესია, რაც არ უნდა იყოს, მამაკაცური პროფესიაა, შესაძლოა ერთადერთი მამაკაცური პროფესიაც კი“.

ვალტერ ფაბერი ტექნიკის აბსოლუტიზაციას ახდენს. მას ტექნიკა მიაჩნია ყველაფრის საფუძვლად. მისი აზრით, მათს ტომმა, მიუხედავად იმისა, რომ მას გარკვეული მიღწევები ჰქონდა მათემატიკაში, ვერაიათარ ტექნიკა ვერ შექმნა და ამიტომ დასაღუპავად იყო განწყობილი. ძველი საზოგადოება მისტიკის ემყარებოდა, ჩვენ კი — ტექნიკას. „ტექნიკა მისტიკის ნაცვლად“ — ასკენის იგი.

ვალტერ ფაბერი კიბერნეტიკულ მანქანას უპირატესობას აძლევს ადამიანთან შედარებით. მანქანას გრძნობები არ აქვს, იგი მოქმედებს ალბათობის ლოგიკის მიხედვით. „მანქანა არაფერს არ განიცდის, მას არც ეშინია და არც არაფრის იმედი აქვს, ისინი მხოლოდ ხელისშემშლელია“. გრძნობები ადამიანს უნდა და დალილობის შედეგად. „გრძნობები, როგორც შე დავადგინე, დალილობის გამოვლენის ფორმებია და სხვა არაფერი“. ამიტომ ადამიანი უნდა დაემკვასკოს მანქანას. ამში ხედავს იგი თანამედროვე ადამიანის სხნს.

ეს შეხედულებანი ე.წ. ტექნიკური გაუცხოების შედეგია, რასაც კიბერნეტიკის არასწორი, ცალმხრივი ინტერპრეტაცია იძლევა. ტექნიკის აბსოლუტიზაცია — ასეთია ამ გაუცხოების საფუძველი.

ეს ამახინჯებს ადამიანის ბუნებას, ცალმხრივს ხდის მას, აღარბიებს მის სულიერ სამყაროს. ამის ნიშნება თვით ვალტერ ფაბერი. იგი არ ათავაღიერებს ხელოვნების მუხუცში („უძლიერ რომ შემოდეს მუხუცში მისელ ვერ შემიხიან“ — ამბობს იგი), ვერ იტანს რომანების კითხვას, საუბარს ხელოვნებაზე, ძალით დაკავთ თეატრში. საზაგიეროდ, სიაშონებთით ათავაღიერებს გემის სამანქანო განყოფილებას, გატაცებით საუბრობს მაქსველის დემონზე, რადარებზე, კიბერნეტიკაზე და ა. შ. homo faber, რომელიც მას ჰანამ შვარტვა, ადვკატურად გამოხატავს მის ბუნებას. ის მხოლოდ მომხდარია ტრადიციის შემდეგ იგრძნობს ამ შეხედულებათა მცდარობას.

ტექნიკის განვითარება თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროში მიღწეული უდიდესი წარმატებების შედეგია. ამიტომ აფასებს და ცნობს ვალტერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. მათ საფუძვლად კი მიაჩნია ალბათობის თეორია. მაგრამ ვალტერ ფაბერი აქაც აწვია დებს: ეს თეორია არის მისი მსოფლმხედველობის, მსოფლგაგების, მრწამის აბსოლუტი და საყრდენი. „ინჟინერი გა-

სლაკათ და ალბათობის თეორიის ფორმულებს არ შემიღიათ ანაგარიში არ გავუწიო. რას მიცხვია გარემოებათა, ვალტერ ფაბერი დამხმევა? — ამბობს იგი. ვალტერი მიუთითებს შემდეგი ავტორების შრომებს: ერნსტ მეილი „ალბათობა და კანონი“, ჰანს რასინგმახის „ალბათობის თეორია“, უაიტჰედი და რასელი „Principia mathematica“ მიხეცი „ალბათობა, სტატისტიკა და ჭეშმარიტება“. ამ ავტორებმა დაამუშავეს ალბათობის სტატისტიკური (სიხშირისული) თეორია. განსაკუთრებით ეს ენება მიუხედავად რასინგისა. სწორედ ალბათობის სტატისტიკური ინტერპრეტაციაა ვალტერ ფაბერის მსოფლმხედველობის ამოსავალი. სტატისტიკის საფუძველზე ამართლებს იგი შემთხვევითობის არსებობას და უარყოფს ბედისწერას. სტატისტიკა და ბედისწერა მას შეუთავსებლად მიაჩნია. ჰანს შესახებ ვალტერი ამბობს: „ჰანს სტატისტიკის გაგინებვ არ უნდა, რადგან ბედისწერა სწამს“. სტატისტიკის ამოსავალი შემთხვევითობა. იგი შემთხვევითი ხდომილებების მოხდენის შესაძლებლობის პირობებს ადგენს ალბათობის საფუძველზე. ხოლო თუ შემთხვევითობა არსებობს, მაშინ ბედისწერა გამოირცხლება. „სასაილოა მექანიკურ-ფიზიოლოგიის შემთხვევითობას ბედისწერა დაარქვა. ეს თანამედროვე ადამიანს არ შეეფერება“. — ფიქრობს ვალტერ ფაბერი.

ჩვენ ამჟამად არც სტატისტიკა გავინტერესებს და არც ალბათობის თეორია. ხაზი ვინდა ვაღუსვთ მხოლოდ იმას, რომ სტატისტიკა მოქმედებს შემთხვევითი ხდომილებათა სფეროში, ე.ი., შემთხვევითობათა არსებობა არის სტატისტიკის საფუძველი. ამგვანად, სტატისტიკა ამართლებს შემთხვევითობას. ადგენს ამის ალბათობის ხარისხს, ვინც სტატისტიკას ამართლებს, მას სჯერა შემთხვევითობის არსებობაზე.

ახლა უკვე გასაგებია ვალტერ ფაბერი თუ რატომ სხნის მომხდარ ფაქტს შემთხვევითობის საფუძველზე. იგი ალბათობის თეორიაზე დაყრდნობით ამართლებს სტატისტიკას, რომლის ამოსავალი შემთხვევითი ხდომილებათა არსებობის აღიარებაა. ეს მაგრამ, რამ მოიყვანა იგი ალბათობის თეორიის გადაფასებამდე? ტექნიკის როლის აბსოლუტიზაცია, ე. ი. ე. წ. ტექნიკურმა გადაცხოვრებამ.

ვალტერ ფაბერი თვლის, რომ ყოველი ფაქტი შემთხვევითი ხდება. რა ვინდა არაალბატურად, დაუჯერებლად გამოიყურებოდეს ესა თუ ის ფაქტი, იგი მაინც შესაძლებელია, რადგან შემთხვევითი მოვლენათა გადაჯაჭვამ გამოიწვია იგი. მართალია, ეს გადაჯაჭვა უცნაურად გამოიყურება, მაგრამ ეს მხოლოდ არასაკვიკილისტიკათვის. ის, ვინც თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძველს — ალბათობის თეორიას იცნობს, მისთვის არაფერი არაბუნებრივი და მოულოდნელი არ არის. ყველაფერი შესაძლებელი და დასაშვებია, რადგან არაფერი წინასწარ დადგენილი და განსაზღვრული არ არის. ცხადია, სამყაროს ასეთი გაგების დროს ადგილი აღარ რჩება ბედისწერისთვის, ამიტომ სასებთი ლოგიკურია ის დასკვნა, რომელსაც ვალტერ ფაბერი აკეთებს: „მე არც გარემოებათა გარდაუვალი დამთხვევის და არც ბედისწერის მჯერა“.

ოიდიპოსი და ვალტერ ფაბერი

ოიდიპოსი და ვალტერ ფაბერი სრულიად განსხვავებული ეპოქისა და მსოფლმხედველობის ადამიანები არიან.

ოიდიოსი ცხოვრობს ძველ საბერძნეთში, მესხეთ საუკუნეში ძველ. მისთვის ფასეულია არა მხოლოდ რეალური ფაქტები, არამედ ღმერთებიც. მას სჯერა ბედისწერის და მიხსანთა წინასწარმეტყველებისა. ვალტერ ფაბერი ცხოვრობს მეოცე საუკუნის კაპიტალისტურ სამყაროში. იგი ანგარიშს უსწევს მხოლოდ ტექნიკას და მეცნიერებას: მოითხოვს ყველაფრის ახსნას გონების საფუძველზე და გრძობებსაც კი უარყოფს. მას არ სჯერა ბედისწერის. ერთი სიტყვით, ოიდიოსის მსოფლმხედველობა ემყარება მითოლოგიას, ხოლო ვალტერ ფაბერისა — მეცნიერებას.

ამიტომ სხვადასხვაგვარია მათ მიერ განცდილი ტრაგედიების ახსნა. ოიდიოსი თვლის, რომ უბედურება, როგორც მას შეეხდა, ბედისწერის მიერ იყო წინასწარ დადგენილი. ეს იყო მისი ხვედრი, წილი, რომელიც გარდაუვალად ჰქონდა მისკალით. მას არ შეეძლო მისი თავიდან აცილება. მან იცადა მისანთა წინასწარმეტყველება ამის თავიდან, ბევრს ეცადა შეტყობოდა ბედისწერას, მაგრამ დაამარცხდა. მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო. იგი ბედისწერის მონაა.

ვალტერ ფაბერი არ თვლის, რომ უბედურება, რომელიც მას შეეხდა, ბედისწერის მიერ წინასწარ გარდაუვალად იყო დადგენილი. ეს არ იყო მისი ხვედრი, წილი, რომელიც მას წინასწარ მუსჯავა ვიღაცამ ან რაღაც ძალამ. ეს უბედურება მას შეეხდა მხოლოდ შემთხვევითობის წყალობით. შემთხვევითობათა სხვაგვარი გადაჯაჭვების დროს ამ ფაქტს შეიძლება არ ჰქონოდა ადგილი. მხოლოდ კონკრეტულმა სიტუაციამ, რომელიც შეიქმნა მრავალ შემთხვევითობათა გადაჯაჭვების შედეგად, განაპირობა ის, რაც მოხდა.

შეეძლო თუ არა ვალტერ ფაბერს თავიდან აეცილებინა ეს ტრაგედია? მას რომ წინასწარ ცნობდოდა ამ უბედურების მოხდენის მოსალოდნელობა, მაშინ იგი შეიძლება მის თავიდან აცილებას. ის, რაც შემთხვევითია, მისი დაძლევა ადამიანს შეუძლია. ამიტომაც, რომ ვალტერ ფაბერი გულწრფელად ნანობს... „ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდა...“ იგულისხმება, რომ ცოდნის შემთხვევაში იგი თავს დააღწევდა ამ ტრაგედიას, რადგან არ განიცდიდა მის გარდაუვალობას. ასეთი სინანული გამოთქმა არ შეუძლო ოიდიოსს. ცხოვრების თავიდან გამოვრების შემთხვევაში მას იგივე შესვლილია, რადგან ეს გარდაუვალად იყო დადგენილი ბედისწერის მიერ.

მაშასადამე, განსხვავებას ქმნის მხოლოდ ცოდნა: ცოდნის შემთხვევაში ვალტერ ფაბერი შეეძლო ტრაგედიის თავიდან აცილება, ოიდიოსის კი არა.

მაგრამ ვალტერ ფაბერმა არა თუ არ იცის, არამედ ეჭვიც კი არა აქვს ტრაგედიის შესახებ. იგი მას გაიგებს მხოლოდ ფაქტის მოხდენის შემდეგ, როდესაც უკვე ეს ფაქტი წარსულს მიეკუთვნება და მასში არავითარი ცვლილებების შეტანა არ შეიძლება. ასეთ სიტუაციაში იგი მისთვის გარდაუვალია თუ არა? ვალტერ ფაბერი ყველაფერს შემთხვევითად თვლის და უარყოფს აუცილებლობას. ამიტომ, თუ ის ლოგიკურია, უნდა დაუშვას, რომ ეს ტრაგედია მისთვის შემთხვევითია და არა აუცილებელი. მაგრამ შემთხვევითი ხომ ნიშნავს იმას, რაც შეიძლება მოხდეს და არც მოხდეს. რატომ მაინცდამაინც ეს მოხდა და არა მისი საწინააღმდეგო? მხოლოდ წმინდა შემთხვევითობის აღიარებისას შეუძლებელია გონების მეშვეობით აიხსნას არჩევანის განხორციელება: რატომ ხდება ეს და არა სხვა.

აქ გონებამ ადგილი უნდა დაუთმოს მისტიკას. მართალია, ვალტერ ფაბერს სურს ყველაფერი ახსნას გონების მეშვეობით, დამყაროს მხოლოდ მეცნიერებას, მაგრამ იგი ამას ვერ ახერხებს, ვარდება წინააღმდეგობაში. ამის მიზეზია შემთხვევითობის აბსოლუტოზაცია. თუ წმინდა შემთხვევითობა არსებობს ადამიანზე მეტად, მაშინ გონებისათვის გაუგებარია რატომ მოხდა ასე და არა ისე. ეს რჩება რაღაც გამცანად, რომლის ამოცნობაც მეცნიერებას არ შეუძლია. აქ ძალაში რჩება ისეთივე მისტიკა, რაც ბედისწერის დაშვებისას. ადამიანი ხდება შემთხვევითობის მონა, მას მისი მართვა და დაძლევა არ შეუძლია. ბედისწერის ადგილს იკავებს შემთხვევითობა. ბედისწერის რწმუნის ნაცვლად შემთხვევითობის რწმენა.

ბედისწერა ადამიანის გონებისათვის დაფარულია, საიდუმლოა (მისტიკურია). მისი გამოცნობა ადამიანს გონების მეშვეობით არ ძალუძს. მხოლოდ ღმერთები თუ მოისურვე. ბუნ და შეატყობინებენ ადამიანს მის განაჩენს, ამიტომ, ცხადია, ბედისწერის აღიარება მოითხოვს მისტიკას.


ვალტერ ფაბერი აბრძვის მისტიკას და ყველაფერი უნდა ახსნას გონების საფუძველზე. მეცნიერებისა და ტექნიკის ეპოქის ადამიანისათვის ეს საცხები ბუნებრივი და ლოგიკურია. მაგრამ ახერხებს კი იგი ამას? ვერა, ვერ ახერხებს, რისი მიზეზიც შემთხვევითობის აბსოლუტოზაციაა. ამიტომ მისტიკა, ოლინდ ბედისწერის ნაცვლად, წმინდა შემთხვევითობის მისტიკა არის ვალტერ ფაბერის მსოფლმხედველობის ამოსავალი.

დილიმის ბაღაწყვება

ამგვარად, სოფოკლეს „ოიდიოსს მეფე“ და მაქს ფრიშის „Homo Faber“ დილიმის გადაწყვეტის ორი საპირისპირო ვარიანტია: პირველი მითოლოგის საფუძველზე ბედისწერის აღიარება, ხოლო მეორე — თანამედროვე მეცნიერების ვარკვეული ინტერპრეტაციის შედეგად წმინდა შემთხვევითობის აბსოლუტიზირებას ახდენს. პირველი აშკარად ეფუძნება მისტიკას, მეორე ცდილობს მის დაძლევას, მაგრამ ვერ ახერხებს.

დილემა — ბედისწერა თუ შემთხვევითობა — მეცნიერების ფარგლებში არ გადაწყდება მისი ერთი რომელიმე მომენტის საფუძველზე: ან ბედისწერა (სოფოკლე) ან შემთხვევითობა (მაქს ფრიში) იწვევს მეცნიერების უარყოფას და მიდის მისტიკამდე. პრობლემის მეცნიერულ გადაწყვეტა შეიძლება იყოს შემდეგი: არც ბედისწერა და არც მხოლოდ შემთხვევითობა, არამედ ობიექტური კანონზომიერება, რომელიც აუცილებელია და შემთხვევითის ხელაღქმავურ ერთიანობაა.

ზარნაპაზ—666*



თამაზ ჩხენკელი

ანბანში რიგის მე-7 და მე-10 რიცხვებზე ასომთავრულში გრაფიკულად ერთგვაროვანი „ზ — ი“ ასოები სხედან. ტიპოლოგიურად მათსავე კონლიტერაციას მიეკუთვნება მე-17 „პ“ გრაფემაც, რომლის რიგითი რიცხვი პირველი ორის ჯამს უდრის: $7 + 10 = 17$. სტრუქტურა „არმაზ“ სახელის გამბატრიული რიცხვის ($7^2 + 10^2 = 149$) სექტიმალურ კონსტრუქციას გვიდასტურებს და ამდენად, მის გრაფიკულ საყრდენს წარმოადგენს ანბანში. მაგრამ ანბანში ტიპოლოგიურად მათივე მსგავსი კიდევ ერთი გრაფემა გვხვდება: მე-13 „მ“, რომელიც სექტიმალურად თანმიმდევრ რიცხვებზე დასმული გრაფიკულად ერთგვაროვანი ასოების რიცხვს აგრძელებს: $7 - 10 - 13...$

რას უნდა გვანიშნებდეს ასომთავრულ ანბანში „ზ — ი — მ“ გრაფემების კონლიტერაცია, რომელთა რიგითი რიცხვების სექტიმალურად თანმიმდევარი $7 - 10 - 13$ რიცხვებია ასახული? იმას ხომ არა, რომ ასომთავრული ანბანის 1 — დან 36 — მდე რიგითი რიცხვების ფარგლებს სექტიმალურად თანმიმდევარი რიცხვთა ცხრილი ავავით (ვინაიდან, უკეთუ ანბანის შემოქმედს ამგვარ მიზანდასახულობას მივაწერთ, — შესაძლებლობათა უაღრესი ეკონომიის გამო, — იგი იძულებული იქნებოდა სწორედ ასე მოქცეულიყო)?

7	—	10	—	13	—	16	—	22	—	31
.	●	—	●	—	●
.	●	—	●	—	●
.	●	—	●	—	●
8	—	11	—	14	—	20	—	26	—	35
.
.
9	—	12	—	15	—	21	—	30	—	42

ამ ცხრილის პირველი მწკრივი, როგორც ვხედავთ, სექტიმალურად თანმიმდევარი ექვსი რიცხვით ამოიწურება. 7-ის მომდევნო 8-ით იწყება თანმიმდევარი რიცხვთა მეორე მწკრივი, რასაც აგრეთვე შეეძქა რიცხვი 35 ამთავრებს. 9-ით დაწყებული მესამე მწკრივი 30-ით სრულდება, რადგან სექტიმალურად თანმიმდევარი მისი ჯუფთი 42 გადის ასომთავრულის რიგითი რიცხვების ფარგლებიდან.

ასომთავრული ანბანის რიგითი რიცხვების ფარგლებში ეს ცხრილი მხოლოდ ჩვიდმეტ სექტიმალურად თანმიმდევარი რიცხვს ასაჩინობს. და აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ცხრილის რიცხვებს შორის არა გვხვდება 17, რომელზეც ზემოთსენებული „ზ — ი — მ“-ს ტიპოლოგიურად ერთგვაროვანი კონლიტერაციაში შემავალი „პარი“ ზის. არადა, ჩვენ ვიცით, რომ „პარი“ სექტიმალურ შესაბამისობათა ახალ რიგს იწყებს, რომ „პარ-ფართი“ ($17 - 23$) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სექტიმალური წყვილებულის რიცხვებია გაცხადებული. ამდენად, „პარის“ გრაფიკული ერთიანობა „ზ — ი — მ“ გრაფემებთან იმაზე მეტხვევლით რომ უნდა არსებობდეს და არსებობს კიდევ „პარით“ (17) დაწყებული სექტიმალურად თანმიმდევარი რიცხვების რიგი...

ახლა დავაკვირდეთ ზემოთ დახაზულ ცხრილს: ცხრილის ვერტიკალურ მწკრივებში (ზევიდან ქვევით) რიცხვები ჩვეულებრივი თანმიმდევრობით მისდევს ერთმანეთს 16-მდე: 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16. ხოლო სექტიმალურად თანმიმდევარი 16 — 22 — 31 — ის მომდევნო სამ-სამი რიცხვი, რომლებიც ცხრილში შვიდ წერტილებით გვაქვს აღნიშნული, — გაუჩინარებულა... ეს სამ-სამად განლაგებული უჩინარი რიცხვი, თავის მხრივ, აგრეთვე სექტიმალური შესაბამისობით არის ერთმანეთთან დაკავშირებული:

17	—	23	—	32
18	—	24	—	33
19	—	25	—	34

* დასასრული. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 8, 1978 წ.

ამრიგად, ჩვენს მიერ „ზ — ი — მ“-ს გრაფიკის საფუძველზე აგებულ სექტიმალურად თანმიმდევარი რიცხვების თვალსაჩინო ცხრილში იგულისხმება აგრეთვე სექტიმალურად თანმიმდევარი ცხრა რიცხვისაგან შემდგარი უჩინარი ან დაფარული ცხრილი. ეს დაფარული ცხრილი 17-ით, ე. ი. „პარით“ იწყება, და როგორც ჩანს, ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი „პარის“ გრაფიკული კონფიგურაციის „ზ — ი — მ“ გრაფემების ჯგუფში გაერთიანების ის უნდა იყოს, რომ ყურადღება გამახვილდეს სწორედ ამ უჩინარ ცხრილზე.

მაგრამ რატომ, რა აზრი უნდა იყოს ამაში?

უჩინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს „უჩინარი ცხრილი“ ცხრა რიცხვისაგან შედგება, ხოლო $9 = 3^2 = 4$ და მასსადამე, სამი კენტი თანმიმდევარი რიცხვის ჯამი: $1 + 3 + 5 = 9$. კენტი თანმიმდევარ რიცხვების ჯამი კი, როგორც ვიცით, კვადრატ-ს ღივურას ასახეობს (ნახაზი 1):



ნახ. 1

დავაკვირდეთ ნახაზს: უწყვეტი ხაზით დაკავშირებულია კენტი რიცხვების აღმნიშვნელი წერტილები, რომლებიც ამ დაკავშირებით კვადრატის ფიგურას წარმოქმნიან (ნახაზში კარგად ჩანს მცირე და $1 + 3 = 4$ და დიდი $1 + 3 + 5 = 9$ კვადრატ, რომელთან პირველი, ე. ი. მცირე კვადრატი დიდი კვადრატის მეოთხედკვადრატულ მოდიფიკაციას წარმოადგენს... თანმიმდევარი კენტი რიცხვები შეგიძლია უსასრულოდ გავზარდოთ, რითაც კვადრატის ფიგურის გეომეტრიული არსი არ შეიცვლება). უკეთუ კვადრატის ამ ცხრა წერტილს წყვეტილი ხაზებით დაკავშირებთ, მივიღებთ მდინანებით გადაკვეთილი კვადრატის ცხაურს...

და აქ ნებით თუ უნებლით, იხადება ერთი შეხედვით უცნაური, მაგრამ ანბანის რიცხვული და გეომეტრიული სტრუქტურის შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარე აზრი: დავსვათ გეომეტრიული კვადრატის ამ ცხრა წერტილზე „უჩინარი ცხრილის“ სექტიმალურად თანმიმდევარი სამი მწკრივისაგან შემდგარი ცხრა რიცხვი და ამგვარად გარიცხვიანებულ კვადრატის ცხაურში ჩაგზავთ ასომთავრულის გრაფემები!..

ეს აზრი ანბანის რიცხვული და გეომეტრიული სტრუქტურის შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარეობს-მეთქი იმიტომ, რომ


1. როგორც წინა წერილში ვაჩვენეთ, სექტიმალური აღრიცხვის სისტემა, რომელსაც ანბანის შემოქმედის სახელისა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული სახელების „სამარა-ფარნავაზ-არმაზ“-ის გემატრიული, ე. ი. სათვალავით აკრეფილი რიცხვები გეცხადებს, მსკვლავს ასომთავრული ანბანის რიგისა და გრაფიკულ სტრუქტურას... კერძოდ,

„ზ — ი — მ“ გრაფემები სექტიმალურად თანმიმდევარი რიცხვებზე $7 - 10 - 13$ სხედან, რაც საუფლებლს გვაძლევს იმისას, რომ ანბანის რიგით რიცხვების ფარგლებში სექტიმალურად თანმიმდევარ რიცხვთა ცხრილი ავაგოთ.

2. როგორც ზევით ვხედავთ, ამ თვალსაჩინო ცხრილში ნაგულისხმევია ცხრა რიცხვისაგან შემდგარი „უჩინარი ცხრილი“, რაც სწორედ თავისი დაფარულობის მეოთხებით იმყრობს ყურადღებას, რაკი ასომთავრული ანბანის კველა შრე დაფარულის განაქვავების შინაგანი იმპულსით არის აღბეჭდილი. ეს „უჩინარი ცხრილი“ 17-ით, ე. ი. გრაფიკულად „ზ — ი — მ“ ასოთა კონლიტერაციაში გაერთიანებული „პარის“ გრაფემით იწყება, რაკი „ზ — ი — მ“ გრაფემების ანალოგიურად ისიც ახალ სექტიმალურ რიგს ასაჩინოებს. ამავე დროს, 9 — კვადრატული რიცხვისა და მასსადამე, კვადრატის გეომეტრიულ ფიგურას ასახეობს.

3. ანბანის ასოთა სახელდება, როგორც წინა წერილში ვაჩვენეთ, თანმიმდევარი და კვადრატული რიცხვებით ოპერირების საშუალებას გვაძლევს, ხოლო გეომეტრიზმი ასოთა გრაფიკაში აშკარად საჩინოვდება: ასოები თითქოს ჩახაზულია „უშილავე კვადრატში“ (ელ. მაჭავარიანი); „ასომთავრული შრიფტი ისე იწყდება, რომ ცალკეული ასოები ავსებენ კვადრატს ან მის ნახევარს“ (ვ. ბუღდერი)²... ეს ასოები ჩვენი აზრით, გეომეტრიულ კანონთა შესაბამისად არის ჩახაზული ხსენებულ კვადრატში, კერძოდ, ცხადი და თვალსაჩინოა, რომ ასომთავრული ანბანის პირველი ხუთი თანმიმდევარი რიცხვის კვადრატებზე $1^2, 2^2, 3^2, 4^2, 5^2$ -ზე მჯდარი გრაფემების კონფიგურაციები თავიანთ რიგით რიცხვებზე დაბაგრების გეომეტრიული სტრუქტურითაც ამართლებენ და ადასტურებენ³...

აქედან გამომდინარე ლოგიკური და კანონზომიერი უნდა იყოს ცხრა რიცხვისაგან შემდგარი „უჩინარი ცხრილის“ იმ „უჩინარ კვადრატად“ გააზრება, რომელიც ქართული ასომთავრულის გრაფემები იხაზება. ამგვარად, მდინანებით გადაკვეთილი კვადრატის ცხრავე წერტილს ვარიცხვიანებთ უჩინარი ცხრილის ცხრა რიცხვით... ჩაგზავთ ამ გარიცხვიანებულ კვადრატის ცხაურში, რომელსაც სიმარტისათვის უბრალოდ რიცხვულ კვადრატს ვუწოდებთ, ასომთავრულის პირველი ასო „ანი“ და შეკვრიბით კვადრატის ის რიცხვ-წერტილები, რომლებსაც მისი კონფიგურაცია მოიცავს (ნახაზი 2)...



ნახ. 2

„ანის“ კონფიგურაცია, როგორც ვხედავთ, რიცხვული კვადრატის ექვს რიცხვ-წერტილს მოიცავს. $17 + 23 + 32 + 18 + 25 + 34...$ რას გვიცხადებს ამ რიცხვების ჯამი?


როგორც უცნაური და საკვირველიც არ უნდა იყოს, ეს არის ანბანის შემოქმედის საღმრთო სახელის „არმაზ“-ის გემატრიული, ანუ სათვალავით აკრფილი რიცხვი — 149. მაშასადამე, რიცხვულ კვადრატში ჩანაზეთი ვასანიონებთ ასოს გრაფიკულ რიცხვს, — გრაფიკულს, რადგან ამ რიცხვს მოცემული ასოს კონფიგურაცია განსაზღვრავს.

„ანის“ გრაფიკული რიცხვი 149, როგორც ვნახეთ, პირველი წყვილეულის კვადრატების ჯამს ($7^2 + 10^2 = 149$), ანუ სახელის „არმაზ“-ს გემატრიულ რიცხვს ვემთვლანებას, რაც იმას ნიშნავს, რომ სეპტიმალური აღრიცხვა ასოს გრაფიკულ რიცხვზე ვრცელდება...

შემთხვევითია, ეს განსაკვირვებელი დამთხვევა, ერთის მხრივ, არმაზის გემატრიული რიცხვისა ასო „ანის“ გრაფიკულ რიცხვთან, ხილი მეორეს მხრივ, სახელის „ა — რმაზ“ ინიციალისა ასომთავრული ანბანის პირველი ასოს ფონეტიკურ მნიშვნელობასთან? როგორცა ჩანს, — არა!..

თუკი ჩვენ რიცხვული კვადრატის მეშვეობით შევაპოწმებთ ასომთავრულის სხვა ასოებს, ე. ი. თუ გავარიცხვინებთ ანბანის ყველა ასოს, აღმოჩნდება, რომ ამავე გრაფიკულ რიცხვს — 149-ს ასაჩინოებს კიდევ ერთი გრაფემა, სახელდობრ, 35-ე „ჯანი“, რომელსაც პირველი „ან“ გრაფემისაგან სასებთო განსხვავებული კონფიგურაცია აქვს. „ჯანის“ კონფიგურაციაც ექვს რიცხვ-წერტილს მოიცავს რიცხვულ კვადრატში: $17 + 23 + 3\bar{7} + 24 + 19 + 34 = 149$ (იხ. ნახაზი 3)...

ნახ. 3



მაშასადამე, ანბანური რივის მხოლოდ ორი, პირველი და ოცდამეოთხეტი „ან-ჯანის“ კონფიგურაციები ჰკრებს სეპტიმალური აღრიცხვის ამ უღრესად მნიშვნელოვან რიცხვს, რომელიც ამასთანავე, არმაზის გემატრიულ რიცხვს აცნაურებს...

და აქ გარდუვალად იბადება კითხვა: რატომ მაინცდამაინც ამ ორ გრაფემას ახლავს ესოდენ მნიშვნელოვანი და ერთნაირი რიცხვი?


„ანის“ მიმართ პასუხი ნათელია: იმიტომ, რომ ის პირველი ასოა ანბანისა. მაგრამ რატომ აქვს ეგვერდ რიცხვი ანბანისა არა უკანასკნელ 36-ე, არამედ უკანასკნელისწინა 35-ე ასოს? უკანასკნელს-მეთქი იმიტომ, რომ პირველისა და უკანასკნელის დაკავშირება ისევე ბუნებრივია, როგორც თავისა და ბოლოსი, დასაწყისისა და დასასრულისა. გარდა ამისა, ამ კონტექსტში აღსანიშნავია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: ანტიკური აზროვნების ათასწლოვანი ტრადიციის თანახმად, პირველი და უკანასკნელი ყოველთვის გულისხმობს შუას, ე. ი. თავი და ბოლო ყოველთვის შუაგულს ანუ ცენტრს აცნაურებს, ხილი ეს ცენტრი მხოლოდ რიცხვების კუნთ ოდენობას აქვს და არასოდეს გააჩნია რიცხვების ოქრო ოდენობას. ამიტომ გრაფიკული რიცხვით უკეთურთიღენტური „ან-ჯანი“ ამ აზრით, პირველსა და შუა-

ნასკნელ გრაფემებს უნდა ასახიონებდეს, რადგან თავიერი კონფიგურაციით ექვსის ჯერადი რიგითი რიცხვების მქონე „ვინ“ ($6 = 1 \times 6$), „ლას“ ($12 = 2 \times 6$) და „სორს“ ($30 = 5 \times 6$) ასოებით გრაფიკულად დაკავშირებული უკანასკნელი ლუწი „პაე“ ($36 = 6 \times 6$) ამისათვის ვერ გამოდგებოდა. მაშასადამე, ანბანური რივის მხოლოდ პირველ და უკანასკნელ კენტ რიცხვებზე დასმულ გრაფემებს შეეძლოთ გამოეჩინათ ანბანის რიცხვითი ცენტრი... მაგრამ ჯერ ვიკითხოთ: „ან-ჯანის“ პირველი და უკანასკნელ გრაფემებზე მიჩნევის კიდევ რა არგუმენტი შეგვიძლია მოვიყვანოთ შემოთქმულს გარდა?

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ „ან-ჯანს“ აკავშირებს ერთგვაროვანი სახელდება, რასაც ვერ ვიტყვით „პაეზე“. ამავე დროს, „ანია“ და „ჯანიც“ სრულკვადრატოვანი გრაფემებია, რასაც აგრეთვე ვერ ვიტყვით „პაეს“ გრაფიკაზე. უაღრესად განსხვავებული კონფიგურაციების მიუხედავად, „ან-ჯანს“ გრაფიკულად ერთმანეთთან ანათესავენებს ზედა თვესარქმული ხაზი, რომელიც მათ გარდა არცერთ სხვა გრაფემას არა აქვს (თუ არ ვიგულისხმებთ დიდ „დონს“ და დიდ „ნარს“). ამასთანავე, „ანს“, როგორც პირველ გრაფემას, პირი გახსნილი აქვს მარჯვნივ, მომდევნო გრაფემათა რიგისაკენ, რაც არცერთი გრაფემისათვის არ არის ნიშნული („ცანის“ გარდა) მაგრამ „ანის“ მთელი კორპუსით ვახსნილი და მობრუნებულია მომდევნო გრაფემებისაკენ, ხოლო უკანასკნელი „ჯანი“ თავსარქმული ხაზით დახშულია და დიაგონალური დერქების მეშვეობით სტატისტიკურად არის დადგინებული, ვითარცა დამასრულებელი, ჩამკეტი გრაფემა...

მაგრამ საკითხავია: ცხადდება კია „ან-ჯანის“ მეშვეობით ასომთავრული ანბანის ცენტრი ანუ შუაგული?


35 ერთეულის რიცხვითი ცენტრი 18-ია, ე. ი. ანბანის ორი უკიდურესი კენტი რიცხვული წერტილიდან (1, — 35) თანაბრად გადათვლილი ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი ერთეულის შუა დგას მე-„ქანი“...



რა გრაფიკული ნიშნით შეგვიძლია მოვიჩინოთ „ჯანი“ ანბანის ცენტრალურ გრაფემად?

„ჟანი“ ნახევარკვადრატული გრაფემაა და თითქოს არაფერი ამჟღავნებს ანბანის რიცხვულ ცენტრში მდგარი გრაფემისათვის ნიშანდობლივ კონფიგურაციას. ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ასე ჩანს. მაგრამ დავაკვირდეთ ცენტრიდან ორმხრივ განლაგებულ ასოთა წყვილებებს (აქ მოტანილი გვაქვს მხოლოდ ამ ასოთა რიგის აღმნიშვნელი რიხეხვები): გვხვდება თუ არა მათ შორის ისეთი ორი გრაფემა, რომელთა კონფიგურაცია რაიმე ნიშნით გვიცხადებდეს ცენტრალურ „ჟან“ გრაფემასთან კავშირს?

ასეთებია ანბანის თავსა და ბოლოდან მე-10 გრაფემები „ინი“ (10) და „ყარი“ (26), რომელთა კონფიგურაცია „ჟან“ გრაფემიდან გამომდინარეობს, ან „ჟანის“ გრაფიკული დახლის შედეგად არის მიღებული. (ნახაზი 4)...



ნახ. 4

როგორ შევამოწმოთ ეს?


თუკი „ინისა“ და „ყარის“ კონფიგურაციებს მათი ღერძების ურთიერთდამხვევით ერთმანეთს შევურწყამთ, მივიღებთ „ჟანის“ კონფიგურაციას. მაშასადამე, „ინ-ყარის“ გრაფიკის მეშვეობით თვალნათლივ მტკიცდება „ჟან“ გრაფემის ცენტრალურობა.

მაგრამ არის კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც უმკველს ხდის ამ მტკიცებას: „ინ-ყარის“ გრაფეაში ისევე, როგორც „ჟანის“ გრაფეაში საერთოა ღერძი (ნახაზში აღნიშნული გვაქვს წყვეტილი ხაზით) რაც კვადრატის ვერტიკალურ მედიანას წარმოადგენს. „ინი“ და „ყარი“ მხოლოდ მეთხველკვადრატული ელემენტებიან განსხვავდებიან ურთიერთისაგან, და სწორედ ამ ორი გრაფემის მეოთხედკვადრატული ელემენტების შერწყმით მიიღება „ჟანის“ მეოთხედკვადრატული ელემენტი, რაც სხვას არაფერს წარმოადგენს თუ არა „ანის“ — ასომთავრულის პირველი გრაფემის — მეოთხედკვადრატულ მოდიფიკაციას (იხ. ნახაზი 4). ხოლო ეს იმას გვიცხადებს, რომ ანბანის რიცხვულ ცენტრში მდგარი „ჟანის“ კონფიგურაცია ასომთავრულის პირველი ასოს გრაფიკული ენერგიით არის აღბეჭდილი:

როგორც ვნახეთ, ანბანის ცენტრს საფუძვლად უდევს ანბანურ რიგში სიმეტრიულად განლაგებული და გრაფიკულად ურთიერთდაკავშირებული სამი გრაფემა, რომელთაგან ორი — „ინ-ყარი“, ცენტრალური გრაფემის „ჟანის“ დამ-

ლის შედეგად არის მიღებული. ეს სამი გრაფემა კქმის ანბანის პირველი ასოს „ანის“ გრაფიკული ენერგიით აღბეჭდილი ერთიან კონლიტერაციას, რომელშიც შეფარულად ქვივის „ანის“ მეოთხედკვადრატული ხატი...

მაგრამ ცხადი უნდა იყოს, რომ ამავე არგუმენტაციის ძალით „ანთან“ გრაფიკულად დაკავშირებული „ჟან-ინ-ყარის“ კონლიტერაციიდან ითიშება „ჟან“ გრაფემა, რომლის კონფიგურაცია თავსარქმული ხაზით თუშვა კი დაკავშირებულია „ან“ გრაფემასთან და მაშასადამე, „ჟან-ინ-ყარის“ შესაბამის მეოთხედკვადრატულ მოდიფიკაციასთან, მაგრამ ტიპოლოგიურად სავსებით განსხვავებულია მათგან. ამ „გათიშულობის“ მოსახსენილ ძალაში შედის სექტიმალურ შესაბამისობათა კანონი: 26—35; ე. ი. „ჟანი“ ცენტრალურ „ჟან-ინ-ყარს“ უკავშირდება ვითარცა მათგან უკანასკნელის — „ყარის“ (26) სექტიმალურად შესაბამისი 35-ე გრაფემა...



ნახ. 5

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამივე შემთხვევითი „ჟან-ინ-ყარ“ გრაფემა ნახევარკვადრატული გრაფემებია და ამ შრიტით, თითქოს არ შეესაბამება ანბანის პირველსა და უკანასკნელ „ან-ჟანის“ გრაფიკულად უაღრესად შთამბეჭდავ სრულკვადრატოვან კონფიგურაციას. ამ ხუთი გრაფემისაგან შემდგარ კონსტრუქციას თითქოს აკლია რაღაც ელემენტი. ეს ელემენტი უნდა იყოს ანბანის ათობით რიცხვული ცენტრის 18-ის სექტიმალური შესატყვისი, რომელიც ასომთავ-

რული ანბანის რიგითი რიცხვების სუბტიმალურ ცენტრებს გავიყვანდებოდა. ათობით 18-ს სუბტიმალური 24 შეესაბამება და მასმასადამე, ანბანური რიგის 24-ე რიცხვზე მოდის სუბტიმალური ცენტრი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ თავად ეს 24 — რიცხვული კვადრატის გეომეტრიულ ცენტრში ზის და ამგვარად თავის თავში აერთიანებს ერთის მხრივ, ანბანის სუბტიმალურსა და მეორეს მხრივ, რიცხვული კვადრატის გეომეტრიულ ცენტრს (იხ. ნახაზი 5).

რა გრაფიკული ნიშნით შეიძლება გამოხატულიყო ანბანის ასეთ რიგით რიცხვზე მჯდარი ასო-ნიშანი? ასომთავრულში ამ ადგილზე ზის ასო „ქანი“, რომლის ოთხმხრივ სიმეტრიული კონფიგურაცია თავისთავად ასაჩინოებს ცენტრის სიმბოლოს — კვადრატის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღერძების გადაკვეთით განსახიერებულ ტოლფეხავე ჯვარს!

ანბანის სუბტიმალური ცენტრის განმასახიერებელი გრაფიკა „ქანი“, ანბანის პირველ და უკანასკნელ კენტ რიცხვებზე მჯდარ „ან-ჯანს“ ათობით 18-ის მემკვიდრით უკავშირდება. ოთხივე ეს გრაფიკა ერთგვარაზნაი სახელდებით არის გაერთიანებული: „ან-ჯან-ჯან-ქანი“.

საკითხავია: რა აკავშირებს გრაფიკულად „ქანისა“ და „ან-ჯანის“ სრულკვადრატთან კონფიგურაციებს?

„ქანის“ გრაფიკა კვადრატის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღერძების გადაკვეთის შედეგად მიიღება. „ჯანის“ კონფიგურაცია ასევე მას სწორედ ეს მომენტი აკავშირებს, რაკი ამ უკანასკნელის გრაფიკული ხატი აგრეთვე კვადრატის ღერძების, ოღონდ დიაგონალური ღერძების გადაკვეთით მიიღება. ის გრაფიკული ნიშანი, კერძოდ, თავსაჩქმელი ხაზი, რითაც „ჯანი“ არსებობდა განსხვავდება „ქანისაგან“ მას გრაფიკულად „ანთან“ აკავშირებს.

„ქანის“ მოთხოვნიდავად რეალური მკვლავები ოთხ ტოლ ნაწილად ჰყოფს კვადრატს და მით დასაბამს აძლევს მეთოთხედვად რეალური სწორხაზოვანი ელემენტებით კონსტრუირებულ გრაფიკებს. — ასეთია მისი გრაფიკული ფორმისქმნადობის ძალა. რაც შეეხება „ქანის“ გრაფიკულ რიცხვს, — მახვუ შემდეგ ვილაპარაკებო...

ამ რიცხვად, ქართული ასომთავრული ანბანის რიცხვული და გეომეტრიული სისტემები აშკარად გამოხატულ სტრუქტურულ მთლიანობას ასაჩინოებს. ანბანის პირველ (1) და უკანასკნელ (35) კენტ რიცხვებზე მჯდარი „ან-ჯანის“ გრაფიკული რიგები ანბანის შემოქმედლის საღმრთო სახელის გმირებულ რიცხვს გვიცხადებს (არმაზ-149). ასომთავრული ანბანის თავისა და ბოლოს მემკვიდრით ჩვენ გპოულობთ ანბანური რიგის ათობით რიცხვულ ცენტრს „ჯანს“ (18), რომლის გრაფიკა ანბანის პირველი ასოს მოთხოვნიდავად რეალურ მთლიანობას შეიცავს („ჯანის“ გრაფიკიდან გამომდინარეობს მისგან ორსავე მხარის სიმეტრიულად განლაგებული „ინ-ყარის“ კონფიგურაცია). ამავე „ქანის“ მემკვიდრით ჩვენ ვპოულობთ ანბანის სუბტიმალურ რიცხვულ ცენტრს „ქანს“ (24), რომლის ცენტრალურობა მისი ოთხმხრივი სიმეტრიული გაწონასწორებული კონფიგურაციით ენაგრძება.

ამავე დროს: „ჯანს“ (18) სუბტიმალურად უკავშირდება „ქანი“ (24), ე.ი. „ჯან-ქანი“ სუბტიმალურ წყვილულის წარმოადგენს 18—24. „ჯანის“ გრაფიკიდან გამომავალ „ყარს“ (26) სუბტიმალურად „ჯანის“ (35) უკავშირდება 26—35, ხოლო აგრეთვე „ჯანის“ გრაფიკიდან გამომავალი

„ინი“ (10) და ანბანის პირველი ასო, რომელთა სუბტიმალური დაკავშირება შეუძლებელია, ერთმანეთს უკავშირდებიან რაკორც პირველ და მეთვ, ე. ი. პირველი ათეულის თავისა და ბოლოს განმასახიერებელი გრაფიკები (იხ. ნახაზი 5).

მასმასადამე, ასომთავრული ანბანი აღებულებულია ერთობლივი სტრუქტურით: მას აქვს რიცხვულ-გეომეტრიულად ურთიერთდაკავშირებული და ერთნაირი სახელდებით გაერთიანებული თავი, ბოლო და ცენტრი...

„ძველი თავების თანხადა... გვეუბნება პლატონი, — ღმერთს უპყრია ყოველი მყოფის დასაწყისი, შუაგული და დასასრული...“

ა.ფ. ლესევი ასე განანარტავს პლატონის თვალსაზრისს:

«Начало, середина и конец чего бы то ни было представляют собой единое и нераздельное целое; это не мешает их раздельному представлению, но для этого необходимо, чтобы каждый из этих моментов отражал на себе прочие два момента; это значит, что начало вмещает в себя в свернутом виде все то, для чего оно является началом; середина, с этой точки зрения тоже не является механическим разделением целого, но той центральной смысловой силой, которая соединяет все целое от распадаения и осмысливает собою все части целого как их смысловое и силовое равновесие; конец тоже в сжатом виде вмещает в себя все то, для чего он является концом...».

მაგრამ საქმის არსი ამით არ ამოიწურება. ანბანურ რიცხვთა შორის ჩვენ მიერ მოძიებული ურთიერთან სუბტიმალურად შესაბამისი ოთხობით (18) და სუბტიმალური (24) რიცხვული რიცხვები, რაკორც აღნიშნული გეგმებს, ექვსის ჯერადი რიცხვებია: $18 = 3 \times 6$, ხოლო $24 = 4 \times 6$. აღნიშნული გეგმებს აგრეთვე, რომ ანბანური რიგის ყველა ექვსის ჯერადი რიცხვი, ამ ორის გარდა, ერთ გრაფიკულ კონსტრუირებაში ერთიანდება. ახლა ჩვენთვის ცხადი ხდება რატომ არ იქმნებოდა რეალურად 18 — 24 ექვსის ჯერადი რიგებიც — და მაკარებელი ასოების გრაფიკული ინერციის. იმიტომ რომ მე-18 ადგილზე, ე. ი. ანბანის ათობით რიცხვულ ცენტრში მჯდარ გრაფიკას მოთხოვნიდავად რეალური მთლიანობით უნდა გამოეხატა ანბანის პირველი გრაფიკის ხატი და თავის მხრივ დასაბამი უნდა მიეცა მისგან სიმეტრიულად განლაგებული „ინ-ყარის“ გრაფიკისათვის, ხოლო 24-ე „ქანს“, — ასომთავრული ანბანის სუბტიმალურ ცენტრს, თავისი გრაფიკით მთელი ანბანის „ცენტრალური აქსიზობის“ ძალა უნდა გამოეხატა. ე.ი. მისი გრაფიკა ანბანში ცენტრს გამოხატავს სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო. მაგრამ ექვსის ჯერად რიცხვებთან კავშირს „ჯან-ქანი“ მიცემ ინარჩუნებს. დაკავშირებულ ქვემოთ მოტანილ ნახაზს (ნახაზი 6)...

რაკორც გვედგება, „ქანისა“ (18) და „ქანის“ (24) მათგან ორსავე მხარეს სიმეტრიულად განლაგებული ორ-ორი გრაფიკის ცენტრებს წარმოადგენენ, „ჯანი“ (18) სიმეტრიული ცენტრია „ვინისა“ ($6 = 1 \times 6$) და „ძილისა“ ($30 = 5 \times 6$), რომელთაგან იგი თანაბრად, 12 ერთეულით არის დაშორებული „ქანი“ (24) სიმეტრიული ცენტრია „ლასისა“ ($12 = 2 \times 6$) და „ჰესისა“ ($36 = 6 \times 6$), რომელთაგან იგი აგრეთვე 12 ერთეულით არის დაშორებული. ასე რომ, ხსენებული ასოები „ჯან-ქანის“ სიმეტრიულ ბურჯებს, საყრდენებს წარმოადგენენ, რითაც ერთხელ კიდევ, ახლა



და 1000-ით: «სეპტიმალური რიცხვები 666 და 1000 უსაზღვროდია ერთმანეთს, როგორც 1000-ის მიმართ 666, ისე 666-ის მიმართ 1000» (XV)».7.

„ფარნავაზის ცხოვრებაში“ ეს მაგიური რიცხვები გემატრიის მეშვეობით სახელმად არის გახშირებული: 343 — 343 = „სამარ“ — „სამარა“, 666 = „ფარნავაზ“... როგორც ვიცით, „არმაზ“ სახელის გემატრიული რიცხვი სექტიმალური აღრიცხვის პირველი წყვილულის კვადრატული რიცხვების ჯამს ($7^2 + 10^2 = 149$) წარმოადგენს...

ქართული საისტორიო წყაროს ავთენტურობას ადასტურებს და ამტკიცებს ის ფაქტი, რომ სექტიმალური აღრიცხვა ასახულია ასომთავრულის რიცხვულ სისტემაში: ანბანური რიგის პირველი სექტიმალური წყვილულის (7 — 10) და მათი ჯამის (17) აღმნიშვნელ რიცხვებზე მჯდარი „შ — ი“ და „პ“ ასოების კონფიგურაცია სპეციფიკური გრაფიკული ნახაზით გამოირჩევა ასომთავრულის სხვა გრაფემებისაგან. განსხვავებულ ასოთა ამავე კონლიტერაციას მიეკუთვნება ანბანური რიგის მე-13 ადგილას მჯდარი „მ“ გრაფემაც, რომელიც სექტიმალურად თანმიმდევარი რიცხვების 7 — 10 — 13 რიგში დგას...

სექტიმალურად თანმიმდევარი ამ რიცხვების საფუძველზე იგება ის თვალსაჩინო ცხრილი (იხ. წერილის თავში მოყვანილი ცხრილი), რომელშიც ცხრა რიცხვებისაგან შემდგარი უნიჩარი კვადრატი დევს და რომელშიც რიცხვიანდება ასომთავრულის გრაფემები.


ასომთავრულის ფარულ ანუ რიცხვულ კვადრატში ჩახაზვა მათ გრაფიკულ რიცხვს ასაჩინოებს. განსაკვირვებელია, რომ ანბანური რიგის პირველ და უკანასკნელ კენტ რიცხვებზე მჯდარი გრაფემები („ან-ჯანი“) არმაზის გემატრიულ რიცხვს აცნაურებს, იმ რიცხვს, რომელიც პირველი სექტიმალური წყვილულის კვადრატული რიცხვების ჯამს წარმოადგენს. „ან-ჯანის“ მეშვეობით ჩვენ ვძებნით ანბანის ათობით (18) და სექტიმალურ (24) ცენტრებს და ვაგვებთ პარონიულობათა და სიმეტრიულობით აღმუქვით ასოთა რიცხვულ-გრაფიკულ კონსტრუქციას (იხ. ნახაზები 5, 6), რაც თვალსაშინებლად გვარწმუნებს ანბანის შემოქმედის წინასწარ-განსზრახულ მიზანსწრაფვაში.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს: ასომთავრულის გრაფემების რიცხვულ კვადრატში ჩახაზვა და მათი ამგვარი გარიცხვა-ნება იმდენად შორს გამიზნული შედეგების მქონე, მრავლის-მეტყველი და ამავე დროს, განსაკვირვებელი ფაქტია, რომ მართვ შემოთმობანილი, თუნდაც თვალსაჩინო და უსწველი მაგალითების მოხმობით ვერ დაგვკაყოფილდებით. ბუნებრივი იქნებოდა დასპულიყო გიოხვა: რა რიცხვებს ასაჩინოებს თავად პირველი წყვილულის (7 — 10) აღმნიშვნელ რიგის რიცხვებზე მჯდარი „შ — ი“ გრაფემები?

ეს კითხვა ბუნებრივია, რადგან თუ „სამარ-ფარნავაზ-არმაზ“ სახელების გემატრიული რიცხვები სექტიმალური აღრიცხვის საიდუმლოს გვიხმებს, ეს აღრიცხვა სწორედ ანბანური რიგის 7 — 10 რიცხვებზე მჯდარი გრაფემების ერთგვაროვანი კონლიტერაციის მეშვეობით გეცხადება ასომთავრულ ანბანთან უთუო კავშირს.

ჩახაზული რიცხვულ კვადრატში ამ ორი გრაფემის კონფიგურაცია (ნახაზი 7)...

როგორც ვხედავთ, „შინის“ სამი რიცხვ-წერტილი 64-ს, ხოლო „ინის“ ოთხი რიცხვ-წერტილი 89-ს გვაძლევს, მათი




ნახ. 6

უკვე სხვა კუთხით, ასოთა ექვსის ჯერადი სისტემის მეშვეობით არის აქტენტირებული ანბანურ რიგში „ჟან-ქანის“ ცენტრისმიერობა.

შემოთქმულიდან უგვევლი უნდა იყოს ის, რომ ასომთავრული ანბანი აღმუქვლია ერთიანი ახედვით“. ეს ერთიანობა ძალუმად ვლინდება როგორც ასოთა ანბანური რიგის რიცხვებში, ასევე ამ რიცხვებზე დასმული ასოების გრაფიკულ-გეომეტრიული სტრუქტურაში...

ქართულ საისტორიო წყაროში დაცული სახელის ანბანის შემოქმედისა „ფარნავაზ“ და მასთან უშუალოდ დაკავშირებული სახელები „სამარ-სამარა“ და „არმაზ“, თუ მათ გემატრიული თვალსაზრისით განვიხილავთ, შეიძლება ანუ სექტიმალური აღრიცხვის გასაღებს წარმოადგენს. ეს აღრიცხვა, — წერს ენ. ბინდელი, — იმის გამო, რომ რიცხვი 7 ძველ მისტერიუმში დროისა და წინსვლითი განვითარების რიცხვს ასახიერებს, ორიენტირებულია დროთა მსვლელობაში მომხდარ აღსრულებათა გადმოსაცემად (XV)8.

ენ. ბინდელი მიკითხვების ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს 342 — 666-ისა და 343 — 1000-ის ათობით შეიძობით წყვილულებზე და განმარტავს: 342 და 343 უშუალოდ თანმიმდევარი რიცხვებია ისევე, როგორც 666



ნახ. 7

ჯამი კი 153-ია. რას გვიცნაურებს ეს რიცხვი — 153? — 17 თანმიმდევარი რიცხვის ჯამს! მაშასადამე, ანბანური რიგის 7 — 10 რიცხვებზე დამატებული ასოების გრაფიკულ რიცხვთა ჯამი — 153, მათსავე რიგითი რიცხვების ჯამს 17-ს გვიცნაურებს, ოღონდ, თანმიმდევარი რიცხვების კოდით, ვინაიდან 153-ით „შენიღებულა“ სწორედ ეს რიცხვი — 17. თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს რომ „ზ — ი“ (7 — 10) ასოების გრაფიკას მათივე ანბანური რიგის რიცხვთა ჯამი განსაზღვრავს. რიცხვულ კვადრატში ჩახაზული მათი კონფიგურაცია კვადრატის იმ რიცხვ-წერტილებით არის გაპირობებული, რომელთა ჯამს აუცილებლად 153, ე. ი. 17 თანმიმდევარი რიცხვის ჯამი უნდა შეგვრია.

მაშასადამე, თუ ერთის მხრივ, ანბანური რიგის პირველ და უკანასკნელ კენტ რიცხვებზე დასმული „ან-ჯან“ ასოების გრაფიკული რიცხვი — 149 პირველი სუბტიმალური წვეილულის $(7^2 + 10^2)$ კვადრატების ჯამს ასაჩინოებს, თავად ამ რიცხვებზე, ე. ი. ანბანური რიგის 7-სა და 10-ზე დასმული ასოების გრაფიკულ რიცხვთა ჯამი — 153 ასაჩინოებს 17 $(7+10)$ თანმიმდევარი რიცხვის ჯამს...

ამრიგად, ასოთა კონფიგურაციას კვადრატის რიცხვ-წერტილებთან მიმართება განსაზღვრავს, რაც გეომეტრული კანონითა შესაბამისად ხორციელდება. ცხადი ხდება, რომ ასოთა ესთეტიკურ-გრაფიკული ხატი რიცხვულ-გეომეტრიული პრინციპის აუცილებელი გათვალისწინებით არის შექმნილი.

ზემოთქმულს ადასტურებს „ზ — ი“ წვეილულთან გრაფიკულად დაკავშირებული „უ — ე“ წვეილული, რომლის რიგითი რიცხვების ჯამი აგრეთვე 17-ია. ეს ოთხი ასო ერთობლივ კონლიტერაციას ქმნის (იხ. წინა წერილი, გვ. 92, ნახაზი 3). მეორე წვეილი პირველისაგან მხოლოდ ზემოდან ქვემოთ ჩამოსაზული მეოთხეკვადრატული ელემენტებით განსხვავდება. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მეოთხეკვადრატული ელემენტები რიცხვულ კვადრატში 18-ით აღინიშნულ რიცხვ-წერტილს მოიცავს და მაშასადამე, ამ ოთხი ასოსაგან შემდგარი კონლიტერაციის გრაფიკულ რიცხვთა ჯამი $153 + 153 + 36 = 342$ -ს. ეს რიცხვი კი, როგორც ვიცით სახელის „სამარ“ გემატრიული რიცხვი.

აქვე უნდა თქვათ: თუ „ზ — ი“ ასოების, როგორც სუბტიმალური აღრიცხვის პირველი წვეილულის 7 — 10 რი-

ცხვებზე დამატებული ასოების უარესი მნიშვნელობა მათი გრაფიკული რიცხვების ჯამითაც დასტურდება (17 თანმიმდევარი რიცხვის ჯამი 153), მოსალოდნელი უნდა იყოს, რომ „ზ — ი“ წვეილულის გრაფიკულ რიცხვთა ჯამსაც $(82 + 107 = 189)$ ასეთივე მნიშვნელობა ქმნის (ამის შესახებ შემდეგ), მით უმეტეს, რომ ამ ასოების რიგითი რიცხვების ჯამიც 17-ია... რაც შეეხება ამ ორი წვეილულის გრაფიკულ რიცხვთა ერთობლივ ჯამს — 342-ს, გვიმხვდის რა სახელის „სამარ“ გემატრიული რიცხვს, იგი არა მარტო რიცხვული კვადრატის რეალბაში გვარწმუნებს, არამედ ამ ასოთა კონფიგურაციის უძველესობასაც...

ორიოდ სიტყვით, კიდევ უნდა შევხვით ანბანური რიგის სუბტიმალურად თანმიმდევარ 7 — 10 — 13 რიცხვებზე და პირველი ორის ჯამის აღნიშვნულ 17-ზე დამატებული „ზ — ი — მ“ და „პ“ ასოების გრაფიკას. როგორც ვაჩვენებთ (იხ. წინა წერილი, გვ. 92, ნახაზი 2), ამ ასოების გრაფიკულ-გეომეტრიულ სტრუქტურაში აშკარად საჩინოვდება უცილებელი ტიპოლოგიური მსგავსება, რაც ასოთა ღერძის თავზე მარცხნივ წარმოიადგილი მეოთხეკვადრატული ელემენტით ცხადდება. ახლა შეგვიძლია დავთვალოთ, რომ ეს ელემენტი რიცხვულ კვადრატში 17 — 23 რიცხვ-წერტილებს მოიცავს. გაუმართლებელი იქნებოდა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი გრაფიკულ-გეომეტრიული ელემენტი რამენიაარად აქცენირებული არ ყოფილიყო რიცხვულ კვადრატში. მართლაც, ამ რიგით რიცხვებზე ასომთავრულ ანბანში ფონეტიკურად და სახელწოდებრივად ერთგვაროვანი „პარ-ფარ“ ზის, რითაც ხაზსასულია რიცხვულ კვადრატში ამ ორი რიცხვ-წერტილის უარესი მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ, მე ვფიქრობ, „მე-უხა“ ცხოვრების იმ მონაკვეთში, სადაც მეორეკვარ მისი ნახსენები ფარნავაზის სახელი (ამ სახელზე ასოთა უკვე არსებულ ფარსმანის სპასპეტი და ძუძუმეტა მოხსენიებული). ამ რიცხვებს 17 — 23 შეფისა და სპასპეტიც მიერ მოკლულ ბუმბარაზთა რიცხვები ასახეირებენ...

ბოლოს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: სუბტიმალურად თანმიმდევარ 7 — 10 — 13 რიცხვებზე მჯდარი, გრაფიკულად ერთ კონლიტერაციაში გაერთიანებული გრაფემები „ზ — ი — მ“ თვითონ მივივითებენ რიცხვულ კვადრატზე (ოღონდ, არა ფარულ კვადრატზე, სადაც გრაფიკულად ერთგვაროვანი „ზ — ი — მ“-ს ანალოგიურ ფუნქციას ასოთა ერთგვაროვანი სახელები „პარ-ფარ-ჭარ“ ასრულებენ, არამედ ცხად კვადრატზე), რომლითაც იწყება წერილის თავში მოტანილი თვალსაჩინო ცხრილი:

- 7 — 10 — 13
- 8 — 11 — 14
- 9 — 12 — 15

ამ რიცხვულ კვადრატს, ფარული ან უჩინარი რიცხვული კვადრატის საპირისპიროდ, ცხადი ან საჩინო რიცხვული კვადრატი შეიძლება დაერქვას, მაგრამ უფრო მოსახერხებელი მას „მცირე კვადრატი“ ეწოდება იმის გამო, რომ „ლიდ“ ფარულ კვადრატთან შედარებით, იგი მცირე სიდიდის რიცხვ-წერტილებს აერთიანებს. „მცირე კვადრატის“ რიცხვ-წერტილების ჯამი 99-ს უდრის მაშინ, როცა „ლიდი კვადრატის“ რიცხვ-წერტილების ჯამი 225-ია. ასე რომ, სუბტიმალურად თანმიმდევარი რიცხვების ცხრილი ჩვენ გვიცნაურებს ორ რიცხვულ კვადრატს, „ლიდ“ (უჩინარ) კვადრატს და „მცირე“ (საჩინო) კვადრატს, რომელთა რიცხვულ-გრაფიკულ სტრუქტურას და მასთან დაკავშირებულ საკით-

უნდა სხვა წერილში განვიხილოთ. მაგრამ აქ, საზგასამო
ხედა აღვნიშნოთ: სწორედ „დიდ“, ე.ი. ფარულ რიცხველ
კვადრატში ჩაზახული ასოები გვიმტკუნებს სებატიანულ
ანტიციფასთან აშკარა და პირდაპირ კავშირს (გავიხსენოთ
„ნი-ჯანის“ გრაფიკული რიცხვები). რაც იმაზე მეტყველებს,
რომ გემატრიული სისტემის ანალოგიურად, ასომთავრულის
გრაფიკულ-რიცხველი სისტემავე დაფარულის გაცხადების
შინაგანი ენერგიით არის მომართული...

გემატრიული რიცხვი, ჩვეულებრივ, ანბანური სათვალავით
აგრეთვე რიცხვს გულისხმობს და ამ აზრით, გემატრია ამა
თუ იმ სიტყვისა თუ სახელის რიცხველ ოდენობას ანბანურ
სათვალავის მეშვეობით აჯამებს. მაგალითად, როდესაც
ვამბობთ, „ფარნავაზის“ გემატრიული რიცხვი 666-ს, ეს
იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვითვალისწინებთ ამ სახელის თვი-
თუელი ასოს რიცხველ მნიშვნელობას და შემდეგ ვკრებთ
მათ.

ასოთა რიცხველი მნიშვნელობა გააიზოტეპუნა ანბანურ
რიგში მათი თანმიმდევრობით და ამიტომ — წერს რამაზ
პატარაძე — „ანბანური დაწერლობის ორი სათვალავი
არსებობს: საყოველთაო ცნობილი ანბანური სათვალავი და
ნაკლებადცნობილი რიგითი სათვალავი... ქართული ასომთა-
ვრული ანბანის რიგით სათვალავსა და ანბანურ სათვალავს
შორის ურთიერთკავშირია, უფრო ზუსტად, ქართულ ასო-
მთავრულ ანბანზე ასო-ნიშნების რიგით სათვალავს და ან-
ბანურ სათვალავს შორის სრული შესაბამისობა... ქართუ-
ლი ანბანის რიგითი და ანბანური სათვალავი ერთმანეთს
შესაბამებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა ასო-
ნიშნის თანმიმდევრულად აქვს როგორც რიგითი სათვალავი,
ასევე ანბანური რიცხვითი მნიშვნელობა“... (ხაზი ჩვე-
ნია, თ. წ.)

რამი მდგომარეობს ასო-ნიშნათა რიცხვს და ანბანურ
სათვალავს შორის ეს ურთიერთკავშირი ანუ შესაბამისობა?
ასომთავრულის ანბანური სათვალავის რიცხველი სისტემა
ერთეულებს, ათეულებს, ასეულებსა და ათასეულებს გამო-
ხატავს. ანბანური რიგის I ცხრეულს ანბანური სათვალავის
ერთეულები შეესაბამება, II-ს ათეულები, III-ს ასეულები,
IV-ს ათასეულები. ანბანის რიგის რიცხვებთან შესაბამეუ-
ლი სათვალავის ანუ ასოთა რიცხველი მნიშვნელობის და-
სადგენად, უწინაშეს ყოვლისა, უნდა გაიკვეს რომელ ცხრე-
ულს განეკუთვნება მოცემული ასოს რიგითი რიცხვი. ე.ი.
უნდა გაიკვეს რას ასაჩინოებს იგი, — ერთეულებს, ათეუ-
ლებს თუ ათასეულებს: ხოლო იმის დასადგენად თუ საკუთ-
რის, რამდენ ათეულს, ასეულს და ა.შ. აღნიშნავს მოცემული
ასოს რიგითი რიცხვი, საჭიროა ამ რიგითი რიცხვის გაყოფ-
რიანება (გაციფრინება არ ეხება I ცხრეულს, ე.ი. ერთეუ-
ლებს, ვინაიდან აქ რიგისა და სათვალავის რიცხვები პირ-
დაპირ და უშუალოდ ესაბამებიან ერთმანეთს: 1=1,
2=2, 3=3 და ა.შ.).

როგორ უნდა გავაციფრინოთ ანბანური რიგის რიცხვი?
მოცემულ რიგით რიცხვს უნდა შევსაბამოთ მისი ციფრე-
ბის ჯამი, მაგალითად: 16—1+6=7, ანდა 31—3+1=4.
მაშასადამე, გაციფრინებული 16=7-ს, ხოლო გაციფრი-
ნებული 31=4-ს... იმ შემთხვევაში, თუ გაციფრინება
კვლავ ორინჯა რიცხვს მოგვცემს, მიკლებულ შედეგს კვლავ

შევუბნამოთ ციფრთა ჯამს, მაგალითად: 29—2+9—2+9—
—1+1=2. მაშასადამე, 29-ის გაციფრინება გვაძლევს
2-ს. მაგრამ რას აღნიშნავს ეს 2? 2-ად გაციფრინებული
29 იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი IV ცხრეული შემავალი
რიცხვია, ათასეულს გამოხატავს, ე.ი. გამოხატავს 2000-ს.
რას გამოხატავს 7-ად გაციფრინებული 16?
იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი I ცხრეულში შემავალი
რიცხვია, გამოხატავს 7 ათეულს, ე.ი. 70-ს. გაციფრინებუ-
ლი 25-ივე 7-ს ვამძლევს, მაგრამ 25 III ცხრეულში შემა-
ვალი რიცხვია და ამიტომ ასეულებს კრებს, ე.ი. 700-ს გა-
მოხატავს...

ამრიგად, ყველი ასო გამოხატავს ანბანური სათვალავის
იმ რიცხვს, რომელიც ანბანში მისი რიგის რიცხვს შეესაბა-
მება და პირველ, ასოს ანბანური სათვალავი მის რიგით
რიცხვზე მივითითებს.

და აქ ბუნებრივი იქნებოდა დასმულიყო კითხვა: სწორედ
იმიტომ, რომ ასომთავრულ ანბანში ერთმანეთთან იდენტუ-
რად შესაბამეული რიგისა და სათვალავის „სრულყოფი-
ლი სისტემა განხორციელებული“, ხომ არ შევცდით გე-
მატრიულ მეთოდში ჩაკვეთთ რიგის რიცხვებში, ე.ი. ეს
მეთოდი ანბანის რიგითი რიცხვების მონაწილეობით გაციფრ-
დილდება?

ყოველ შემთხვევაში, უადრესად საგულისხმო იქნებოდა
ჩვენთვის მნიშვნელოვანი სახელები არა მარტო ანბანური
სათვალავის ჯამით, არამედ რიგისა და სათვალავის ერთო-
ბლივი რიცხველი ჯამით გამოგვეჩინა. რას მოგვეცემა მა-
გალითად, „ფარნავაზის“ რიგ-სათვალავით აგრეფილი რიც-
ხვების ჯამი?

72. ფარნავაზ—666
738

ანბანური რიგით სახელი „ფარნავაზ“ კრებს 72-ს, ანბა-
ნური სათვალავით 666-ს (შემდეგ სიმარტივისათვის ანბა-
რად შეკრებილ რიცხვს რიგ-სათვალავის რიცხვს ვუწო-
დებთ). გვეუბნება რასმე ეს რიცხვი?

წინა წერილში ვწერდით: „ფარნავაზის ცხოვრების“ ბო-
ლო მონაკვეთი, რომელიც ანბანის შემოქმედის შესახებ
ერთადერთ ქართულ ცნობას დატოვა, იმიტომ უმდგამ
36 სიტყვისაგან, რომ 36 თანმიმდევარი რიცხვის ჯამი 666
— „ფარნავაზის“ გემატრიულ რიცხვს აცნაურებს-მეთქი,
და კიდევ იმიტომ, რომ თავად ფარნავაზის მიერ შექმნილი
ანბანი 36 ასო-ნიშნისაგან შედგება.

36 — ნის კვადრატია და მაშასადამე, 6 კენტი თანმიმ-
დევარი რიცხვის ჯამი, ამიტომ 36 სიტყვისაგან შემდგარ ამ
მონაკვეთში აშკარად არის აქცენტირებული „ქან“ ასო-
ნიშნით დაწყებული 6 ერთი და იმავე ფუძიანი სიტყვა,
რაც აუცილებელი განმეორების წინასწარგანზრახულობას
ამტკუნებს-მეთქი... ახლა შევცდილია, ვთქვათ: ეს ექვსი
„ქანი“ ამავე მიზნისთვის არის მოხმობილი, ე.ი. იმისათვის
რომ ფარნავაზის სახელი გავვიმტკუნავს, ვინაიდან, როგორც
უკვე ვიცით, „ქანის“ გრაფიკული რიცხვი 123-ია, ხოლო
6×123=738-ს. მაშასადამე, ახლა უკვე ასომთავრული ან-

ბანის რიგ-სათვალავით აკრეფილი რიცხვების ჯამით ცხადდება ფარნავაზის სახელი, რომლის გრაფიკულ საყრდენს ამ მონაკვეთში ჯვრის გრაფიკული ფორმით გამოსახული „ჰანასო-ნიშანი“ წარმოადგენს.


მაგრამ ეს არ ამოწურავს სათქმელს. როგორც ქვემოთ დანახავს მკითხველი, ამავე რიცხვს — 738-ს ასაჩინოებს ასომთავრული ანბანის პირველი ორი ასოს სახელების „ან — ბან“ გრაფიკულ რიცხვთა ჯამი, თუ ამ სახელებს დიდი „ნართი“ ჩავხაზავთ რიცხვულ კვადრატში (ნახ. 8).

„სამარ — ფარნავაზ“ სახელების სათვალავით აკრეფილი რიცხვების ჯამი 342 — 666 სექტიმალური წყვილდულია, ამიტომ უაღრესად საინტერესოა, აქვს თუ არა ასომთავრულ ანბანში გრაფიკული ხასიათის ასეთივე საყრდენი „სამარ“-ის რიგ-სათვალავით აკრეფილი რიცხვების ჯამს?

54. სამარ—342

396

წინა წერილში გვწერდით: „სახელი „სამარ“, როგორც სე-



ნახ. 8

ბტიმალური ტაბულის სამი ექვსეული რეგისტრის მეექვსე მუკრეგების შემჯამებელი ათობით რიცხვის $(342 = 6 + 42 + 294)$ აღმნიშვნელი ტერმინი, ქართულ სიტყვას „სამა“-ს უკავშირდება-მუთუჲ (საკულისხმობა, რომ ეს სახელი არცერთ ონომასტიკონში არ არის დიდასტურებული). დიდად საცნაური იქნებოდა, რომ ამ სახელის რიგ-სათვალავით აკრეფილ რიცხვთა ჯამს — 396-ს ასოთა რომელიმე სამეულის გრაფიკული რიცხვების ჯამი გამოეხატა. მაგრამ რომელი სამეულის? ყველაზე უპრიანი იქნებოდა ანბანის პირველი სამი ასოს გრაფიკული რიცხვების ჯამი შეგვემოწმებინა, ვინაიდან „ან-ბან-გან“ ასოები, ჯერ ერთი, ერთგვაროვანი სახელდებით არიან გაერთიანებულნი და ამავე დროს, გამოყოფილნიც (მე-4 ასოს უკვე სხვა სახელი ჰქვია, — დან“), მეორეც, — მათი რიგითი რიცხვების ჯამს $(1 + 2 + 3 + 3 = 6)$ მე-6 „ვინი“ ჰქრებს, რითაც აგრეთვე ხაზგასმულია მათი განსაკუთრებული ერთიანობა... შევკრიბოთ ამ ასოების „ა-ბ-გ“-ს გრაფიკულ რიცხვთა ჯამი: (ნახ. 9).

მაშასადამე, ასომთავრულის პირველი სამი ასოს გრაფიკულ რიცხვთა ჯამი 396 სახელის „სამარ“ რიგ-სათვალავით


აკრეფილი რიცხვების ჯამს აცნაურებს და ამდენად, ამის გრაფიკულ საყრდენს წარმოადგენს, რაც ამაგრებს ჩვენს მკვლევარულს იმის შესახებ, რომ სახელი „სამარ“ ქართულ სიტყვას აცნაურებს „სამ“ არის წარმოებული.

ამრიგად, მართო იმაში კი არ ვრწმუნდებით, რომ „ფარნავაზის ცხოვრება“ ნამდვილად ავთენტური ტექსტია, არამედ იმაშიც, რომ ამ ტექსტსა და ასომთავრულ ანბანს შორის აშკარა და პირდაპირი კავშირია. ამასთანავე, ეს ფაქტი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ რეალურია რიცხვული კვადრატი და რომ ამ კვადრატში შემოთმთქმენილი ასოები სწორად არის ჩახაზული...

აპოკალიფსური რიცხვი 666 „მისტიფიცირებული სიმბოლიზით“ არის აღბეჭდილი ისევე, როგორც დაახლოებით იმავე ხანებში შექმნილი სიმბოლურ წიგნებში მოხსენიებული 888 (1,326 — 330), რაც ბერძნულად დაწერილი „იფსოვს“ სახელის სათვალავით აკრეფილ რიცხვს, ე.ი. გემატრიულ რიცხვს აცნაურებს.⁹ 666 — ქართლის პირველი მეფე დემეტრისა და ანბანის შემოქმედის ფარნავაზის გემატრიული

რიცხვია და სწორედ ამ იდუმალი, აპოკალიფსური რიცხვის გათვალისწინებითა და გაცნობიერებით იწყება ძეგლთა გრძელი ჯაჭვი, რომელსაც რიცხვული კვადრატის მოძიება და მასში ასოთა გარიცხვინება ამთავრებს...

ძნელი წარმოსადგენია, რომ შუა საუკუნეების რომელიმე ქართველ მწიგნობარს ან მოღვაწეს არ გაესინჯა „მწიგნობრობის შემქმნელი“ თავისი პირველი მუფის სახელის გემატრიული რიცხვი, მით უმეტეს, რომ გემატრია ცნობილი იყო მაშინდელ საქართველოში. მაგრამ თუ გასინჯავდა, მისდა გასაოცრად, იგი ამ სახელში დაფარულ „მხეცის რიცხვს“ წააწყდებოდა. უნდა ვიგულისხმობთ, რომ ეს რიცხვი მას, როგორც ქრისტიანს, შეაძრწუნებდა და სავარაუდებელია, ხელსაც ააღებინებდა იმის ჩრქევასა და გამოძიებაზე, თუ როგორ და რატომ აღმოჩნდა „ფარნავაზს“ ქრისტიანული თვალსაზრისით ესოდენ შემუზარავი რიცხვი. ხოლო ამან — თავის მხრივ, შეუძლებელია, არ გვაფიქრებინოს, რომ ეს რიცხვი (666) რაღაც დიდმნიშვნელოვანი საიდუმლოს ტა-



ნახ. 9

ბუდ იყო იმთავითვე გათვალისწინებული, ისეთი საიდუმლოს ტაბუდ, რომელიც ბეჭდითა შვიდითა უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი.

შენიშვნები:

- 1 ელ. მაკავარიანი, ქართული ხელნაწერები (წინასიტყვა), 1970, გვ. 27.
- 2 Winfrid Boeder. Zur analyse des altgeorgischen Alphabets. Hamburg (Slavisches Seminar), 1975.
- 3 თ. ჩხენკელი, ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა, „საბჭოთა ხელოვნება“ № 8, 1977, გვ. 78.
- 4 ვ. ბოდელტს აღნიშნული აქვს, რომ ასო „ეანი“ გრაფიკულად შეიცავს „ყარს“... დას. ნაშრომი, გვ. 19.
- 5 А. Ф. Лосев. История античной эстетики, М., 1969, стр. 329, 370.
- 6 ერნ. ბინდელი, რიცხვთა სელეირი საფუძვლები, შტუტგარტი, 1958... ამ წიგნის გამოუქვეყნებელი რუსული თარგმანი გვაქვს ხელთ, რის გამოც ვუთითებთ რომელი ციფრით აღნიშნულ თავებს და არა გვერდებს.
- 7 იქვე.
- 8 რ. პატარიძე, ქართული წარმართული კალენდარი, მნათობი № 2, 1976, გვ. 159, 167.
- 9 Еврейская энциклопедия, т. II, С. Петербург: (Апокалиптическая литература), стр. 863.

პოლ ვალერი

აზრები

მათხოვრები

იყვნენ და არა იყვნენ რა, იყვნენ მათხოვრები! ერთნი თხოულობდნენ სიყვარულს, მეორენი — პატივისცემას. სხვები — ღიდებს. და მათ ეზიზღებოდათ ისინი, რომელნიც თხოულობდნენ პურსა და ფულს. ზოგი თხოულობდა იდებს, ღვთის გულისხამვის, ან სრულქმნილ ლექსს, ანდა ორიგინალურ სტილს.

* * *

ქეშმარიტ ღმერთთა ტაძრები —

შიში, შიშშილი, სურკილი, უბედურება, სიცივე...

პირველი ამბავი: ქალბატონმა, ზაალის მეუღლემ თავის პირისფარეშს, არსენა ოქლავილის დანიშნულს, ნენოს, თავისი ფარის კაბა, ქოშები და აბრეშუმის თაფსაკაჭი აჩუქა თურმე. ნენოს ისე მოურგია, ტანთ ისე მოხდომია საქალბატონო სამოსელი, რომ ტოლ-ამხანაგებს ვერც უცვნიათ. საღამო ხანს ნენოსთვის წყაროზე წასვლა და ათი თუნგი წყლის ამოზიდვა უმბრძნებიათ, ქალბატონის ტანთ დასაბანად. წყაროსთან გიგნობები დახვედრიან ნენოს და სასაცილოდ აიგდეს, წყაროზე თუნგი არ აავსებინეს წყლით. ამ ამბავს არსენა შესწრება, დაბნეულ-დაარცხენილ ნენოს მიხმარებია, — თვითონ აუვსია თუნგი და ათჯერვე თვითონ აუზიდავს ზაალ-ბატონის ეზომდე. ასეთი საქციელით არსენამ პირველად მიანიშნა სოფლებს, რომ ნენო უყვარდა და მის გამასხარაგებასა თუ დამცირებას არავის აპატიებდა. მეორე ამბავი: ერთხელ არსენა ზაალ ბარათაშვილის სასახლეს დასცემია, თვითონ ზაალი ოჯახითურთ თბილისს ყოფილა იმხანად. მიუთავსა და შინამოსამსახურებს მცირე წინააღმდეგობა გაუწყვიათ, გლეხობა არ დახმარებიათ და მალე დაწებებულან არსენას შემოტყევის. არსენას უბრძანებია, სასახლე უნდა გადავბუგო და, ვისაც რა გინდათ, წაიღეთ მანამდეო. არავის ხელი არ უხლია ბატონის ნივთებისათვის. მაშინ არსენას ცეცხლი წაუკიდებია ბატონის კარ-მიდამოსთვის და ერთიანად გადაუბუგავს. მერე გუთანში ცხრა უღელი ხარ-კამეჩი გამოუბამს და ის ადგილი ძირფსვიანად გადაუხუნავს.

არსენას ქორწილისა და სხვა საინტერესო დეტალები ახლა უკვე ყველასთვის ცნობილია და მათზე აღარ შევჩერდები. ერთი კია, იმ ხანად ამ პატარ-პატარა ფაქტების გაცნობა დიდად დაგვეხმარა არსენას სასიათის, მისი ცხოვრების წვედომა-გააზრებამი.

„თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე“ რომ ვახსენებ

ნე. — დღეს ეს სიტყვათა გაცლებით მსუბუქად ეძვრს, ვიდრე იმ ხანად. მაშინ, რუსთაველის თეატრის საერთოდ შემოქმედებითი ცხოვრებისათვის ამ თანამდებობას — სალიტერატურო ნაწილის გაგეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მეორეს მხრივ. თვით ჩვენი სალიტერატურო ნაწილის გამგე, ჩემი სიყრმის (გიმნაზიის წლები) მეგობარი ლევან ასათიანი თავისი პიროვნული წონით, თავისი მწერლური დაიპაირონით ანაზღაურდა ამ თანამდებობას მნიშვნელობას და დირსებას. სარეჟისორო კოლეჯის თხოვნით ლევან ასათიანის მოსვლამ რუსთაველის თეატრისათვის იმ რთულ, შიშიმე ხანაში, საკარნობლად განტვირთვა ახალი ხელმძღვანელობა სარეპერტუარის სახითაა მოგვარების საჭიერია. იგი დიდ დახმარებას მიწვევდა მე, როგორც ხელმძღვანელს, დრამატული ნაწარმოების როგორც შერჩევის, ასევე დახვეწის საჭიერია. ლევანს, როგორც ჭეშმარიტ მწერალს, გემოვნებანი, განათლებულ კაცს დრამატურგია ლიტერატურული ხელოვნების უმნიშვნელოვანეს დარგად მიაჩნდა და არა მარტო სპექტაკლის მასალად, სცენარად. მის იზიდავდა, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული ამბისხნა და განხორციელება პიესაში ასახული ცხოვრების მოვლენებისა. ამიტომ იყო, ს. შანშიაშვილის „არსენაზე“ შემართის დროს, მან ისეთი მასალა შემიზარა, რომელიც მეც დიდ ავტორსაც დაეხმარებოდა პიესის შინაარსობრივი, ზნობრივი და სოციალური მხარეების უფრო დრამად წარმოიჩინებოდა. ამას გარდა, სწორედ ასეთი პიროვნება სჭირდებოდა თეატრს იმ ხანად იმისთვისაც, რათა თეატრსა და მწერლობას შორის აღდგენილიყო ამ დროისათვის დაკარგული შვიდრო კონტაქტი. კ. მარჯანიშვილისა და ა. ასბუგელის ბრძოლების, მათი დამოუბების შემდეგ, მწერლობა ჩვენი თეატრის მიმართ უწინდებოდ ერთსულოვნებასა და სიყვარულის ვერ იზუნდა, დიდი ნაწილი მწერლობის ჩამოშორდა რუსთაველის თეატრს და ვის უნდა აღედგინა ეს აუცილებელი შემოქმედებითი კავშირი, თუ არა ისეთი დიდი ცოდნისა და ტაქტის მქონე პიროვნებას, როგორიც ლევან ასათიანი იყო.

რუსთაველის თეატრს, მართალია, ხელახლა არსდროს დაუწერია ბიუჯეტის ავტორებისთვის, მაგრამ, ძალიან ხშირად, ძალიან დიდ მუშაობას გაუწევია, რომ ავტორების კარგი ჩანაფიქრისათვის უფრო სრულად შეესაბამ ხორცი და მრავალფეროვნად განავითარებინათ შემქმედება. ასე იყო ეს სასწაურო შანშიაშვილის „არსენას“ მიმართაც.

სანდრო შანშიაშვილის როგორც დრამატურგის სიახლოვე რუსთაველის თეატრთან მომდინარეობდა არა ოფიციალური, ფორმალური, მხოლოდ, „პიესისა და რეჟისორის“ ურთიერთობიდან, არამედ ფეოდალური, შინაგანი, შემოქმედებითი ურთიერთ მიმართებიდან, როგორც ჩვენი მისდამი, ასევე თვით მისი დიანტიტუნებისა რუსთაველის თეატრის ბედ-ღობალით. სანდროს ჩვენზე ნაკლებ ან აღედეგება რუსთაველის თეატრის როგორც შიდა შემოქმედებითი, ასევე საზოგადოებრივი არსებობა და ყოველთვის გულწრფელად ცდილობდა დაეხმარებოდა თავისი ახალი კალმით. ასეთ დახმარებას წარმოადგენდა ჩვენთვის იმ რთულ ეტაპზე მისი „არსენას“ და ჩვენზე მთელი გულისყურით მოგვეცინათ ამ პიესის ათვისებას.

„არსენას“ დრამატული კომპოზიცია, მისი არქიტექტონიკა დახვეწა მოითხოვდა; საჭირო იყო ამ პიესის შემადგენელი ამა თუ იმ ელემენტის დახუსტება, შინაგანი აესება დინამიური მოქმედებით, ამა თუ იმ ეპიზოდის დატვირთვა მეტი მნიშვნელობით; მისი უფრო მკვეთრად გამოკვეთა; საჭი-

რო იყო აგრეთვე იმ ეპიქოსათვის დამახასიათებელი პერსონაჟი უფრო გამდიდრება უსიტყვო როლების მუშავებითა; ეპიქოსის სოციალური პანორამის უფრო მასშტაბური გამჭიმვრა წევა. სანდრო შანშიაშვილიც ჩვენიან ერთად, მთელი რიგი სცენების ახალ ვარიანტებს ქმნიდა; ამრავალფეროვნება და ამდიდრება, ერთის მხრივ მზავრებოდა, ხოლო მეორეს მხრივ, ჩაგრულობა უსუსუსტების გამოშავლებით პერსონაჟთა სახეებს. ასეთი გადაზომების შედეგად ჩვენ მივიღეთ განზოგადებული სახე როგორც მზავრებოდა წინააღმდეგ მებრძოლი გლეხობისა, ასევე ამ გლეხების გახედული, მოახლოვნი, ამაღლებული იდეალის მქონე წინამძღობისა (და ეს უკანასკნელი თუიღოდ, უკვე საკარნობლად განსხვავდებოდა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში დახასიათებული გმირი — არსენასგან). აი, ამგვარად შეიქმნა პიესაში მრავალფეროვნად, მრავალფეროვნად ქართველი გლეხობის სრული სურათი. ასე მავალითად, ტექსტის გადაზომების შემდეგ, უმთარა გონჯა გადაცემა ხალხური მოქმედის, მუსტიკის, არსენას ცხოვრების მემკაინებას და მზავრებოდა პიროვნული განსჯილ-შემფასების სახედ; ნენო — სოფლის უბრალო გოგო, ქალბატონის პირისფარეში, გადაიქცა არსენას ღირსული მემკვიდრედ და მის გვერდით ამოხდგარ უშინარ თანამებრძოლად; ასევე, პიესის უკანასკნელ ვარიანტში მაღალი დრამატული ელემენტის მოიპოვა ქართველი გლეხი ქალის, ნანდელი დედა-კაცის მართას ეპიზოდმა. პიესის კომპოზიციურ დახუსტებაში, სხვადასხვა ეპიზოდის დახვეწასა და გამრავალფეროვნების საჭიერად გადაწყვეტილ როლს თამაშობდა ავტორის შინაგანი სიახლოვე თეატრის მხატვრული მიმართულებიანად, რის გამოც რეჟისორსა და ავტორს ურთიერთ გაგება არ გვიტრიადა, მეგობარული დამოკიდებულება კი გვათავისუფლებდა ყოველგვარი უსარგებლო, ხელისშემშლელი რვერსისებისაგან. ორივე მხარე დარწმუნებული ვიყავით, რომ ერთმანეთისთვის და, რაც მთავარია, საერთო საქმიანის, საბოლოო მიზნისთვის, სპექტაკლისთვის მხოლოდ კარგი გვირდოდა. პიესა „არსენას“ ჩვენთვის წარმოადგენდა იმ მასალას, რომლის განხორციელებითაც თეატრი შესძლებდა პასუხის გაცემას იმ პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შემქმნილ კითხვებზე, თუ არა წარმოადგენდა და როგორ უნდა ყოფილიყო ამ ეტაპზე აქტიური, რეჟისორი და, საერთოდ, წარმოდგენა რუსთაველის თეატრში. სანდრო ასმეტელის ხელმძღვანელობის დროიდან ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემა საკუთარი შემოქმედებით, შეიძლება ითქვას, რუსთაველის თეატრის არა მარტო შინაგან მოთხოვნილებად, არამედ ვალდებულებაცადა გადაიქცა, ყველა ვნებადიყო, ყველას შეეცნებულა გვეჭოდ, რომ სწორედ „არსენას“ სუნური განხორციელებით უნდა აღესრულებინა თეატრს ეს მოთხოვნილებაცა და ვალდებულებაცა. ამიტომაც, განსაკუთრებული რუდუნებით მოვეცინათ ამ საქმეს.

პიესაზე მუშაობის პარალელურად, მხატვართან — ირაკლი გამრეკელთან, და კომპოზიტორთან — იონა ტუსკაისთან ვმართავდით შემოქმედებით საუბრებს. აქაც ბევრი ვარიანტი მოიხილბა, ბევრი ჩანაფიქრი აიწინ-დაიწინა, მკაცრად შეესადა. ირაკლი გამრეკელმა განიხრახნა სცენური დაზვა ფერწერული პანორამით შემოერკალა, და ამ მხატვრული ხერხით დეკორაციული დანადგარებიც, ტანსაცმელი, სხვადასხვა მორთულობა და თვით შინასცენებიც ერთ მილიან სურათად, ერთ მილიან მხატვრულ, პირობითად რომ ვთქვა, ფერწერულ ტილოდ გადაიქცია, ამ სპექტაკლის გაფორმებისას ირაკლი გამრეკელი გაუმთანა მიდრეგებოდა კონსტრუქცივისშიყენ

დეკორაციულ ხელოვნებაში, რიყი უფოდ თავი დააღწია „მტამას“, მისი შემოქმედებით დიპაზონის შეზღუდვას ერთი მიმართულებით, მისი შემოქმედების გაერთიანებისას.

იონა ტუსკიამ კი თავისი მუსიკა, ძირითადად, იმ ხალხურ მოტივებზე ააგო, რომლებიც მიესადაგებოდნენ ნაწარმოების (პიესის) და განასახიერებელი სპექტაკლის სულისკვეთებას, მის შინაგან განწყობილებას, — კერძოდ, „მუშლი მუხასა“ და „მუხტივირული“ კანცეტი აირჩია სხვადასხვა აქტების მუსიკალური გაფორმების ლეიტმოტივებად.

ამგვარად, დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი და კომპოზიტორი ერთობლივად ჩაებნით, შევსავეშირდით სცენური სახეების შექმნის საქმეში. თეატრში ცალკე „მუსიკალური სახე“, ცალკე „ფერწერული სახე“, ცალკე „პლასტიკური სახე“ არ არსებობენ, რადგან თეატრში შეიძლება მისი (ამ მთლიანი მეტაფორის) კანცეტი აირჩია სხვადასხვა აქტების მუსიკალური გაფორმების ლეიტმოტივებად. იყოს ერთი სახე — სახე ადამიანის, ადამიანური ცხოვრების სახე თავისი ვნებებით, ფიქრებით, მისწრაფებებით, გარემოთი; და სცენაზე ამ ერთ მთლიან მხატვრულ სახებას ადამიანური ცხოვრებისა ჰქმნის დრამატურგი, რეჟისორი, მხატვარი, კომპოზიტორი და აქტიორი ერთობლივად, ურთიერთდაკავშირებულად. თეატრში ეს მთლიანი მხატვრული სახე ადამიანური ცხოვრებისა მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როდესაც მისი (ამ მთლიანი მეტაფორის) შექმნელი დამხმარე ხელოვნებანი (მუსიკა, მხატვრობა და სხვა) თავისთავადობას, თავისთავად მნიშვნელობას ჰკარგავენ, ითქვიფებიან, ურთიერთგანმისმჯავლებიან ამ მთლიანი ხასიათის მქონე მეტაფორაში.

როგორც აღვნიშნე, „არსენაში“ მთავარ გმირად ხალხი დაგინახე, — ხალხი, რომელიც შეებრძოლა ბატონებსა და მეფის რუსეთის მოხელეებს; ის ხალხი, გლეხობის ის მასა, რომელმაც გამოიჩინა მეტი კეთილშობილება, ამაღლებულობა, თავისუფლებისაკენ და სიკეთისკენ მისწრაფება, მეტი ადამიანური ღირსება, ვიდრე ხავერდსა და ფარჩაში მოსილმა უგვანო შთამომავლობამ რაინდ წინაპართა, ვიდრე მათმა ამფსონმა და თანამზრახველმა მეფის რუსეთის ოფიცრობამ და

მხოვლებმა, ვიდრე მებატონეთა მიერ შიშითა და ფულით დამონებულ-მოსყიდულმა ყმებმა. არსენა სწორედ ამ ხალხურ წრიდან გამოსული გმირია, მისი სულისკვეთების გამტარებელია, მისი ღვიძლია.

შერედა რა სუფთა, ამაღლებული, ეპიკური და ადამიანური არსენასი და ხალხის ბუნება, მათი ზნეობა, ჩვევები, მიზნები. ერთი და ორი მოღალატე, ძმის გამყიდველი გამოსული იმავ მშრომელთა წრიდან, ჩრდილს ვერ აყენებს მშრომელი გლეხობის კეთილშობილურ სწრაფვას, მის ბუნებას. პიესის ასეთი დემოკრატიული, ადამიანური სულისკვეთება, ასეთი ზნეობის ქადაგება, პიესის გმირთა ფიქრები და სურვილები ხომ სახეებით ემთხვეოდა და ყოველთვის დაემთხვევა ყოველ ფიქრებსა და სურვილებს ყოველი იმ ქვეყნის მაყურებლისა, რომელიც ებრძვის ან ახლი წარსულში ებრძოდა მწავრულ-დამპყრობელთ.

აქვე უნდა აღვნიშნო: მე თავიდანვე გადაწყვიტე, სცენაზე ხალხი გამომეყვანა არა ერთსახოვან ბრბოდ, არამედ მრავალსახოვანი, მრავალფეროვანი, ინდივიდუალური ხასიათების მქონე ადამიანთა კრებულად, ანუ ხალხი — მასა გამომეყვანა სცენაზე როგორც მრავალგვარი, სხვადასხვა ერთეულებსგან (ელემენტებისგან) შემდგარი მთლიანი, მონოლითური სისტემა და გამომეყვანა იგი ისე, რომ მისი შენადგენელი ნაწილების, ერთეულების თავისებურება, განუმორებლობა, ინდივიდუალურობა არ დაკარგულიყო, არ გათქვფილიყო ამ მთელში. თვით არსენაც, ნენიც და მთელი გალერეა სახეებისა გლეხობის წრიდან (ონსიე, პიპა, ზურიკო, შეუე, მათია და სხვები) მე ხალხის — სისტემის ერთეულებად მქონდა გააზრებული. მინდოდა, აგრეთვე, მათი ბრძოლა მწავრულთა წინააღმდეგ სხვადასხვა კუთხიდან და მუხანა და გამეშუქებინა და, ამით, სპექტაკლის სოციალური შინაარსი გამემძაფრებინა, გამელრმავეინა.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად მთელი რიგი ახალი, უსიტყვო პერსონაჟების გამოიონება და დამატება დამჭირდა პი-

სცენა სპექტაკლიდან „არსენა“ (1935-36 წწ.)



უსაში არსებული მოქმედი პირობებისათვის. ვარაუდ ვცილოდით ცოლად, დინამორედი მოქმედი მასიური სტრუქტურის ზეგავლენის ძალა მაყურებელზე და, ამიტომ, მსატყართან და კომპოზიტორთან ერთად ვცილოდით, მოვლდათა განვითარების მტკიცე ლოგოვა გამოუმუშავებინა, შემუშვნა მეგობართა მოხალისე ხასიათები, პერსონაჟთა მოქმედებისთვის შესაბამისი გარემო და მათი ცხოვრების, მათი განწყობილობების გარე გამომავლინებელი, გამამწვავებელი მუსიკალური ატმოსფერო.

მასიური სტრუქტურის აგების საქმეში ასეთი პოზიციის არჩევა, რა თქმა უნდა, უცხო არ იყო რუსთაველის თეატრის მამონდელი დასისთვის, რომელიც მოწყვეა და მინაწილზე იყო ჯერ კიდევ „სტერის წყაროსი“ და, შემდეგ „ანზორისა“. რეპტიციებზე დასი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ასალ ხელმძღვანელობა არ აპირებდა თეატრის მიერ არარეგულარული ძირითადი გზიდან გადახვევას, რომ იგი აგრძელებდა რომანტიკულ-გმირულ მიმართულებას თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში და, ყოველგვარი მითქმა-მოთქმის მიუხედავად, ემერგულად ჩაება შემოთავაზო, რადგან დასს სწყუროდა და ყოველთვის სწყურია შემოქმედებითი მუშაობა.

...აჰა, შემზარავად გაისმა საყვანავოდ ახმინებული ბუკნალარის ხმა და მის ხმასზე რიტმულად, ყოველი მხრიდან შემოიჭრებოდნენ თავზარდაცემულ გლეხთა ჯგუფები და ისე აგრძელებოდნენ აღმართულ დაზგაზე, საიდანაც საყვანავო ხმა მოისმოდა, თითქოს დაზგის მწვერვალის აგებას და ამ ხმების დახმობას ჰქონდა ბრძოლით აპირებენ. დაქანებულ, ფართო დაზგაზე ჰქონდა ავარდნილი მიფიცი ეს მასა, დაზგის მისადგომთან, მოულოდნელად, ვით ერთი კაცი, ერთ ადგილზე შედგებოდა, გაქვავებოდა, სუნთქავარდნილი. წუთით-პაუზად და, მძიმე თვითდაჯერებული იმპროვიზაციით ამოხრდებოდნენ დაზგის მწვერვალის იქითა, დაზგაზე ავარდნილი ხალხის საპირისპირო მხრიდან მოურავისა და ჩაფრების სხეულები და ადგილზე შემდგარ, დადუმებულ ხალხს თავს წამოადგებოდნენ. შემდეგ, მოურავი (მასხიობი გიორგი გასპარული) უღმობელი ხმით ბატონის ასეთსავე უღმობელი, გაუქვავ ბრძანების გამოცემას შეუდგებოდა. ბატონის ყოველ სიტყვას იგი დამსავით უმინებდა გლეხობას, ლურსმანივით უჭებდა თავში, თან დამეცინავდა, ზიზღით დასცემდა და, ბოლოს, თითქოს პირუტყვისა ჯოგს, ისე შეუძახებდა „პიი-დაიო“, და თავისი ჩაფრებიანად სცნვიდან სწრაფად, რიხიანად გადიოდა.

საგონებელში ჩავარდნილი გლეხობა ერთ ხანს გარტყანებულად დახვეული იდგა. უცებ, მათ შორის მყოფი გონჯა (მასხიობი ენაზელი აფხაძე) ახითიანდებოდა, ასტებდა აურზაურს და გამემებულ, თავჩაქინდრულ გლეხებს, თავის მოძმეებს გამინაფხიზლებელი სიცილ-ხუმრობით აუელ-ჩაუყვლიდა გარშემო, — ვის ნიკავში ამოკარავდა ხელს, ვის სახერის მოუწყვლებდა კოჭვში და, ასე, ხუმრობა-ხუმრობით აწოკებდა მანამ, სანამ თავისკენ არ მიიპყრობდა მათ ყურადღებას, არ გამოაფხიზლებდა თავისი გადადგმები სიცილითა და გამალაჩიანებელი ქვეყით. ამ სცენას მშენებრად ართმევდა თავს ენაზელი აფხაძე, მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით, სცენური იუმორის დიდი გრძობითა და ადამიანური სიბოთით. თავისკენ რომ მიიპყრობდა გლეხების ყურადღებას, რომ გამოაფხიზლებდა, მაშინვე ხალხის შუაგულში აღმოჩნდებოდა, იქ, ხალხის შუაგულში მდგარი ერთ-ერთი გლეხი, შუისკის რიტმში, თანამოძმე წყუეითისავდა და დრო-დარღო წაუშდებოდა კიდევ გამამწვავებელი, ჭკუაზე მოსაყვან

ივავს. სასოწარკვეთილი გლეხების თვალებში იმედონ ნაქონწყალი ვარდნილობა, გამოცხვლებილი გლეხები; ამ დროს ხალხს სე (მასხიობი დავით შუციშვილი) გაოცებული შეგებობება და თითქოს საფლავიდან წამომდგარ, ტანსაცმელ-შემოფლეთილი, ბეჯვ, ყრუ-მუნჯ გლახას (სტუდიელი ილი ბეჭური) და როგორც უმეყო ბავშვს წამოაყვანება და გულში ჩაიკარავდა. პირველი სურათის ბოლოც ეს იყო.

მეორე პაუზის შემდეგ, გაისმებოდა ზახიანი ბარიტონის მოხახლი, რომელიც, ურუმლის ხასიათით, სოლოდ მოიძებოდა. ყველაზე მაღალ ბურბას, კულმინაციურ წერტილს რომ მიალყვდა სიმღერა, სცენაზე აღმართული დაზგის მწვერვალზე ამოშობებოდა — მთელი ტანით აღიმართებოდა არსენა (აკაკი ხორავა), გარემოს გადახედვდა და შერქნებოდა და ასე, ვიდრე სიმღერა არ დასრულებოდა სიტყვებით: „შენს იქით ჩემს სახფოსს სხვა ვინმე გადასწყვიტა“. მეუღლინხვად, ქართულ ხასიათში, ჩამოდიოდა არსენა, — შუისკის რიტმზე, ვაჟაკური რხებით და, მაყურებელს უახლოვდებოდა ხალხის საყვარელი ეს უსისილო ყაჩაღი, ნაცრისფერი რომა-ხალხუში გამოწყობილი, ქორჩილი თავზე წაბის ქედ-მოგაბლებოდა. არსენა ნენოსთან შესახვედრად წამოსულიყო. ნენო აქ კი ელოდებოდა, მაგრამ წყაროს კედელს ამოფარებოდა და, არსენას გამოჩენაზე მის სახელს, შეცვლილი ხმით, რადენჯერაც დაიძახებდა. არსენა აყვებოდა ამ თამაშს და იქით გააწვარებდა ნენოს, — ვითომ დაინახა, ვერ გაიგო ვინ ან საიდან ეძახდებოდა, აქეთ-იქით ეცემოდა და, მერე, სრულიად სხვა მხარეს გასწყვდა. საქციელწამდგარი ნენო, ვადარებდა და უკვე თავისი ხმით დაძახებდა „არსენაო“, გამოვიდოდა საფარინად და, გახარებული შეგებოდნენ ერთმანეთს.

თავიდან ვიტყვი: აკაკი ამ როლში იყო უფრო მეტი, ვიდრე შემსრულებელი თეატრალური ხასისა; თავისი ადამიანური ბუნებიდან ძერწავდა იგი არსენას სახებს და მაყურებლის გულს ანდამატებით იზიდავდა; ამ როლშიც, მისი ხელფუნება ახლოს იყო ადამიანურ აღსარებასთან. ყველაფერი უწყობდა ხელს არსენას სრულყოფილი სცენური განსახორციელებისათვის: მომხმებელი გარეგნობა, განუყოფრებული ხმა, ტემპერამენტი, რასაც თან ერთვოდა მის ბატარული ზომიერების გრძობა, აუცილებელი ყველა დარგის ხელოვანისთვის. ამ როლში მის საოცრად დამაჯერებელი და ბუნებრივი იყო, და კიდევ უფრო მაღალ დონეზე განსახორციელები ხალხის წყაიდან ამოხრდილი, თავისუფლების მოყვარე, სიმარტილისთვის მებრძოლი, მოძმეთათვის თავდადებული, შეუდრეკელი ხასიათის, მტკიცე გულისა და ნაოლად განსაჯელი გონების მქონე კაცის სახება.

რაც შეეხება ნენოს როლს — მის შემსრულებლად ორი საპირისპირო შემოქმედებითი ხასიათის მასხიობი ქალი, მერაჯავანავილი და ნინო ლავარი დავნიშნე. პირველი, ლირიკო-დრამატული მასხიობის მონაცემებით იყო დაჯილდოებული, მეორე კი — მშენიერი სასყენი გარეგნობითა და სახასიათო როლებს შესრულების მიდრეკილებით. ორივე მასხიობა ღირსეულად გართობდა ნენოს როლს არა მარტო ქართული მაყურებლის, არამედ მოსკოვის, ხარკოვის, კიევისა და ოდესის მომხიზნი მაყურებლის წინაშეც და სპეციალისტთა დიდი მოწონებაც დაიმსახურეს.

აი, ხალხიდან გამოსულ ამ ჯანსაღ, მგზნებარე, უშუალო და სიცოცხლით სასუნე პერსონაჟებთან შედარებით, რაც შეეხებოდა კონტრასტული იყო გაროგი დავითაშვილის მიერ განხორციელებული ზაალ ბარათაშვილი. დიდი ბარათას

ეს უკანასკნელი და უკვანო შიშობისაკლი, კიხტა, დახვეწი-
ლი გარეგნობის შუა ხნის კაცი იყო, — ქლაქში ზეიშა და
რატუტის, სოფელში ნადირობასა და ქიფის გადაყლილი;
თავტარისი, ამაჰარტავანიც და ჩინ-მედლების მიყარულიც;
ამასთანავე, სამკველად შქირდავი, შშიშარაცა და ზნედაცე-
მულიც გახლდათ.

აქ მათთვის მოთხოვნათან სტაველისონი გამომწვევი-
ნებას მასობით გ. დავითმაგილი უცნაზე გამოჩინისთანავე
ასწრებდა თავისი იერით, კომპოზიტორმა იონა ტუსკამა ზა-
ლის გამოსვლისთვის, სათანადო სცენური ხასიათის შესაქმნე-
ლად, შესანიშნავი სასუმარო-სანადირო სიმღერა შექმნა
ამ ხალხურ ლექსზე.

„ქურდიღელმა სთქვა: ჩირგვიმ ვზივარ,
ვევინ მივა ჩემუდღაო,
ვაჯიხელ სერზეღაო, ბატონი ზის ცხენუდღაო,
წინ შეტებრები მოუძღვის დავემოლი ჩემუდღაო...“

და ასე, ბოლომდე, ამ სიმღერით შემოიჭრებოდნენ სცენა-
ზე ბატონებში მიიზნით, მარგენი, მერიაქაფენი; ვინ მუხის
ჩრდილოში ხაიზის შლიდა, ვინ მუთაქა-ბალიშზეს აწყობდა,
ვინ ლურჯ სუფრას შლიდა, აქეთ, ნანადირებს ჩამოართმე-
დნენ ბატონ ზაალს, წყაროდან წყალს მოართვებოდნენ
ხელ-პირის დასაბანად და, ერთი სიტყვით, ყველა დასაქმე-
ბული, ყველა მოძრაობაში იყო.

ნადირობით კმაყოფილი ზაალ ბატონი ჩოხის კალთებს
დაიბერტყავდა, გამილიფდებოდა, ხალიჩაზე უხუთი ბავშვი-
ვით გაფორდებოდა და ფეხებს აფშლიკავდა. ორი თავადი-
შვილი, აზრდილივით რომ თან დაჰყვებოდნენ ზაალ ბატონს,
უფრო თავმჯდომეული მოძრაობით სალიჩაზე გვერდით მო-
გორდებოდნენ: ერთი, მაღალი და გამხარა-გამბადარი (მსა-
ხიობი იროდიონ შერაზადაშვილი) ბანს ეუბნებოდა, მეორე
კი, დაბალი (სტუდიელი ისკანდერ კაიკაყიშვილი) ლაქუ-
ლაქუვით ზაალს მუცელზე ხელს უათუნებდა. განცხრომისა
და პირის ჭკიბის სამზადისის ეს სცენა გრძელდებოდა მანამ-
დე, ვიდრე ხალხური ლექსი ბოლომდე არ ითქმებოდა მომ-
ღერალთა მიერ ორკესტრის თანხლებით.

შეწყვედილა თუ არა სიმღერა და მუსიკა, სცენაზე თავა-
ტყილი მორუავი შემოვარდებოდა და ბატონის წინაშე არსე-
ნაზე ჩივილს დაიწყებდა. მიურავს სიტყვა არ ექნებოდა ჩა-
თავებული, რომ კულისებიდან გაისმებოდა აღმფეთხებული
გულეშების ყავანი, რომლებიც შემოვიდოდნენ სცენაზე და
ბატონს შესთხოვდნენ, მორუავი სამართალში მიეცა და დაე-
საჯა. ზაალს თავებობდა მიიჩნევს გულხა ახსო საციკელია
და მოთხოვნას, და მსლებლებს უბრაბნებს მათარხის ცვმით
გარეკონ ხალხს; მიურავს კი თბილისში გავზავნის მთავარ
მართებელ ბარონ როზეთან, რათა მთავარ მართებელმა და-
მსჯეული რაშიმ გამოუგზავნის ურჩი ყმების ასალგავიდა.
პირველი აქტის ბოლოც ეს იყო.

ამგვარად, ხალხის ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ
თანდათან გადაქცევა სპექტაკლის განვითარების მთავარ ღერ-
ძად, მის საყრდენად კონფლიქტის შემქმნელი ორი მხარეც
— ხალხი და ბატონი, პირველ მოქმედებაშივე, უკვე აშკა-
რად გამოისხვება.

ამ შემთხვევაში გადაწყვეტილ მნიშვნელობას ჰქონდა იმა-
საც, თუ მხატვარი როგორ დეკორატიულ გარემოს მოგვეცმე-
და, რა კონტრასტულ ფერებს, მხატვრულ საშუალებებს შემო-
გვათავაზებდა ამ ორი საპირისპირო მხარის უფრო მეტფორთ
გამოთქანა-წმინდაობისათვის. ირაკლი გამრტკელის სასახელოდ
უნდა ითქვას, რომ მან ერთი სკლითი აიგებულ სპექტაკლში

ორი ისეთი საპირისპირო ჩამეტლობაც და დეკორატიულ
მორთულობა-ნაგებობანი მოგვცა, უკეთეს ვერც ინტერედუ-
რებისორი. პირველ, მესამე და მესუთე მოქმედებაში ~~თავდასა-
მყოფი~~ ზრადესით დაქანებული დაზგა, ჩაყითლებული ბა-
ლობით დაფარული, მარცხნიდან ამოხედილი უსარმაზარი
მუხის ტანი და მისი ათ მეტრამდე გაშვერილი ბორჯალო-
ტოტი ამ დაზგის მჭარ ჩარჩო იყო; თითქოს მუხის ფეხებს
ყურდებობდა სამოქმედო დაზგაც, რომელსაც მარცხენი
ჭრალი ჰქონდა: ერთი მიგვაბიწმუნდა მიწურ-თავსისფარზე,
ხოლო მეორე — წყაროდან ამოსასვლელ ვაზაზე. ასეთი იყო
იგი მესამე მოქმედებაშიც; ამასუთე მოქმედებაში კი მიწურ-
და წყაროზე ჩასასვლელ-მისოსავლიანი ვაზა დაიფარებოდა;
მესუთე მოქმედებაში დაზგას უკნიდან ციხის ნანგრევის კედ-
ლებს მოადგამდნენ დაზგაზე ჩამოსასვლელი ქვის კიხით და
ეს ნანგრევი ძველი კიხი-სიმაგრე არსენას და მისი „ტყის
ძმების“ ბანაგად ციხეაიკცვოდა. ფაქტურა იგივე იყო, რაც
პირველსა და მესამე მოქმედებაში (ეს ყველაფერი, რაც შეეხე-
ბა პირველი, მესამე და მესუთე მოქმედებების დეკორატიულ
მორთულობას).

მეორე მოქმედებაში კი: მოზობინე მწვანე ბალახით და-
ფარული ეზო ზაალ ბარათაშვილის სასახლისა; ეზოს საშა-
თისი ბურჯაზე შემდგარი, სვეტებისა, დახურული დერეფანი
გაღმტკერებდა და იქიდან ეზოსკენ ეშვებოდა სამ მუხიანი
კიხეები. ასეთ დეკორატიულ გარემოში მოქმედი პირნი უად-
რესად ბუნებრივად გრძობოდნენ სცენაზე თავს. მხატვრის
მიერ ამგვარად მოსაზულ გარემოში, სადაც წინასწარ არ იყო
მინიშნებული, ვინ სად უნდა დამდგარიყო, იქმნებოდა საშუა-
ლება ნამდვილი, ციხეხალი მოქმედების გაღმოსა და მიზან-
სცენებსაც უშუალოდ გარემოდაც გამომდინარე, გარემოში მო-
ქმეული მოქმედი პირების უწყვეტი მოძრაობის ნიოდგზე
ვაწყობდი და ვაშენებდი, — ანუ მიზანსცენებს ვალაგებდი
ისე, როგორც ამას მოითხოვდა გარემოში მოქმეული პერსო-
ნაჟების მოქმედების ბუნებრიობა.

ასეთსავე პრინციპზე იყო შექმნილი კომპოზიტორ იონა
ტუსკიას მუსიკაც ამ სპექტაკლისთვის: ეს იყო მუსიკა არა
თავისთავად, არა რაიმე განცდის ილუსტრირების, ან მსაყუ-
რების გასამხიარულებლად შექმნილი მუსიკა, არამედ მუსი-
კა გამიზნული მოქმედების მიმდინარეობის გასამკერებლად,
გასამძაფრებლად, მოქმედებთან გამომდინარე საჭირო გან-
წყობის შესაქმნელი მუსიკა. ამით ის მიზნად ვთქვა, რომ მუსი-
კა ამ სპექტაკლში არ იქნება თავისთავად მნიშვნელობას,
მოქმედებაში იყო ჩაქსოვილი და მოქმედების მიმკვეთლად ისე
როგორც ეს შემაკრის წარმოდგენას ღრმავტულ თეატრში.

რა სასიხარულო იყო, როდესაც ამ დეკორატიულ დანა-
გარებზე ბუნებრივად აღმოცენდებოდნენ და სცენაზე ნამდ-
ვილ სიციხესეს შემოიტანდნენ დიდი თუ პატარა ეპიზოდუ-
რი როლების შემსრულებლებიც, როორებიც იყვნენ: ზური-
კო (მსახიობი ზაზა მანანუილი), მართა — უხედური დედა
(მსახიობი თამარ თეუშვილი), გივი — არსენას მამა (მსა-
ხიობი მიხეილ ჩიხლაძე), ზაალის დედა — დიდი კნიენა
(მსახიობი ნინო დავითაშვილი, შემდეგ ნუკა ჩხეიძე), ბა-
რონ-როზენი (მსახიობი დიმიტრი მცაგია), მიტროხინი
(მსახიობი ბიძინა წულაძე), ანდეყვარი ორბელიანი (მსა-
ხიობი ჰლავატი კორნილი, შემდეგ დიმიტრი გავუა) დიმი
(მსახიობი სტეფანე ჯაფარიძე), ფარხადან (მსახიობი გიორ-
გი საღარაძე), ლაზარე (გიორგი საჩინძე), პრიკლე
(ვანო ჯავახიშვილი) და სხვები, თვით უსიტყვო როლების
შემსრულებლები, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი იყვნენ

მოქმედებაში და თავიანთი სუტევა, თავიანთი შესაძლებლობა სრულად შექონდათ ამ სექტაკლის არარეგულბრევად ანსამბლურ ცხოვრებაში, ერთობლივ განვითარებაში. იმდენად იყვნენ შერჩეული მსახიობები თავიანთი ინდივიდუალური მინაცემებით მთავარ, ეპიზოდურ თუ უსიტყვო როლებში, რომ შემდგომ, როდესაც სამამულო ომში ზოგი მათგანი დაეკარგეთ, მათი შეცვლა უაღრესად გაჭირდა. ომში დაკარგულმა მსახიობებმა კიდევ ერთხელ გაგვახსენეს თავიანთი თავი, კიდევ ერთხელ განგვახსენეს არა მარტო თეატლებრივი, ადამიანური, არამედ შემოქმედებითი გულისტკივილიც, როდესაც ომის შემდეგ ამ სექტაკლის აღდგენა განვიზრახეთ და რეპერტუარს შევუდგეთ. ახლად შეყვანილი მსახიობები თავჯამოდებით მუშაობდნენ, მაგრამ მათ გარდაცვლილ წინამორბედებს სრულყოფილად მაინც ვერა ცვლიდნენ. და ეს არა მარტო, და არა აუცილებლად, ნიჭიერებისა თუ უნარიანობის პრაღი იყო: მერე შეყვანილი მსახიობი სექტაკლში, იმიტომად თუ შევცუება წინანდელ ანსამბლს, უშეტეს შემთხვევაში უცხო სხუელიები მიტმანსილი აღმოჩნდება სექტაკლში. პარტიზონის შესისხლორება, სექტაკლის გამწვანება, სექტაკლის ცხოვრებით ცხოვრება საწყისიდანვე, როდესაც სექტაკლი იხადება, როლის გასრუება და საკუთარი ბუნებრივი ადგილის ორგანულად გამონახვა ანსამბლში, — ყოველივე ეს აუცილებელი არის ყოველ ქუმარატი წარმოდგენისთვის, ამას ბგერი მტკიცება არ სჭირდება. უკვე განხორციელებულ სექტაკლში შესვლა, სექტაკლის ცხოვრებით ორგანულად ცხოვრება, ანსამბლურობის უნარჩუნება — ეს სცენის ვარსკვლავებსაც გასჭირვებით, რადან საჭირო დრო და ენერჯია არ დაუნარჯავთ პიესის გამჭოლი მოქმედების გათავისებასა და ზემომოცანზე კონკრეტული შექედულების გამოშუშავებაზე; და თუ იმ ეპიზოდში გაუბრწყინიანთ ვია, მაგრამ თავისი ადგილი კი პიესაში სრულყოფილად ვერ უპოვებიათ. უაღრესად რთულია არა მარტო სექტაკლის აღდგენა, არამედ და განსაკუთრებით შეცვლა მსახიობების აღდგენილ სექტაკლში, რადგან, კარგი რეჟისორი სექტაკლს ყოველთვის მსახიობებზე აგებს. მტკაც ვიტყვი: სექტაკლში შეიძლება რამდენიმე ცნობილი ვარსკვლავი ერთად შეკრიბო და წარმოადგენა მაინც ვერ განხორციელდება მაღალ დონეზე.

ამის თვალსაჩინო მაგალითია საბჭოთა თეატრის ისტორიაში ანეკდოტურად შემორჩენილი ამბავი: ერთმა ავტორიტეტანამ ადმინისტრატორმა დაიყოლია მოსკოვის სხვადასხვა თეატრების გენიალური მსახიობები, რათა გოგოლის რეჟისორის ერთამაშაში. მთელი ეს ამბავი მიყრდნობის მიერ განხორციელებული „რევიზორის“ საპარიზისპირდ იყო მიმართული და ამ საქმის წამომწყვეტს უნდოდა მასზე უკეთესი „რევიზორი“ წარმოედგინა სცენაზე. მართლაც ბრწყინაველ ვარსკვლავი შეკრიბნენ: ხლესტაკოვი — მიხეილ ჩეხოვი, გორდონი — სტეფანე კუნსტაცივი, ზემლიანიკა — მიხეილ კლიმოვი... ერთი სიტყვით სექტაკლში გენისიები აღაპარაკნდნენ ერთმანეთის გვერდით, მაგრამ — ალაპარაკდნენ ერთმანეთისთვის უცხო, ერთმანდელს შეუთახსმებელ, ერთმანეთთან არასრულყოფილად დამუშავებულ მსატერულ ენაზე. ამას დარბაზში მყოფი თვით უზარალო თეატრალიც მიხვდა და ყველა უბრუნებლ მდგომარეობაში ჩაყარდნია. რა თქმა უნდა, მეიყოზობლის „რევიზორთან“, ვარსკვლავთა ამ ბრწყინვალე კრებულმა, „ვაკო თამაში“ და ეს სრულიად კანონზომიერია. და არა მარტო სცენაზე, არამედ ყველადას ასე მოხდება ეს. თვით პორტრეფი: თავის დროს ბრაზილისი, ინგლი-

სისა თუ გერმანიის ფესხურთვის ეროვნული, ერთმანეთის შეთანამშებელი გუნდი, დადგენასელოდ შეკრებილი კომუნალური ვარსკვლავთა გუნდს“ აუცილებლად დამარცხებულ და დამუხრცხება კიდევ.

ვარსკვლავების კრებულს სექტაკლში მაშინ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როცა ყოველი სახე პიესის გამჭოლი მოქმედებდა არის აღმოცენებული და ერთი საერთო ზემომოცანის განსახორციელებლად ისწრაფვის, ერთი მთავარი მიმართულებით არის განმსჭვალული. ყოველივე ამის შემქმნელი სცენაზე, ყოველივე ამის მომწესრიგებელი თანამედროვე თეატრში, არის რეჟისორი, — მას თვალის ყოველთვის ფიხსუნდა უნდა ჰქონდეს და არ გამოჰპაროს მსახიობის თამაში უშინეშელო გადარაც კი მომავალი სექტაკლის მთავარი ხაზიდან; მან არ უნდა დაანების მტკიარობა ამა თუ იმ ვარსკვლავს, რომელიც თავისი როლის ჩარჩოებში „ვერ ეტყება“. უსამწოდოდ აზვიადებს, „აღრმაგებს“, „აფართოებს“ თავის როლს და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მარტოკამ იბრწყინოს...

დიდი წვრთნისა და მუშაობის შედეგად ვალწევდით რომ, თვით უსიტყვო როლების შესრულება, მთავარ როლთა შესრულების დონეს არ ჩამოჩნდოდა, — თამაშის მსხრივ, სექტაკლს ჰქონოდა ერთი, საერთო მაღალი დონე. და რა სასიამოვნო იყო, რა სასიხარულო, რომ აკაკი სორაგავის, გიორგი დავითაშვილთან, ემანუელ აფხაიძესთან და ნინო დავითაშვილთან ერთად და მათ გვერდით, მთელი სამი — თვით სტუდიელებიც, თავიანთი სახეების შესაბამისი საშოქმედო ასპარეზსა და საშუალებებს უპოლობდნენ სცენაზე და სექტაკლის დედააზრის, სექტაკლის მთავარი ღრძის გარშემო ტრიალებდნენ, სექტაკლის საერთო ქსოვილში კანონზომიერად იყვნენ მოქმედები.

...ხალხურ ეპოსში არსენა უსისხლო გმირია და აქ, ეს თვისება სასცენო უნარბოვია იმ ადამიანისთვის, რომელიც მარტოკა იჩქძვის შესამართლებს წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის; აქ ეს ადამიანი პასუხსმებელია მხოლოდ თავისი თავის წინაშე, თავისი სინდისის წინაშე, თავისი თავის პატრონ-პატრონისა. სანდრო მანშინავილის ერთმა კი არსენა გლესიობის წინამძღოლად, თავ-კაცად არის დასახული და, ცხადია, აქ იგი უკვე პასუსს აგებს, უპირველეს ყოვლისა, იმთ წინაშე, ვინც მას ბრძოლაში გვერდით ამოუდგა, აქ იგი არა მარტო თავისი თავის, არამედ იმდრო მისარჩლავა. ამიტომაც, პიესაში არსენა მანუარი თუ ვარეული მტრის წინაშე უფრო დაუნდობლია, ვიდრე ხალხურ პოემაში; პიესაში იგი თანამებრძოლთა ნდობას, მთ სიცოცხლესა და ნამუსს თვალის ჩინებით უფრთხილდება და იმთ გულისთვის, თუ საჭიროა, ხმალითაც გაუსწორდება მოწინააღმდეგეს. მრისხანებით მიმდინარეობდა სექტაკლშიც არსენას ცხოვრების განვითარება.

სექტაკლში მოქმედების განვითარება ცხოველმყოფელი და მრავალმხრივი რომ ყოფილიყო, პიესის დრამატულ სტიქიაში თანამიმდევრობით უნდა შევეყვანა კომიკურის ნაკადიც, ეს აუცილებელი იყო. ასეც გავაკეთეთ. კომიკურის ნაკადი თავს მძაფრად იჩენდა ჯერ მეორე მოქმედებაში; სლოო, მეოთხე მოქმედებაში, პატრონების გასამართლების სცენაში განვითარების კულმინაციურ წერტილს აღწევდა. უნდა აღინიშნოს, რომ სექტაკლის დინამიკას არა მარტო მასიური სცენებისა და არსენას ცხოვრების, არსენას სახის შესრულების მისწრაფებული რიტმი განსაზღვრავდა, არამედ ამ კომიკური ნაკადის შემქმნელი ძალებიც — თუნდაც, იგივე გონ-

ჯა, როდესაც იგი ბატონ ზაალს გააბამდა თავის მიერ შექმნილ გულბურთყვლილ საფანჯრო, ან, როდესაც ვინმე, ისარგებლებდა ხა ბარონ-როსუნის, მაღალი სტუმრის ქართლის უყოღინარობით, საჯაროდ მიმართავდა მას:

„ვის შერჩინია, შენ შერჩენს,
მომოლე ერთი დროება,
საწუთრო მწავედ გატარებს,
მოველის გადაყრუება“.

უნდა გენახათ, გონებას და დამცინავ მიმართავზე, რომელიც მაღალ სტუმარს, ბარონ-როსუნს არც ესმოდა, ზაალ ბატონი — გიორგი დავითაშვილი როგორ დაფეხდებოდა, რა გაგივებლად გაუხდებოდა თვალები, როგორ აწრიალდებოდა, — ნახადლით და გულთანადაც გაეციენილად თამ გარკნობით ბრწყინვალე, მაგრამ უმადრეუ თავადიშვილზე, რომელმაც გარცვნილი ქებადლობის მიღმა სრულიად დატყარა დაამიანური თაქმოყვარება, თამოთსშვილური ღირსება, გადაიქცა რუსეთის მეფის მოხელეთა მოლაქუცედ და შრომობილ სახლის ზურგსა და ხარჯზე ცდილობდა გავცრძელებინა თავისი შეპყნის ცხოვრება.

ერთი სიტყვით სანდრო შანშიაშვილის „არსენას“ დავდგით, მაყურებლისთვის გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი, ადამიანური არსებობისთვის აუცილებელი ღირსება, რომელსაც უნდა უფრთხილდებოდეს და იცავდეს; რომ ყოველ დროსა და ყოველ ხალხში მაღალი ზნობა, ჭკუა, ღირსება, კაცური გული და გამჭრიახობა აუცილებლად არ გვეუთვნის გამორჩეულ პირებს, — პირიქით, უმეტეს შემთხვევაში, ყოველივე ეს გვეუთვნის ხალხს, ხალხის შვილს, უბრალო შრომელ კაცს და არა იმას, ვინც ფულით, მოტყუებითა და იარაღით ჩაგრავს და იძონებს თანამოძემელების. ამით, გვინდოდა, ჩვენი მაყურებლის, უბრალო შრომობლების, პატიოსანი კაცის გულში იმედისა და ღირსების შეგრძნება გაევეღვივებინა; მასში გაგვეზარდა საკუთარი თავის პატივისცემის გრძობა, — საკუთარი ძალისა და მნიშვნელობის გრძობა ცხოვრებაში.

ეს მიზანი, იმ დროს, სწორად იყო დასმულიცა და მიმართულიც მაყურებლის წინაშე და, ამიტომაც, სექტაკლმა „არსენამ“ რუსთაველის თეატრის სცენაზე დიდ ხანს იცოცხლა: ცამეტი სურხის მანძილზე ამშვენებდა იგი რუსთაველის თეატრის აფიშას თბილისშიც, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გასტროლებზე, გასტროლებზე რესპუბლიკის გარეეთსა და ყველანაშ ამ სექტაკლს დიდი მოწონება და წარმატება ჰქონდა. „არსენა“ იყო რუსთაველის თეატრი არა რომელიმე ერთი თაობის მიერ შექმნილი წარმოდგენა, არამედ წარმოდგენა შექმნილი მთლიანად რუსთაველის თეატრის დასის მიერ — მის გამარჯვებაში მონაწილეობას დებულობდა სახივე თაობის თითქმის ყველა წამყვანი მსახიობი (და არა მარტო მსახიობები, არამედ სტუდიელებიც). „არსენას“ მიერ შექმნილ რეზონანსზე შემდეგ კიდევ მექნება საუბარი, ამიტომ, აქ ამ სექტაკლზე შევეყვებ ჩემს მოგონებას.

ახალი ძალეში, ახალი სემპტალებში

ოცან წლებში თეატრებს შორის ბრძოლა შეურიგებელ ხასიათს ატარებდა. და არა მარტო თეატრებს შიგნით, შემოქმედებითად, — ამ წლებში, თვით მაყურებელთა დარბაზებშიც (მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრში) ბრძოლის

ველს მოქაონებდათ, იმდენად დამაბული ატმოსფერო შეედა და.

იმ დროს ჯერ კიდევ მყარად იყო ფემიოკიდებელი იმ ხედვლება, რომ ხელოვნებაში მხოლოდ „ერთი დღეობის მსახურება“ შეიძლება, ერთი მიმართულების, ერთი დასისადმი გულშემატკვრობა. ასეთი სიზოტკვრობა არც ხელოვნათათვის, არც ხელოვნების შემფასებელათათვის და არც ჩვეულებრივი, მაგრამ ნამდვილი მაყურებლისთვის არის შესაფერისი. ახალგაზრდა მსახიობისთვის ასეთი „ცოლდა“ კიდევ მისატყუებელია; მაგრამ, მოწინავეობის ვაჟს, იგი უნდა თანდათან და დროულად გათავისუფლდეს ხელოვნებაში ყოველგვარი დაჯოჯუბებისაგან, კასტრობისაგან და სუბიექტრობისაგან. თუ ვერ გათავისუფლდა, ამით იგი ბევრს აენებს საკუთარ ხელოვნებასაც და, საერთოდ, იმ ეტაპზე ხელოვნების წინსვლას.

ზოგიერთ კრიტიკოსები ახლაც, სამოცდაათან წლებშიაც კი არანა დაყოფილნი მარჯანიშვილის და ახმეტელის მიმართებად, რის გამოც ბრმად აფასებენ ხოლმე თითოეულის ნაკლსა თუ ღირსებას და, ამ შემთხვევაში, ისინი ძალიან ჰგავან გულბურთყვლილ შეყვარებულს. სრული ობიექტრობა — შეუძლებელია; მაგრამ, საცადღებოთა გარკვეული, ზოგადი მნიშვნელობის კრიტერიუმების შემუშავება, ისტორიისა და ხელოვნების პრინციპების პირუთენელი შესწავლა და ასეთივე პირუთენელი, ზოგჯერ, სუბიექტრო მიდრეკილებათა საწინააღმდეგოდ გამოყენება ამა თუ იმ მოვლენის შეფასების და, კიდევ, აუცილებელია გიმოწების, რაც მთავარია, გემოვნების ჩამოყალიბება. ყოველივე ამის გარეშე, კრიტიკოსი სხვა არაფერია, თუ არა ხელოვნებისთვისაც და ხალხისთვისაც გამოუსაღდგარი მასხური, ხშირად — არამოთხე მოამბე და ხელოვნებასა და ხელოვნებაზე შეხედულებების ამრე-დამრედი ამბოტო არის, თვით ხელოვანი, უმეტეს შემთხვევაში, დიდ ანგარიშს არ უწევს არც მათ დითორამებს და არც მათ კრიტიკას, — მიცრე გამონაკლისის გარდა, როდესაც მათი კრიტიკული შენიშვნა უნებლიედ არ თანხვედბა თვით ხელოვანის გულში, მის მიერ შექმნილისადმი ჩაბუდებულ კმაყოფილებას! და, აი, ასე თუ არის ახლა, სამოცდაათან წლებში, მამინ რა იქნებოდა, ოციან-ოცდაათან წლებში, ეს თვითონ განსაჯოს და წარმოიდგინოს დეობიველმა.

მაგრამ პრინციპულად მა ძირითადად, დღეს უკვე შეიძლება დატყობინოთ ითქვას, რომ ხელოვნების სფეროში (იქნება ეს მწერლობა, მხატვრობა თუ თეატრი) ორი ესთეტიკური სანტეობის, ორი მიმართულების დაპირისპირება, მათი შეჯიბრი თუ შუღლი განსაკუთრებულ მეთაურებისათვის თეატრალურ ხელოვნებაში ისტორიაა ჩაბარდა. ყველასთვის ნათელია, რომ თანამედროვე თეატრი ვერც მარჯანიშვილის და ვერც ახმეტელის ხას გვერდს ვერ აუვლის, რადგან მათი შემოწამებელი დღისთვის მდიდარ ტრადიციას, მყარ საფუძვლებს წარმოადგენს თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. ასეთ საფუძველს, ასეთ ტრადიციას წარმოადგენდა მათი შემოქმედება ჩემთვისაც და მეც, როგორც თეატრის ხელმძღვანელი, ვცდილობდი, მათ მიერ დატოვებული ტრადიციებიდან დამენახა და გამოიყენებინა ის საკუთესო, რომელიც ჩემს ბუნებას შეესაბამებოდა და რომლის გამოყენებასაც შეეძლებოდა მომდევნო პერიოდში, შეიძლება ითქვას, უკვე დიდად შეცვლილი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ვითარებაში. ბევრი რამისთვის კი, მინდობდა თუ არ მინდობდა, როგორც მათი ტრადიციის კი, მინდობდა თუ არ მინდობდა, როგორც მათი ტრადიციის



დღივებიდან, ასევე ჩემი ბუნებიდან და ჩემი საკუთარი მიწისფრთხილებიდან, უარი უნდა მეთქვა. ამას მოითხოვდა დროსა, გარემო სიტუაციები და ხელოვნების განვითარების კანონებიც.

მარჯანიშვილისა და ახმეტელის მხატვრული პოზიციების გათვალისწინებით, მათ მონაპოვართა გათვალისწინებით, მე რაღაც უნიფიცირებული სცენარი პიბრიდი კი არ მინდოდა გამომეყვანა რუსთაველის თეატრის სცენაზე, არამედ წარსულის გამოცდილება გამოვიყენებინა ისეთი რეალისტური სცენარის ტილის წარმოსაქმნელად, რომელიც აღმოცენებული იქნებოდა მსახიობის შემოქმედებითა გამოცდილებიდან და მონაცემებიდან. ახალი დრო და თვით ხელოვნების განვითარებაც მოითხოვდნენ ესთეტიზმისა და ფორმალიზმის უარყოფას, რეალისტური ხელოვნების პოზიციურ მყარად დადგომას და, მე ვცდილობდი, სოციალისტური რეალიზმის გზაზე, შემენარჩუნებინა ქართული თეატრისთვის სისხლსხივითი, მისი შინაგანი სულსაკეციებიდან გამომდინარე რომანტიკულ-პერიკული მიმართება. რეალისტური და, იმავ დროს, პერიკული რომანტიკული! სათქმელად ადვილია, მაგრამ, განსახორციელებლად ფრიალ ძნელი. და ასეთი იყო ჩემი სურვილი.

მაგრამ თეატრალურ ხელოვნებაში მართა სურვილები როდესაც კარა, მოქმედება და ძვრების მოხდენა საჭიროა; ხოლო მოქმედება და ძვრები თეატრალურ ხელოვნებაში, მრავალ სიროტულსთან არის დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო დრამატურების შემოტრიალება სინამდვილისაკენ, თეატრისთვის საჭირო მიმართებით, საჭირო იყო დრამატურების შემოტრიალება სინამდვილის ძირითადი მხარეებისაკენ, რეალური კონფლიქტებისაკენ და მრავალფეროვან თანამედროვე ადამიანების სასიაოებისაკენ. თვით დრამატურული ხელოვნებაში, საჭირო იყო შეუხედელები ბრძოლა ყოველგვარი ესთეტიკური დღემების წინააღმდეგ, უშინაარსობისა და წვილიანობის წინააღმდეგ. ეს ერთი. ამას გარდა, საჭირო იყო ახალი რეჟისორული და აქტორული კადრების გამოანახვა, შერჩევა და მათთვის თეატრის კარის ფართოდ გაღება.

იმ პერიოდში საქართველოს თეატრში მართლაც გამოჩნდნენ, ნამდვილად შემოქმედებითი, რეჟისორული და აქტორული ძალები. რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილის დაბრუნება სასულვარგართიდან და მისი პირველი სპექტაკლი „ვოლჰონი“ ქუთაისის თეატრში იმის ნაოლე დემონსტრაცია იყო, რომ ჩვენ პროფესიონალურად მოწოდებულ, მაღალნიჭიერ ოსტატთან გვექნება საქმე. მისი სპექტაკლი არ განისაზღვრებოდა მარტოიდან მკვერი, თვალში საცემი სანახაობრიობით, იგი ღრმად იყო განმსჭვალული დრამატუზითა და ფსიქოლოგიური სიმწვავეთ, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ვ. ყუშიტაშვილს არა მარტო რეჟისორობის ნიჭი აქვს, არამედ იცის დრამატული ნაწარმოების ღრმად წაკითხვა, ღრმად გააზრება. მუშენიერი იყო ამ სპექტაკლში მსახიობი ვარლამ ჩხიკავაძე.

მარჯანიშვილის თეატრში აშკარად შეინიშნებოდა ახალგაზრდა მსახიობთა ზრდა-დაოსტატება: ვასო გომიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, გიორგი შაველიძე, სერგო ზაქარაძე, კაკო კვანტლიანი და სხვები უკვე მტკიცე საყრდენს წარმოადგენდნენ უფროსი თაობის მსახიობთათვის (ვირიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე, შალვა დამაპშიძე და სხვები).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე გარკვეული წვლილი შექმნიდა ქართული თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში ვას-

ტანგ მჭედლიშვილის სტუდიაში აღზრდილ რეჟისორებს: გორგი ჯურულს, ნიკო გომიაშვილს, გიორგი სულაშვილს, ქსანდრე მიქელაძეს და სხვებს. ზემოთქველ დასახლებული რეჟისორების დამსახურება ის იყო, რომ არც ერთი მათგანი არ აყლიდა მიდას და მთელი თავისი შემოქმედებითი პრაქტიკის მანძილზე, ქართულ სცენაზე სტანისლავსკის სისტემის პირუთვნელად ნერვავდნენ.

რუსთაველის თეატრის სტუდიაში სანდრო ახმეტელის მიერ შემქმნილ აჭარული სექციის სტუდილებმა უკვე გაიარეს მოზარდების კურსი და მისი მილიანად გამოშვება-დასაქმება შეჩერებული იყო, ვიდრე მათი თეატრისთვის მსახურები ხელმძღვანელს არ შეეპარებოდა. ბოლოს, მათ ხელმძღვანელად მე განვიზრახე რეჟისორ არჩილ ჩხარტიშვილის წარმოდგენა მთავარების წინაშე, რომელიც იმგავად უ. გროსმანი მუშაობდა ჩვენთა თეატრის ხელმძღვანელად და მუშაობაში კარგადვე იჩნდა თავს. ა. ჩხარტიშვილს მე აღრეც, არა მარტო პირდაპ, შემოქმედებითადაც ვიცნობდი, როდესაც იგი რეჟისორის თანამშრომელ მუშაობდა რუსთაველის თეატრში... მისი სარეპეტიციო დღივების ჩანაწერები, მოზანსცენების ფიქსირება, მსახიობთან მუშაობის აღწერილობა, იშვიათი მუსიკალურობა და, სავითოდ, არაჩვეულებრივად დავიკრებულობა და ბეჯითობა, ჯერ კიდევ მაშინ აძლევდა ყველას, და მათ შორის მეც, იმის იმედს, და გვეინერგავდა იმის რწმენას, რომ მისგან შემდგომში კარგი რეჟისორი დადგებოდა. არც შეგეცდარები. მაშინ მან თანხმობა მომიცა აჭარულ ჯგუფს სათავეში ჩადგომოდან ოცდაჩვიდმეტი წლის პირველი ნახევრისა.

მაგრამ ყველაფერი ეს რუსთაველის თეატრის გარეთ ხდებოდა.

და აი, მსაკარნამ ირაკლი გამრეკელმა ერთხელ მიიხრა, რომ საბჭოთა არმიის ოფიცერთა სახლში (სადაც იგი მხატვრულად აღორძნებდა რონაშვიის პიუას „მებრძოლი“), მას უხვდებოდა მუშაობა ერთ საინტერესო ახალგაზრდა რეჟისორთან, დიდი ალექსიძესთან. უნდა გითხრას, ძალიან მოწონის თვითონაც და მისი მუშაობაც, მიიხრა ირაკლიმ, „ჩვენი თეატრისთვის, პირდაპირ, მისწრება ექნება“. შენს პირს მჯერა მეთქვ, ფუთსირა და ორი დღის შემდეგ, ოფიცერთა სახლში პრემიერას დავესწარით მე და აკაკი ხორავა. ახალგაზრდა რეჟისორის ნამუშევარი, მართლაც, კარგი გამოდგა; მეც და აკაკისაც ძალზედ მოგეწონა და, დიმიტრი ალექსანდრეს ძე ალექსიძე უახლოეს დღეებში უკვე რუსთაველის თეატრის სტუდიაში რეჟისორად ირჩევიდნენ. მე გაეცაველიც უნდა მუშაობაში ჩაუბნა ახალგაზრდა რეჟისორი, თავიდანვე მუშაობაში შესისხლხორციელებდა თეატრს და ეწეზნა მისი შემოქმედებითი ტიპობის სიმძიმე. ამიტომაც, ვიდრე არჩილ ჩხარტიშვილი ჩვენთა თეატრიდან გათავისუფლდებოდა, დიდი ალექსიძეს გადავეცი დასაგვემეღე გოლოდინის „სასტუმროს დიასახლისი“ აჭარულ მსახიობებთან განსახორციელებლად. ისიც არაჩვეულებრივი გამოხატვებით, აღფრთოვანებით შეუდგა პიუის დადგმისათვის მზადებას.

ყველა ზემოთქველ ჩამოთვლილი შემოქმედებითი ძალების წინ წამოწევა, გამოიწვება თეატრალური ცხოვრების ასპარეზზე, საიმედოდ და სანუგეშო იყო, მაგრამ, ცხადია, ვერ ასებოდა, განსაკუთრებით რეჟისორაში, იმ აუნაზღვრებულ დანაკლისს, რაც გამოწვეული იყო, ერთის მხრივ, კოტე მარჯანიშვილის რუსეთში გაქცევით და მისი გარდაცვალებით, და, მეორეს მხრივ, სანდრო ახმეტელის გათავისუფლებით რუსთაველის

თეატრში და, ჯერ მისი გადასვლით რუსეთში სამუშაოდ და შედგენ, მისა დაჯერებო.

ამ მიძიე, აუნაზღაურებელი და მარად შეუცვლელი დანაკლისის მიუხედავად, ჩვენმა და, საერთოდ, საქართველის თეატრალურ მოღვაწეთა გულწრფელმა სწრაფვამ და წინდახედულობამ, სიდილისტური რეალისმის პრინციპებზე დრმა დაფიქრებამ, რომ იგი შეძლებისდაგვარად პრაქტიკულად განეგვიხორციელებინა თეატრთა ცხოვრებაში, გარკვეული ნაყოფი გამოიღო.

ამ დანაკლისსა და თეატრის შიდა დაძაბულ მდგომარეობას, თან ერთოდ ცენტრალური პრესის ფურცლებზე გამართულ მწვავე კრიტიკა იდეოლოგიური ბრძოლის პოზიციებშია, კრიტიკა ყოველგვარი „სემპრონიკა“ და ფორმალისმის, ყოველგვარი „ექსპერიმენტის“ წინააღმდეგ. დიდი სიფრთხილედ და წინდახედულებად იყო იმ და მომდევნო ათეული წლების მანძილზე საჭირო, რომ თეატრის ცხოვრებისთვის და შეინ თავისთვისაც გამოუსწორებელი ზიანი არ მიეყენებინა. ეგრეთ წოდებული კრიტიკოსები არ ერიდებოდნენ არაფრის, თვით ყველაზე ღირსეულსაც და სახელმწიფეცელსაც. ისეთი სცენური შედეგებში, როგორც იყო სტანისლავსკის მიერ აღდგებული „მეურავი ბუკი“ ისტორიკისა, როგორც იყო ვახტანგოვის „ტურანდოტი“ და სხვა ამდაგვარი, ცოტა დადავლად, ზოგიერთი სინდისზე მიღობად ხელაღებული კრიტიკოსის წყალობით, კინაღამ „ფორმალისმის ნიშნულად“ არ გამოცხადდა; ხოლო მუსტაკოვიჩის ძიებანი მუსიკაში, დადგომებისა და საზოგადოებრივი გაკიცხვის საგანი გახდა. აღმონდნენ ისეთი შემოდასტურები და მასჯაული, რომლებმაც მაიაკოვსკის „კარგია“ და ძმები ვასილიევიტის ფილმი „ჩაპაიევი“ შემოქმედებით მარცხად მიიჩნიეს. საქართველოში, ზოგიერთი სურვილით, ზოგიერთი ძილუებით აკრიტიკებდა ოცინა-რასადათან წლებში განხორციელებულ საქმეებებს: „ლაბირინთი“, „ანსონის“, და მათ ბრალად სდებდნენ ეგზოტიკურობას (რაც ნაწილობრივ სწორი იყო) და ნაციონალისტურ მისწრაფებებს (რაც სასებით არ შეესაბამებოდა სინამდვილეს). მე მგონია, ბევრის მხრივ, სწორედ იმ გაიკრიტიკოსების მიერაც შეიქმნა ისეთი ატმოსფერო, რომ მხოლოდ ასეთი „სამარცხებინო დალით“ თუ შეიძლებოდა ამ საუცხოო საქმეებების მოსხვნიება მაშინდელ პრესაში.

ასეთი უსამართლობის წინააღმდეგ ხმის ამობება არ შეეძლო მაინც არც ბრალდებულს, არც მის უშუალო მოწესს თუ თანაშემწეს; სხვა ბევრთან ერთად, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მაშინ ჩვენს შემოქმედებით ცხოვრებაში ისეთი მივინებები და ხილველი გვიჩნდა, რომ მისთვის სათანადო სასიულის დარქმევას ვერც ჩვენ და ვერც აკრიტიკოსები ვერ ვახერხებდით. ყოველივე იმისათვის სახელის დარქმევა ძნელი იყო და არის. სწორედ ესა და დანახათებელი ქვემარტივი ნიჭისთვის, რომ მისი ნაშრომები არა, ხელოვანის სულის გამოვლინება, ვერ გეტყვა ხოლმე შესტ ფორმულირებაში. ამ წარმოდგენებში თანამომხმწრე კრიტიკოსებმა ძირითადად აუცი შემოუხანეს მომდევნო თაობებს და არ გამოიჩინა ისეთი თეატრმოდენ, რომელიც მეტწილად სიხარულით, უბრალოდ, აღწერდა მაინც თუნდაც რომელიმე მოქმედებას და ობიექტურად გადმოსცემდა თავის ესთეტიკურ განცდებს. ამ საქმეებლთა თანამედროვე აპოლოგეტებს, საუბედროდ, არ უნახავი ისინი და, ამიტომ, მათი აპოლოგაცა, უმეტეს შემთხვევაში, ბრმაა. თანამედროვე კრიტიკოსის ვანახლეული ის საქმეებლებიც რომ ანახო, საქ-

მე ვერაფერი უშევის, რადგან საქმეები მართლ დღგორი იცის და მისხსენებნი არ არის, — და არ იყო ეს ასე. მთავარი უმეტეს, მაშინ. საქმეებელი, უპირველეს ყოვლისა, მსაზრობისა, რადგან ყოველი დაზვა, ყოველი მისხსენება მისთვის და მის დროს კიდობდა, და უმისოდ, შემდგომ, ძირითადად, სარკვევითო ბეტატორისა წარმოადგენს, მეტს ვაფერის. თვით განახლებაც საქმეებლისა შეუძლებელია ხოლმე გარკვეული ცვლილებების შეტანის გარეშე; ცვლილება კი, თუნდაც უმნიშვნელო, არღვდა იმ მოღან სისტემას, რასაც წარმოადგენს გარკვეული ანსამბლით შემწვლი საქმეებელი.

ჩემს პირველ წიგნში, მე შევეცადე ზოგიერთი საქმეებლის აღწერა ყბაღვლედ, მაგრამ, განა ეს საკანონისა? რას იხმა, სასცენო ხელოვნება წუთიერია და, თუ საქმეებელი თვითონ არ გინახავს, ჰაღვლედ აღწერილი მისი შთამომედავი ძალა როგორ უნდა გაიგო, მისი მხატვრული ეფექტი როგორ უნდა განიცხადო? თეატრისა და მსჯერბლის ურთიერთობაში კი, ის წამიერი მხატვრული ეფექტია ყველაზე უმთავრესი.

თუმცა წაივითავ ერთხელ და, მერე, ამა წლის შემდეგაც წაივითავ და უფრო სრულად იგრძნობ მის მხატვრულ ღირსეებს; იგი ისევ გამოიწვევს უმნიშ არა საკლებ ესთეტიკურ მოვებებს. ასეა ფერწერული ქმნილებაც, ჰანდაკიც, ფილმიც, — რამდენჯერაც და როდესაც მოვიხილება იხილავ და დასტკები. სულ სხვა თეატრი, მსახიობი, საქმეებელი... მოთქვამს და, ახლაც გავიმეორებ გულისტკივლით, თუმც ერთგვარი სიამაფითაც; მსახიობის შემოქმედებითი ცხოვრება, მისი ყოველი როლი, ყოველი საქმეებელი მეტეორისა ჰგავს, — მისი თითო ნაბიჯი, თითო მეტეორის ვარდნაა — იწვივს, ანათებს და ქრება; თუ თავის დროს თვალი შეასწარ, ხომ ვარგი და, თუ არა, მორჩა, მხოლოდ ლეგენდად, მხოლოდ მოგონებად იქცევა. და, ისიც, რამდენი ხნის მანძილზე? მსახიობის უბედურებაცა და ბედნიერებაც ეს არის, ამაშიც იგი არავის არა ჰგავს, თვით მისი ბედიც განუმეორებელია.

ახლა, ბოლო ათეული წლების განმავლობაში, ქართული თეატრმცოდნეობა უთუოდ გაიზარდა; თეატრალური ხელოვნების საკითხებში ჩაღრმავებისა და ქართული თეატრის განვითარების რეტრისპექტული შესვასთვის გზით, მან შესძლო ბევრი რამ, რაც წინათ თეატრალურ ხელოვნებაში შექმნილა, ობიექტურად შეფასებინა, გაეანალიზებინა, განესაზღვრა. ოღონდ, ვერ ეტყვი, თავისი ძალით თანაბარი, სრულყოფილიაო ჩვენს თეატრალურ კრიტიკოსთა და თეატრმცოდნეთა მივლი არმია. ამაში თვითონ კრიტიკოსებიც უთუოდ დამეთანხმებინ. თეატრალური კრიტიკის განვითარებას წლების მანძილზე დიდი დაბრკოლებები ელიობოდა გარდაც, რასაც თან ერთოდ კრიტიკოსთა სუბიექტურობა და ცალმხრივობა, მიკერძობეულობა. მაპატიონ კრიტიკოსებმა, რომელთაც თუმცა უაღრესად საჭირო მიღგავეუბად ვივლი ხელოვნების სფეროში, (როგორც ხელოვნებისთვის აუცილებელ მსახურსა და თანმავარსს, კრიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს მასეში ხელოვნების ნაშუბის პოპულარიზაციისა, გარკვეულად და შეფასებისათვის), მაგრამ სწორედ მათი წვრილმანი სუბიექტურობისა და მიკერძობეულობის გამო, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, მათი, ხშირად, შემოქმედებითი სიბრძნავისა და უღლურების გამო, დიდად მაინცა და მაინც არასდროს არ ვაფასებდი. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ ომი გამოუუცხადე კრიტიკის სიბრძნავს და სუბიექტურობას (რა თქმა უნდა, არა იმტომ

რამ მე ვერ მხედავდნენ. — პირიქით, ოციანი წლების უკრ-
ნალ-გაუჭეთიანად მოყოლებული დღემდე, და განსაკუთრებ-
ნით ორმოცეანა წლებამდე, კრიტიკოსთა უკრძალვად და ქება
არ დამკლბება) მახსოვს, საკმაოდ მოზრდილი წერილიც კი
დაწერე სათაურით „კრიტიკის კრიტიკა“, რომელიც სხვადა-
სხვა მიზეზების გამო, თავის დროს არ დაბეჭდილა და, მგო-
ნი, დამკვრავა კიდევ. ისიც უნდა ითქვას, კაცის მიერ ამა თუ
იმ მოვლენის შეფასებისას სუბიექტურობის და მიკერძოე-
ბულობის თავიდან აცილება უაღრესად ძნელია, — საავად-
ბული ობიექტურობის დაცვა კი, მხოლოდ ერთდღეობა ხვედ-
რია, თანაც, მათ საუკეთესო გამოვლენებებში. ჩემი შემოქმე-
დებითი ცხოვრების სხვადასხვა, ადრეულ პერიოდებში. როდე-
საც თეატრის შემფასებლის როლში გამოვდიოდი ხოლმე, ზოგ-
ჯერ მეც ვინინდი ასეთ მიკერძოებულობას და, ერთი იდგით,
ერთი მიმართულებით შემოქმედებითად ატანილი, მომენტის
მიერე მხარეს კი ვითვალისწინებდი... კარგი, ნამდვილი კრი-
ტიკოსი ისეთივე იმიჯით რამაა, როგორც ნამდვილი ხელო-
ვანი. ხანდახან, ვკითხულობ ამა თუ იმ კრიტიკოსის წერილს
და ვფიქრობ, რა უხვად მიაძალა უფალმა ამ უკულის წი-
ნასწარ „ჩაწყობილი“ აზრების ასე ოსტატურად გამოთქმის
უნარი?! რა ფანტაზია აქვს ამ ჯურის ხალხს ასეთი, რომ, სა-
დაც არაფერი არ არის, იქ რაღაც უშველებელი რამ შენიშონ
და, სადაც მართლა რამეა, ის ვერ დაინახონ, თვლი დახუ-
ჭონ და პირი იბრუნონ?! რა შაკერმა დაუტუბო ენა და ასე
„მაამებელ მოღვაწედ“ აქცია?! და მაინც, ამდენი თეორიე-
ბის შესწავლის შემდეგაც, რით ვერ მოუწესრიგათ გონება,
რომ „ჩაწყობილი“, „მაამებელი“, „დამტკბარი“ აზრები
აბდა-უბდად დაწერილად არ გამოაქვეყნონ? ამის მიზეზი კი
ფრიად უბრალოა, მაგრამ, ამასთანავე, ძნელად დასაძლევია:
საკუთარი, ინდივიდუალურად გამოუმუშავებული, ობიექტურად
არსებულ მოვლენებზე დამყარებული შეფასების უნარის უკო-
ნლობა. ასეთი შეფასების უნარის გარეშე, კრიტიკოსი თავს
ვერ დააღწევს, ერთი მხრივ, გულუბრყვილო ენთუზიაზმს და,
ამიტომაც, ხელოვნების სფეროში მომხდარი ძვრებისადმი ყო-
ველთვის ურთიერთგამომრიცხველი დამოკიდებულება ექნება.
გულუბრყვილობის შესანიღბავად კი სხვის თორიებს, სხვის
შეხედულებებს მომხარჯვეებს და თავისად გაასაღებს. მაგრამ
მართკო ზოგად მსჯელობით, სხვისი შეხედულებების გადმო-
ქართულებითა და სხვისი საქმეების მითვისებით ხომ ვერ ააგებს
ნამართმა თუ წერილს, — სადაც, თავისიც ხომ უნდა გაუ-
რიოს, სადაც კონკრეტულ სინამდვილესაც ხომ უნდა შეეხოს.
და, აი, ამ საკუთარში კი წამიერად, მაგრამ აშკარად გამოვ-
ლინდება უწიფერობა და ცალმხრივობა. ძნელია, რა თქმა
უნდა, ძალიან ძნელია ასეთი გონებრივი უპიფრობის, შეხე-
დულებათა ცალმხრივობის დაძლევა და ინდივიდუალური შე-
ფასების უნარის გამოუმუშავება. ამაში ძალიან შეუწყობდა
ხელს ნაკლზე მითითება, მაგრამ, თუ ბიჭი ხარ, მიდი და მიუ-
თითე, უახსუხე იმავე პრესის ფურცლებზე... ჭაობში, ინტრიგე-
ბის ჭაობში ჩაგითრევენ! არა, ამით არც ხელის ვასვრა ღირს

და არც დროის გაცდენა, — ეს არ არის ხელოვანის საქმე
თუმცა, კრიტიკოსებმა ისიც უნდა იცოდნენ, რომ ყოველი, მუშა
ლოვანი საუკეთესო კრიტიკოსიც იქნებოდა, მაგრამ მიატე-
რული ქმნილების შეფასებისას, მისდამი კრიტიკულად მიდ-
ვობას, მის განსჯას, იგი მთელი თავისი პრაქტიკის მანძილ-
ზე სწავლობს და ეუფლება. თვით შემოქმედებითი პროცესი
გულისხმობს კრიტიკას — უარყოფას, გადალახვას, დაძლევას.
აი, როდესაც კრიტიკოსი ზუსტად მიგითითებს იმ ნაკლზე,
როდესაც შენ ვერ ხედავ ან რომელსაც, ეგებ, თვითონაც გა-
ნიციდი ამა თუ იმ სახის შესრულებისას და რომელზეც თვალს
ხუჭავ იმ იმედით, რომ ისეა მას ვერ დაინახავს, — აი, მა-
შინ კი იგი ნამდვილი კრიტიკოსია და, მაშინ, თუ ნამდვილი
ხელოვანი ხარ, მაღლობა უნდა უთხრა და ქედი მოიხარო.
კრიტიკოსის საქმე სპექტაკლის, აქტიორის თამაშის გაანალი-
ზება და კრიტიკული შეფასებაა, — როგორც ნაკლის, ასევე
ღირსების აღნიშვნა. კრიტიკის საქმე სპექტაკლზე ბჭობა-კამა-
თია. მაგრამ, განა ვინმეს, ამ ორი ათეული წლების მანძილზე
მოგონდა, დისკუსია გაართონ პრესის ფურცლებზე რომელი-
მე სპექტაკლის, რომელიმე მსახიობის თამაშის შესახებ? აქა-
იქ კანტაუნტად თუ იბეჭდება რეცენზიები. მსახიობი თამა-
შობს, მწერალი წერს, მსაჯვარი ხატავს... ეს კრიტიკოსები რა-
ღას აკეთებენ? რა არის მათი საქმე თუ არა რეცენზიების, წე-
რილების წერა? რატომ არ უნდა იყოს ამდენ თეატრმოცოდ-
ნეში კაცი, რომელიც ინებებს და თავის მოვლენებს, წერილე-
ბის დაწერის მოვალეობას აღასრულებს? თხიხი, თხიხი უნდა
დააჭერინოს ხელში კაცი კაცმა და შრომით პურის ჭამა ას-
წავლოს! მაშინაც კი, როდესაც ამდენი თეატრმოცოდნე არა
გვყავდა, პრესაში მტეი რეცენზიები და წერილები იწერებოდა
თეატრზე, ლიტერატურაზე, — ოციან, ოცდაათიან წლებში.
ეს საკუთრია, მამ რა ჯანდაბაა?! ნუთუ არ არის საჭირო სა-
ზოგადოებრივი აზრი შექმნას ამა თუ იმ ხელოვნების ნიმუშ-
ზე?! ნუთუ აწყენს თეატრის განვითარებას, რომ მის შესახებ
საპირისპირო მოსაზრებათა კორიანტელი იდგეს, იყოს ბრძო-
ლა და კამათი თეატრების შესახებ, მსახიობების შესახებ. ეს
ხომ თვითონ კრიტიკოსებსაც უფრო კარგად გამოკვებავს ხა-
ლხის თვალში. რას იზამ, თეატრის ბუნების მცოდნეს იშვია-
თად თუ იპოვინო, თორემ, ზეურელ რეცენზიების წერა აქ უნებ-
რად „წამომცდა“, მაგრამ, უთუოდ და ფრიად არაუნებური
მიზეზის გამო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პალერინა კანდელაკი

სოკრატე

ამთომომადებანი კომედია ფილოსოფოსის ცხოვრებით

მომამდი პირები:

- სოკრატე
- ზელამბედელი
- ალფა
- სიმონ ცინიკოსი
- ქსანტია
- კრიტონი
- ბრისიდა
- ალკიბიადე
- ბაკანელბი

საყრობილის მიედანზე — დემოკრიტიონი — ქვის დილეკი დგას, სოკრატეზე ოდნავ დაბალი, ერთდრულიანი კართი და გისისიანი სარკმლით.

სარკმლის წინ, ქვის გრძელ სკამზე საყრობილის ზედამხედველ სუფრა გაშლია, ილეყმება, რაღაც სითხეს ზედ გამოთ წრუ-პავს. მისი თვალ-უფრიე იქით ჰქრის, საიდანაც ხალხის სუნთქვა და მღელვარე გუგუნე დროდღარო მოისმის. ფიქრში გართული და შემართებული შემოდის ალფა.

ზე დამხედველი. მზის ამოსვლამდე მოხვედი და გადა-
უკარგე კიდეც, როდის შევიტოე, ვინ ხარ და სად დახეტებთი.

ალფა. სასამართლოში ვიყავი.

ზე დამხედველი. სხვის საქმეში ჩაგყვია ეგ ნორჩი ცხვი-
რი, დილეგს მიხედო.

ალფა. დილეგი დავასუფთავე, როცა თქვენ სასამართლოს უს-
მენდით.

ზე დამხედველი. გაიარე, ახლა გამოიარე. ბუქნა.. კარ-
